

ჯემალ გახოკიძე  
ირაკლი გაბისონია სოფო მიდელაშვილი

# ბოსნია და ჰერცეგოვინა 1995

განსჯისათვის



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
ფაკულტეტი

თბილისი

2020

მონოგრაფია გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის - „ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პოსტკონფლიქტური სახელმწიფო მონყობა, მართვა და მისი გამოყენების პერსპექტივები საქართველოში“ - ფარგლებში.

პროექტის იდეის ავტორები: ჯემალ გახოკიძე  
ირაკლი გაბისონია

პროექტის ხელმძღვანელი: სოფო მიდელაშვილი

მონაწილეები: ასოცირებული პროფესორი ნონა ლომიძე  
ასოცირებული პროფესორი გიორგი კალანდაძე  
ასისტენტ-პროფესორი თამარ კუპრეიშვილი  
კონფლიქტოლოგი თემურ არბოლიშვილი

რედაქტორები: პროფესორი მურმან თავდიშვილი  
პროფესორი ავთანდილ დემეტრაშვილი

რეცენზენტები: პროფესორი ქეთევან ჯინჭარაძე  
პროფესორი მარიამ ჯიქია

©ავტორები

©საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი



ISBN

**Jemal Gakhokidze**  
**Irakli Gabisonia**      **Sopho Midelashvili**

# **BOSNIA AND HERZEGOVINA**

## **1995**

**FOR DISCUSSION**



**Georgian Technical University**  
**Faculty of Law and International Relations**

Tbilisi

2020

**The monograph is published in the framework of the scientific research project of the Faculty of Law and International Relations of the Georgian Technical University - “Post-Conflict State Structure and Management of Bosnia and Herzegovina and Prospects of its Application in Georgia”**

**The authors of the project idea:** Jemal Gakhokidze  
Irakli Gabisonia

**Project Supervisor:** Sopho Midelashvili

**Participants:** Associated Professor Nona Lomidze  
Associated Professor Giorgi Kalandadze  
Assistant Professor Tamar Kupreishvili  
Conflict Resolution Specialist Temur Arbolishvili

**Editors:** Professor Murman Tavdishvili  
Professor Avtandil Demetrashvili

**Reviewers:** Professor Ketevan Jincharadze  
Professor Mariam Jikia

© Authors

© Georgian Technical University Faculty of Law and International Relations



ISBN

**Джемал Гахокидзе  
Иракли Габисония София Миделашвили**

# **БОСНИЯ И ГЕРЦЕГОВИНА**

## **1995**

**Для рассуждения**



**Грузинский Технический Университет  
Факультет права и международных отношений**

Тбилиси

2020

**Монография опубликована в рамках научно-исследовательского проекта факультета юридического и международных отношений Грузинского технического университета - «Постконфликтное государственное устройство и управление Боснией и Герцеговиной и перспективы его применения в Грузии»**

**Авторы идеи**

**проекта: Джемал Гахокидзе**

**Иракли Габисония**

**Руководитель проекта: София Миделашвили**

**Участники: Ассоциированный профессор Нона Ломидзе  
Ассоциированный профессор Георгий Каландадзе  
Ассистент - профессор Тамар Купрейшвили  
Конфликтолог Тимур Арболишвили**

**редакторы: Профессор Мурман Тавдишвили**

**Профессор Автандил Деметрашвили**

**рецензенты: Профессор Кетеван Джинчарадзе**

**Профессор Мариам Джикия**

© Авторы

© Грузинский Технический Университет Факультет права и международных отношений



ISBN

# სარჩევი

ავტორთა წინათქმა.....	8
Authors' Preface.....	12
Предисловие авторов.....	15
<b>თავი I.</b> 1992-1995 წლების ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონფლიქტის ანატომია.....	20
<b>თავი II.</b> მშვიდობის მშენებლობა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში.....	28
ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია.....	45
<b>თავი.</b> ბოსნიისა და ჰერცეგოვინის გზა ევროკავშირისაკენ.....	69
დასკვნები განსჯისათვის.....	75
Conclusions to review.....	88
Выводы для рассуждения.....	98
დანართი I. ძირითადი პრინციპები ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მშვიდობისათვის.....	109
დანართი II. ზოგადი ჩარჩო ხელშეკრულება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ.....	116
გამოყენებული ლიტერატურა.....	293

# ავტორთა წინათქმა

ჩვენი გუნდის ლაიტმოტივი ერთი ფიქრით, ერთი აზრით, ერთიანი ძალისხმევით აფხაზებსა და ოსებთან შერიგების გზების ძიებაა.

წინასწარ ბევრს ვფიქრობთ იმაზე, თუ რამდენად გამოადგება, რამდენად აამოძრავებს, რამდენად აამოქმედებს, რამდენად წინ წაწევს და ხელს შეუწყობს გაყინული კონფლიქტების გაღობას მსოფლიოში უკვე არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის პრეცედენტების ჩვენეული სიღრმისეული კვლევა, ანალიზი და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გამოტანილი დასკვნები.

ამასთანავე, ჩვენს ხედვებს, თავმოყრილს წინადადებებში, და მათ საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს ვუდგებით პრინციპით: იქნება თუ არა შესაძლებელი მათი რეალიზაცია ახლა და უახლოეს მომავალში.

ერთში ნამდვილად ვართ დარწმუნებულნი, რომ მხოლოდ კონსენსუსის, კომპრომისის, ინტერესთა ურთიერთგათვალისწინებისა და პოლიტიკური რეალობის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს ტერიტორიული მონყობისა და მართვის ახალი მოდელი, რომელიც ჯეროვნად გაითვალისწინებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ინტერესებს საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან ერთად<sup>1</sup>, როგორც ეს უკვე შეძლეს მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ბოსნიამ და ჰერცეგოვინამ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ჰონკონგთან მიმართებით და ენთუზიაზმით, რწმენითა და შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოყენებით ცდილობს ტაივანთან მიმართებით.

ვაგრძელებთ რა მთავარი ეროვნული ამოცანის გადაწყვეტაში ჩვენი მცირე ნვლილის შეტანას, გვინდა შემოგთავაზოთ პროექტის – „ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პოსტკონფლიქტური სახელმწიფო მონყობა, მართვა და მისი გამოყენების პესპექტივები საქართველო-

<sup>1</sup> ამ პრობლემის განსჯას ჩვენ კიდევ დავგუბრუნდებით კვლევის დასკვნით ნაწილში.



ში“ – ფარგლებში მომზადებული ჩვენეული ანალიზი საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის შედეგად ერთ-ერთი საშიში და თითქმის უიმედო კონფლიქტის გადანყვეტისათვის გადადგმული კონკრეტული ნაბიჯების შესახებ, რომელმაც შესაძლებელი გახდა ისეთი კონსტიტუციურ-სამართლებრივი აქტების, საერთაშორისო შეთანხმებებისა და სხვა პოლიტიკური ხასიათის აქტების მომზადება, რაც საფუძვლად დაედო ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მშვიდობას, პოსტკონფლიქტურ სახელმწიფოებრივ ტერიტორიულ მონყობასა და მართვას.

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობამ გააგრძელა რა თავისი საქმიანობა და მიიღო გადანყვეტილება დანყებულებით მხარეთა მორიგების პროცესი, ამერიკის შეერთებული შტატების თაოსნობით შეუდგნენ მუშაობას ზოგად ჩარჩო შეთანხმებაზე ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის დამკვიდრების შესახებ, რომელიც საბოლოოდ შეთანხმებული და ხელმოწერილი იქნა მხარეების მიერ 1995 წელს დეიტონში (აშშ). აღნიშნულ შეთანხმებას ხელს აწერენ: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო ადასტურებენ: ევროკავშირის სპეციალური მედიატორი, საფრანგეთის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები.

აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება დღეს დეიტონის შეთანხმებადაა ცნობილი, რომლის სტრუქტურა შეიცავს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის შემადგენლობაში შემავალ წარმონაქმნებს შორის დადებულ როგორც ძირითად ჩარჩო შეთანხმებას, ასევე, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ხასიათის გადანყვეტილებებთან დაკავშირებულ შეთანხმებებს, მათ შორის:

- შეთანხმება სამშვიდობო დარეგულირების სამხედრო ასპექტების

შესახებ;

- შეთანხმება რეგიონის სტაბილიზაციის შესახებ;
- შეთანხმება წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზისა და ამასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;
- შეთანხმება არჩევნების შესახებ;
- ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია;
- შეთანხმება ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ;
- შეთანხმება სპეციალური საერთაშორისო საპოლიციო ძალების შესახებ და სხვ.

რატომ არის ასეთი შინაარსისა და ფუნქციის მატარებელი ეს აქტები? საქმე ისაა, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა ყოფილ იუგოსლავიაში შემავალი ყველაზე რთული შემადგენლობის სახელმწიფო იყო როგორც მასში გაერთიანებული სუბიექტების, ისე ეთნიკური და რელიგიური თვალსაზრისით. აქ ცხოვრობენ მართლმადიდებელი ქრისტიანები (ბოსნიელი სერბები), მუსლიმანები (ბოსნიელები) და კათოლიკეები (ბოსნიელი ხორვატები). ამას ემატებოდა ტერიტორიული ურთიერთპრეტენზიები.

რაც შეეხება ჩვენს არჩევანს პროექტის სახით პრობლემის კვლევასთან დაკავშირებით:

პირველი — ამ მიმართულებით დღემდე საქართველოში არც ნაშრომი შექმნილა და არც რაიმე კვლევა ჩატარებულა.

მეორე – **დღემდე ქართულად არ თარგმნილა და არ გამოცემულა არც ზოგადი ჩარჩო შეთანხმება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ და არც სახელმწიფო მონყობასთან დაკავშირებული პოსტკონფლიქტური საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, არც ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია.**

მესამე – საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტების დასრულების შემდეგ, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირებისათვის ხელსაყრელი პოზიტიური პოლიტიკური გარემოებები არსებობდა და ამის ფონზე დასანანია, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პოსტკონფლიქტური სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობისა და მართვის მოდელი საქართველოს არც სახელმწიფო სტრუქტურებსა და არც პოლიტიკურ წრეებში განსჯის საგანიც კი არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა საკითხისადმი ჩვენი ინტერესი.

სადავო არც ის უნდა იყოს, რომ კონფლიქტის დარეგულირებისა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახელმწიფო მოწყობისა და მართვისათვის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ **1995 წელს შეთავაზებული მოდელი სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და თეორიისათვის უნიკალურია და მსგავსი რამ ცნობილი არ არის.** ამაში დარწმუნდებით, როცა გაეცნობით ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციას. სწორედ ამ სრულიად ახალი სახელმწიფო-სამართლებრივი მოდელის კვლევა, ანალიზი და სათანადო დასკვნების გაკეთება, რა თქმა უნდა, ფართო განსჯისათვის განგვანყობს. პარალელის გავლება, მსგავსებებისა და განსხვავებების ძიება და მიგნება საშუალებას მოგვცემს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ყოველივე ეს მიეუსადაგოთ ქართულ სინამდვილეს და ჯეროვნად გამოვიყენოთ.

მაინც რა მსგავსებებსა და განსხვავებებზეა ლაპარაკი და რა პარალელების გავლება შეიძლება ჩვენთან არსებულ გადაუწყვეტელ კონფლიქტებსა და იქ უკვე გადანყვეტილთა შორის? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად დეტალურად გავანალიზებთ ფაქტებსა და მოვლენებს და გამოვიტანთ შესაბამის დასკვნებს, რომელთაც განსასჯელად ნაშრომის ბოლოს შემოგთავაზებთ.

## Authors' Preface

The leitmotif of our team is to seek ways of reconciliation with Abkhazians and Ossetians with one thought, one opinion and united efforts.

We think lots beforehand about how useful our thorough case study of conflict resolution precedents in the world, its analysis and conclusions based on the results obtained, will be, how it will work, how it will activate, to what extent it will promote and support to break down the frozen conflicts.

In addition, we use the principle on our visions, in summarized suggestions and conclusions made on their basis: Will it be possible to realize them now and in the near future.

**We are sure in one, that a New Model of Territorial Arrangements and Management of the Unified State of Georgia must be formed based upon only the consensus, compromise, mutual interests and political reality, which will properly consider the interests of Abkhazia and South Ossetia along with the rest regions of Georgia, as it was already possible in 90s of XX Century in Bosnia and Herzegovina, the Republic of China with respect to Hong Kong and trying with enthusiasm, faith and by using the maximum opportunities in relation to Taiwan.**

Continuing to make our small contribution to settling a major national problem, we would like to offer our analysis prepared within the project ~ Post-Conflict State Structure and Management of Bosnia and Herzegovina and Prospects of its Application in Georgia ” on concrete steps taken for settling one of the most dangerous and almost hopeless conflicts as a result of the efforts of the International Community, which made it possible to prepare such constitutional legal acts, international treaties and other political acts, that became the basis for the peace of Bosnia and Herzegovina, territorial structure and management of post-conflict state.

After the end of armed conflict in Bosnia and Herzegovina, continuing its work and deciding to begin the process of reconciliation between the parties, the International Community along with the United States of America

started to work on a General Framework Agreement for the establishment of peace in Bosnia and Herzegovina, **which was finally agreed and signed by the Parties in 1995 in Dayton (USA). The mentioned Agreement was signed by: the Republic of Bosnia and Herzegovina, the Republic of Croatia, the Federal Republic of Yugoslavia and was approved by: Special Representative-Mediator of European Union, the French Republic, the Federal Republic of Germany, the Russian Federation, the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland, the United States of America.**

The aforementioned International Legal Agreement is known today as the Dayton Agreement, the structure of which contains both the basic framework agreement between the entities in Bosnia and Herzegovina and agreements related to the Constitutional and Legal Decisions, including:

- **Agreement on Military Aspects of the Peace Settlement;**
- **Agreement on stabilization of the region;**
- **Agreement between the entities on the dividing line and related issues;**
- **Agreement on elections;**
- **Constitution of Bosnia and Herzegovina;**
- **Agreement on Refugees and Internally Displaced People;**
- **Agreement on Special International Police Forces, etc.**

Why do these acts have such content and function? The fact is that Bosnia and Herzegovina was the most complex state in the former Yugoslavia, as in terms of subjects united in it as well ethnicity and religion. There lived Orthodox Christians (Bosnian Serbs), Muslims (Bosnians) and Catholics (Bosnian Croats). This was added by territorial claims.

As for our choice on problem study as a project:

First — no work or research in this area has been conducted in Georgia up to date.

Second — **Neither the General Framework Agreement on Peace in Bosnia and Herzegovina nor the post-conflict legislative acts on State**

**Structure have been translated and published into the Georgian language**, including, as surprising as it may seem, the **Constitution of Bosnia and Herzegovina**.

Third – Since the end of the armed conflicts in Georgia in the late 90s of the last century, there have been favorable political circumstances for the resolution of Georgian-Abkhazian and Georgian-Ossetian conflicts and against this background, it is very pity that the model of post-conflict state territorial arrangement and management of Bosnia and Herzegovina has not been the subject of discussion for both the State Structures and the Political Circles in Georgia. Of course, these circumstances have increased our interest more to the issue.

It should not be disputable that the model **proposed by the International Community in 1995** for the conflict resolution and the State Arrangement and Management of Bosnia and Herzegovina **is unique to the history and theory of state law and nothing similar is known**. You will be convinced of this when you read the Constitution of Bosnia and Herzegovina. Studying, analyzing and drawing proper conclusions of this entirely new State and Legal Model will, of course, incline us to broad discussion. Drawing a parallel, searching for and finding similarities and differences will allow us, as far as possible, to make this relevant to Georgian reality and apply it properly.

And still, about what similarities and differences we speak and what parallels can we draw between the unresolved conflicts we have and the ones already resolved there? For answering these questions, we shall analyze the facts and events in detail and arrive to the appropriate conclusions that we offer at the end of the paper for review.

## Предисловие авторов

Лейтмотивом нашей команды является поиск путей примирения с абхазами и осетинами с одной мыслью и при едином усердии.

Заранее много думаем о том, насколько пригодится, насколько приведет в действие, насколько продвинет вперед и насколько будет способствовать таянию замерзших конфликтов наше глубокое исследование, анализ прецедентов решения уже существующих в мире конфликтов и сделанных на основании полученных результатов выводов.

При этом, к нашим взглядам, сосредоточенным в предложениях, и сделанным на их основании выводам мы подходим с принципом: будет ли возможной их реализация сейчас и в ближайшем будущем.

В одном мы действительно уверены, что только на основании консенсуса, компромисса, взаимного учета интересов и политической реальности необходимо сформировать новую модель территориального устройства и управления объединенным государством Грузии, которая надлежащим образом предусмотрит интересы Абхазии и Южной Осетии наряду с остальными регионами Грузии, как это уже смогли сделать в **90-ых годах 20-ого века** Босния и Герцеговина, Народная Республика Китая по отношению к Гонконгу и с энтузиазмом, верой и максимальным использованием возможностей пытается сделать это по отношению к Тайвани.

Продолжая вносить наш небольшой вклад в решение главной национальной задачи, хотим предложить наш подготовленный в пределах проекта «постконфликтное государственное устройство Боснии и Герцеговины, управление им и перспективы его использования в Грузии» анализ о сделанных при усилении международного содружества для решения одного из опасных и почти безнадежных конфликтов конкретных шагах, которые сделали возможной подготовку таких конституционно правовых актов, международных соглашений и других актов политического характера, которые были заложены в основу

мира в Боснии и Герцеговине, их постконфликтному государственно-территориальному устройству и управлению.

После завершения вооруженного конфликта в Боснии и Герцеговине международное содружество, продолжив свою деятельность, приняла решение начать процесс примирения сторон, под руководством Соединенных Штатов Америки приступили к работе над общим рамочным соглашением об установлении мира в Боснии и Герцеговине, которое было окончательно согласовано и подписано сторонами в **1995** году в Дейтоне (США). Данное соглашение подписали: Республика Боснии и Герцеговины, Республика Хорватии, Федеративная Республика Югославии, а подтвердили: специальный медиатор Евросоюза, Республика Франции, Федеративная Республика Германии, Российская Федерация, Объединенное Королевство Великобритании и Северной Ирландии, Соединенные Штаты Америки.

Данный договор международно-правового характера сегодня известен как Дейтонское соглашение, структура которого содержит заключенные между входящими в составе Боснии и Герцеговины образованиями, как основное рамочное соглашение, так и связанные с решениями правового характера соглашения, в том числе:

- **соглашение о военных аспектах мирного регулирования;**
- **соглашение о стабилизации региона;**
- **соглашение о линии раздела между образованиями и связанных с этим вопросах;**
- **соглашение о выборах;**
- **Конституция Боснии и Герцеговины;**
- **соглашение о беженцах и вынужденно переселенных лицах;**
- **соглашение о специальных международных полицейских силах и др.**

Почему являются эти акты носителями такого содержания и



функции? Дело в том, что Босния и Герцеговина были входящим в бывшую Югославию государством с самым сложным составом как с точки зрения объединенных в нем субъектов, так и с этнической и религиозной точки зрения. Здесь проживают православные христиане (боснийские сербы), мусульмане (боснийцы) и католики (боснийские хорваты). К этому добавляются территориальные претензии друг к другу.

Что касается нашего выбора в связи с исследованием проблемы в виде проекта:

Первое — до сегодняшнего дня в Грузии ни работы не было создано и ни какого-нибудь исследования не было проведено.

Второе — до сегодняшнего дня не были переведены на грузинский язык и не были изданы ни общее рамочное соглашение о мире в Боснии и Герцеговине, ни связанные с государственным устройством постконфликтные законодательные акты, в том числе, насколько удивительным не должно быть, ни Конституция Боснии и Герцеговины.

Третье — после завершения вооруженных конфликтов в Грузии, в конце 90-ых годов прошлого века, существовали благоприятные для урегулирования грузино-абхазского и грузино-осетинского конфликтов позитивные политические обстоятельства, и на этом фоне следует сожалеть, что модель постконфликтного государственного территориального устройства и управления Боснией и Герцеговиной не была даже предметом рассуждения ни в государственных структурах, ни в политических кругах. Конечно, это обстоятельство ещё больше повысило наш интерес к этому вопросу.

Не должно быть спорным и то, что предложенная международным сообществом в 1995 году модель урегулирования конфликта и государственного устройства и управления Боснией и Герцеговиной является уникальной для истории и теории государственного права, и подобного не было известно до сих пор. В этом убедитесь, когда ознакомитесь с Конституцией Боснии и Герцеговины. Именно исследование, анализ этой совершенно новой государственно-правовой модели и вытекающие из этого соответствующие выводы, конечно,

настраивают на размышление в широком масштабе. Проведение параллелей, поиски сходств и различий позволят, насколько возможно, привести всё это в соответствие с грузинской действительностью и применить надлежащим образом.

Но все-таки о каких сходствах и различиях идет речь, и какие параллели можно провести между существующими у нас неразрешенными конфликтами и уже разрешенными там конфликтами? Для ответа на эти вопросы мы детально проанализируем факты и события и сделаем соответствующие выводы, которые представим на обсуждение в конце работы.

## ბოსნია და ჰერცეგოვინა



**ფართობი:** 51 129 კმ<sup>2</sup>

**მოსახლეობა:** 3 511 372

**დედაქალაქი:** სარაევო.

**ოფიციალური ენა:** ბოსნიური, სერბული, ხორვატული

**სახელმწიფოს მეთაური:** საპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარე

**საკანონმდებლო ორგანო:** საპარლამენტო ასამბლეა

**მოსაზღვრე ქვეყნები:** ხორვატია, სერბეთი და მონტენეგრო

# თავი I


## 1992–1995 წლების ბოსნიისა და

### ჰერცეგოვინის კონფლიქტის ანატომია


ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ომი ევროპის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და ტრაგიკული შეიარაღებული კონფლიქტია. ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური ნაციონალისტები, ხშირ შემთხვევაში სერბეთისა და ხორვატიის მხარდაჭერით, ცდილობდნენ თავიანთი ტერიტორიის გაკონტროლებას. ეთნიკური წმენდის საშინელმა კამპანიებმა 1992 წლიდან 1995 წლის ბოლომდე გამოიწვია ათასობით ადამიანის მოსპობა, ხოლო ორ მილიონზე მეტს მოუწია იძულებით დაეტოვებინა თავისი საცხოვრისი.

ბოსნია და ჰერცეგოვინა მდებარეობს ევროპის დასავლეთით, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. რეგიონული ძალების ზეგავლენით ბოსნია და ჰერცეგოვინა გახდა სამშობლო არაერთი ეთნიკური ჯგუფისა, ქვეყანაში წარმოიქმნა მდიდარი ეთნიკური და რელიგიური მოსახლეობა. ისლამი, მართლმადიდებლური ქრისტიანობა და რომაული კათოლიციზმი შეესაბამება სამ უმთავრეს ეთნიკურ ჯგუფს: ბოსნიელებს, სერბებსა და ხორვატებს. 2013 წლის მონაცემებით[1], ქვეყნის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა შემდეგია:

#### ეთნიკური შემადგენლობა (2013)



## რელიგიური ჯგუფები (2013)



მრავალეთნიკურობა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ყოველთვის წარმოადგენდა ნაციონალისტურ-ტერიტორიული მისწრაფებების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს.

XV საუკუნიდან ოსმალეთის იმპერიის მიერ მართულ რეგიონს (ბოსნიასა და ჰერცეგოვინის ამჟამინდელი ტერიტორია) 1878 წელს ავსტრია-უნგრეთი აკონტროლებდა. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პირველი მსოფლიო ომის დაწყებაში. 1918 წელს იგი გაერთიანდა სერბების, სლოვენებისა და ხორვატების ახლად შექმნილ სამეფოში, სადაც მას ოფიციალური სტატუსი არა ჰქონია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი გახდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენელი რესპუბლიკა.

1991 წელს სლოვენია იყო პირველი, ვინც განაცხადა უარი, ყოფილიყო იუგოსლავიის ნაწილი. მალე ამავე გზას დაადგა ხორვატიაც. ბოსნიასა და ჰერცეგოვინას უნდა გაეკეთებინა არჩევანი: დარჩენილიყო იუგოსლავიის ფედერაციაში თუ დაეტოვებინა იგი. როგორც აღვნიშნეთ, ბოსნია და ჰერცეგოვინა იყო ყველაზე რთული ეთნიკური შემადგენლობის რეგიონი. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანები რაოდენობით ყველაზე მეტნი იყვნენ, ბოსნიელებს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არა ჰქონიათ, განსხვავებით იუგოსლავიის სხვა „მოდემ“ რესპუბლიკებისაგან. იუგოსლავიაში შექმნილი ახალი რეალობა ბოსნიას დიდ სამომავლო პრობლემას უქმნიდა. ბოსნიელი მუსლიმანებისა და ხორვატების უმრავლესობა

სურდა, გამოყოფოდა იუგოსლავიას და ეცხოვრა დამოუკიდებელ ქვეყანაში - დამოუკიდებელ ბოსნიაში, თუმცა ბოსნიელი სერბების მნიშვნელოვანი ნაწილი არ იზიარებდა მათ პათოსს. პირიქით, მათ სურდათ დარჩენილიყვნენ იუგოსლავიაში, სადაც სლოვენისა და ხორვატიის გასვლის შემდეგ სერბეთს ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა. 27 აგვისტოს ევროპის საზოგადოებამ ლორდ კარინგტონის ხელმძღვანელობით გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა მშვიდობის ასოციაცია. შეიქმნა საარბიტრაჟო კომისია ბადინტერის კომისიის სახელწოდებით, რათა სამართლებრივი გზით გაეგრძელებინათ დაშლისა თუ გაერთიანების პროცესი. კომისიამ იუგოსლავიის ახალი რეალობის გათვალისწინებით ჩამოაყალიბა 15 პუნქტიანი დასკვნა. 1991 წლის 20 ნოემბერს ლორდმა კარინგტონმა კითხვით მიმართა ბადინტერის კომისიას: „ხორვატიისა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სერბ მოსახლეობას, როგორც იუგოსლავიის მოსახლეობის ერთ-ერთ შემადგენელს, აქვს თუ არა თვითგამორკვევის უფლება?“ — კომისიამ უპასუხა, რომ „ნებისმიერი გარემოების მიუხედავად, თვითგამორკვევის უფლება ვერ შეცვლის არსებულ საზღვრებს, გამონაკლისი შემთხვევების გარდა“. ესეც იმ ვითარებაში, თუ დაინტერესებული მთავრობები ასეთ საკითხზე შეთანხმდებიან. ფედერალური ერთეულების ტერიტორიული მთლიანობა დაცული იყო არსებული რეგულაციების პრინციპით. თუ ქვეყანაში არის ერთი ან მეტი ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი გაერთიანება (ჯგუფი), მათი იდენტობის აღიარება გარანტირებულია საერთაშორისო სამართლით. ისინი ეყრდნობოდნენ იმ ნორმებს, რომლის თანახმადაც სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს უმცირესობათა უფლებებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სერბ მოსახლეობას არ ჰქონდა უფლება გამოყოფოდა იუგოსლავიას. მას შეეძლო თავისი ეროვნულობა გამოეხატა საერთაშორისო და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თავდაპირველად ბოსნია და ჰერცეგოვინა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ცნეს, რადგან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმი არა ჰქონდათ ჩატარებული. პარლამენტმა 1992 წლის აპრილში დანიშნა

რეფერენდუმი. ამავე დროს, ასამბლეის სერბმა წევრებმა საკუთარი ეროვნების მოსახლეობას მოუწოდეს რეფერენდუმისათვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ. მიუხედავად ბოსნიის სერბი მოსახლეობის ბოიკოტისა, რეფერენდუმის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის 99,4%, ვინც რეფერენდუმში მონაწილეობდა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს. რეფერენდუმის საბასუხოდ ბოსნიელი სერბების ელიტამ შექმნა “სრპსკის რესპუბლიკა (სერბული რესპუბლიკა) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საზღვრებში” [2]. 1992 წლის 7 აპრილს ევროპულმა თანამეგობრობამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა აღიარეს. ამის შემდეგ ნათელი გახდა მეზობელი ქვეყნების, სერბეთისა და ხორვატიის, ირედენტული პრეტენზიები. ამ მოთხოვნებს ბოსნიელმა სერბებმა და ხორვატებმა მხარი დაუჭირეს. ისინი პრეტენზიას აცხადებდნენ იმ ტერიტორიებზე, სადაც ისინი ეთნიკურ უმრავლესობას შეადგენდნენ. ამ მიზეზთა გამო ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ შეიარაღებულ დაპირისპირებასაც წინ აღარაფერი ედგა.

იმ პერიოდში ბოსნია და ჰერცეგოვინა საერთაშორისო საზოგადოებისათვის არსებით გამონევენას წარმოადგენდა. ცივი ომის დროს იუგოსლავია საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის ბუფერულ როლს ასრულებდა. მას ჰქონდა დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იუგოსლავიის კომპონენტმა პოლიტიკური აქტიულობა დაკარგა. იუგოსლავიის დაშლისას კი ბოსნია და ჰერცეგოვინა გახდა იუგოსლავიის ყოფილი პატარა რესპუბლიკა, რომელსაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა აღარ ჰქონდა [3].

ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურდა კონფლიქტის დასაწყისში განვითარებულ პროცესებში აქტიური მონაწილეობის მიღება. მას მიაჩნდა, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა იყო ევროპის პრობლემა და მისი მოგვარების პრეროგატივა მასვე დაუტოვა. აშშ-მა ევროპას მისცა „შესაძლებლობა“, ეჩვენებინა თავისი ეფექტურობა იუგოსლავიის კრიზისის გადაჭრაში [4]. რა თქმა უნდა, დიდ საჭადრაკო

დაფაზე ამ სვლებს ისტორია აუცილებლად შეაფასებს. მას შემდეგ, რაც სარაევოს ბლოკადა დაიწყო და ომის ქარიშხალი მთელ ქვეყანაზე გავრცელდა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ოფიციალურმა პირებმა საერთაშორისო საზოგადოებას დახმარების თხოვნით მიმართეს. ამის პარალელურად მედიასაშუალებებმა ბოსნიიდან შემაშფოთებული კადრების გავრცელება დაიწყეს და დაანახვეს მსოფლიოს, რომ იქ უკიდურესი სისასტიკე სუფევდა, საკონცენტრაციო ბანაკები ეწყობოდა და ეთნიკური წმენდა ხორციელდებოდა. ისინი ითხოვდნენ ძლიერი სახელმწიფოების მხრიდან სამხედრო ინტერვენციას. ამის საპასუხოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობის დამყარების მიზნით თავდაცვითი ძალები გაგზავნა ბოსნიის ტერიტორიაზე. სინამდვილეში ეს იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნეიტრალური ძალები ბოსნიის ტერიტორიაზე, რომელიც უფრო ჰუმანიტარულ მისიას უზრუნველყოფდა. მათ არ ჰქონდათ უფლება, სამხედრო ძალით ჩარეულიყვნენ პროცესებში. საერთაშორისო საზოგადოების ამ ქცევის მიზეზი კონფლიქტის წინააღმდეგობრივი ბუნება იყო. მსოფლიო ვერ აცნობიერებდა, ეს იყო სამოქალაქო ომი თუ სერბეთის მხრიდან წამოსული აგრესია? ეს დილემა ვერაფრით აღმოიფხვრა და ვერანაირი ზომები ვერ მიიღეს, რათა შეწყვეტილიყო საომარი მოქმედებები. ძლიერი სახელმწიფოების მხრიდან კონფლიქტში სამხედრო ჩაურევლობის გადანყვეტილება ნიშნავდა, რომ ისინი არ დაიცავდნენ მათ მიერ აღიარებული ბოსნიის მთავრობას. უკვე ამკარა გახდა, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა იქნებოდა გარე აგრესორებისა და მემამბოხე ძალების მძლავრი შეტევის ობიექტი[3].

ომამდე და ომის მიმდინარეობისას კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ევროკავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და გაერომ რამდენიმე სამშვიდობო წინადადება შესთავაზეს. სამივე აქტორი ყოველ ჯერზე ცდილობდა, მიეღწია რაიმე სახის სამშვიდობო შეთანხმებისათვის, თუმცა ყოველი ახალი სამშვიდობო ინიციატივის შემდეგ ქვეყნის შიგნით დაძაბულობა უფრო მატულობდა.

1992 წლის თებერვალს ევროპული თანამეგობრობის ლიდერები ლისაბონში შეიკრიბნენ, რათა ემსჯელათ ბოსნიისა და ჰერცეგო-



ვინის კონსტიტუციურ მონყობაზე. ამ მოლაპარაკებებმა სახელი გაითქვა, როგორც კუტილიეროს გეგმამ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ეთნიკური ნიშნით ბოსნია და ჰერცეგოვინა უნდა გაყოფილიყო სამ კონსტიტუციურ გაერთიანებად. ეს გაერთიანებები ჯერ განსაზღვრულიც არ იყო, როცა ბოსნიის პრეზიდენტმა ალია იზეტბეგოვიჩმა უარი განაცხადა, რადგან მას არ სურდა მიეღო დანაწევრებულ-დაქუცმაცებული ქვეყანა[4].

ლისაბონის კონფერენციიდან ძალიან მალე ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდა. ამის შემდეგ ევროპული სახელმწიფოების მეორე კონფერენცია გაიმართა ლონდონში ბოსნიის ტერიტორიაზე სერბეთის ძალების მიერ ძალადობრივი ქმედებებისა და საერთაშორისო ნორმების დარღვევის შეწყვეტის მიზნით. ცნობილი იყო, რომ საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებდა ბოსნიის საზღვრების ძალისმიერი გზებით ცვლილებას. ისინი სერბეთის ხელისუფლებისგან ითხოვდნენ სამოქალაქო პირების პატიმრობიდან გათავისუფლებას, უმცირესობების დაცვას, საბრძოლო (სამხედრო) ბანაკების დახურვას და ა.შ. თუმცა ეს ვალდებულებები სერბმა დელეგატებმა არ მიიღეს. ამ კონფერენციამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საერთაშორისო თანამეგობრობის სისუსტე და უუნარობა.

მეორე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 1993 წლის იანვარში, შემუშავებულ იქნა ბოსნიის კრიზისის გადაჭრის ვანს ოუვენის სამშვიდობო გეგმა, რომელიც წარმოადგენდა ეთნიკური დაყოფის პრეზუმფციის გვერდის ავლით ბოსნიის სუვერენიტეტის აღდგენის იდეას. ამ გეგმის მიხედვით, ბოსნიაში ისტორიული და გეოგრაფიული კრიტერიუმებისა და ეთნიკური შემადგენელის გათვალისწინებით ათი პროვინცია უნდა ჩამოყალიბებულიყო. 1993 წლის მაისში სერბეთის ლიდერებმა უარი თქვეს ამ გეგმის შესრულებაზე. ამ მშვიდობიანი პროცესების პარალელურად ომი უფრო მეტი სისასტიკით გრძელდებოდა.

შემდეგი სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც ცნობილია ოუენ სტოლტენბერგის გეგმის სახელით, მიზნად ისახავდა ბოსნიისა და

ჰერცეგოვინის ეთნიკურ-ტერიტორიულ დაყოფას. სტოლტენბერგის გეგმა დაუბრუნდა ლისაბონის ეთნიკურ პრინციპებს და ბოსნია და ჰერცეგოვინა სამი ეთნიკური სახელმწიფოს კონფედერაციად წარმოადგინა. გეგმის მიხედვით, ქვეყანა შემდეგი წესით მოეწყობოდა: ტერიტორიის 53% ბოსნიელ სერბებს გადაეცემოდათ, 17% - ბოსნიელ ხორვატებს, 30%-ის მესაკუთრე ბოსნიის სახელმწიფო იქნებოდა. გეგმა უარყო ბოსნიის მთავრობამ, რადგან ნათელი გახდა, რომ, თუ ამ გეგმას სისრულეში მოიყვანდნენ, ბოსნიის სერბული მხარე საბოლოოდ გახდებოდა სერბეთის ნაწილი, ხოლო ბოსნიის ხორვატული მხარე - ხორვატიის ნაწილი[3].

**გზა დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებამდე**

**პირველი სამშვიდობო ინიციატივა**  
 კუტილიეროს გეგმა (1992 წელი, ლისაბონი) - მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა უნდა გაყოფილიყო ეთნიკური წინიით სამ კონსტიტუციურ გაერთიანებად  
 (უარყოფილია ბოსნიის პრეზიდენტის ალია იზბებეგოვიჩის მიერ)

**მეორე სამშვიდობო ინიციატივა**  
 ვანს ოუენის სამშვიდობო გეგმა (1993 წელი) - ეთნიკური დაყოფის პრეზუმფციის გვერდის ავლით ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტის აღდგენის და მისი 10 პროვინციად დაყოფის იდეა  
 (უარყოფილია სერბეთის მიერ)

**მესამე სამშვიდობო ინიციატივა**  
 ოუენ სტოლტენბერგის გეგმა (1993 წელი) - ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სამი ეთნიკური სახელმწიფოს კონფედერაციად დაყოფის წინადადება  
 (უარყოფილია ბოსნიის მიერ)


სამშვიდობო გეგმები, რომლებიც ომის შეწყვეტის მიზნით შესთავაზეს ბოსნიასა და ჰერცეგოვინას, შემუშავებული იყო ეთნიკურობის პრინციპით, თუმცა არაფერი გაკეთებულა ქვეყნის მულ-

ტიეთნიკური ტრადიციების შესანარჩუნებლად.

საბოლოოდ, 1995 წელს, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობითა და აქტიურობით დასრულდა ომი ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. დაიდო დეიტონის სამშვიდობო შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტმა ალია იზებეგოვიჩმა, სერბეთის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა და ხორვატიის პრეზიდენტმა ფრანიო ტუჯმანმა. ბოსნია და ჰერცეგოვინა ოფიციალურად გაიყო. ბოსნიელ სერბებს ერგოთ ტერიტორიის 49%, გაერთიანდნენ სრპსკის რესპუბლიკის (მას, ასევე, უწოდებენ სერბულ რესპუბლიკას) სახელწოდებით. მეორე მხარეს დარჩა ფედერაცია, რომელსაც ბოსნიელი მუსლიმანები და ხორვატები აკონტროლებდნენ. მათი კუთვნილება გახდა ტერიტორიის 51%. სწორედ ეს მიდგომა დაედო საფუძვლად ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მომავალ სახელმწიფო-ტერიტორიულ მონყობას და, აქედან გამომდინარე, მის სპეციფიკურ მართვას, რის შესახებაც ვიმსჯელებთ მომდევნო თავებში და ჩვენეულ ანალიზსაც შემოგთავაზებთ.

### ბოსნია და ჰერცეგოვინა

დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებამდე



### ბოსნია და ჰერცეგოვინა

დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ



## თავი II

# მშვიდობის მშენებლობა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში

დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებამ ფაქტობრივად დაასრულა კონფლიქტი ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. ის გახდა გარანტი ქვეყნის მომავალი შვიდობიანი ცხოვრებისა, თუმცა შეთანხმებას წინ უძღოდა ერთობ საინტერესო მოლაპარაკებათა რაუნდები, რამაც გააადვილა საქმე და განაპირობა მხარეთა თანხმობა.

ამ ნარკვევის პირველ თავში აღნიშნული იყო სამშვიდობო ინიციატივების ჩავარდნის თაობაზე. ამის შემდეგ საქმე ასე წარიმართა: 1994 წელს სამშვიდობო მოლაპარაკებებისა და კონფლიქტის დარეგულირების მიზნით შეიქმნა საერთაშორისო მედიატორებით დაკომპლექტებული „საკონტაქტო ჯგუფი“.<sup>2</sup> მის შემადგენლობაში შევიდნენ გაეროს, ევროკავშირის, აშშ-ის, რუსეთის, გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენლები.

აშშ-ის ინიციატივით 1995 წელს მოენყო შეხვედრა ჟენევაში, რომელსაც ესწრებოდნენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, ხორვატიისა და იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები (დელეგაციას ხელმძღვანელობდა იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მილან მილუტინოვიჩი, რომელიც, ასევე, წარმომადგენდა ბოსნიელ სერბებს). შეხვედრის მთავარი ამოცანა კვლავაც კრიზისის განხილვა და ერთობლივი სამშვიდობო გადაწყვეტილებების მიღება იყო. 1995 წლის

---

<sup>2</sup> ნაშრომში „ჰონკონგი, ჩინეთი - 1997“ განსაკუთრებული ადგილი დავუთმეთ მეკავშირეთა ჯგუფის საქმიანობას, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ჰონკონგის დედასახელმწიფოში დაბრუნების საქმეში. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონფლიქტის მოსაგვარებლად შექმნილმა საკონტაქტო ჯგუფმა ფაქტობრივად იგივე მისია იკისრა და მიაღწია კიდეც წარმატებას. აქ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კონფლიქტების დარეგულირების პროცესში ასეთი ჯგუფის შექმნა პოზიტიური გამოცდილება და გადაუდებელი აუცილებლობაა.

8 და 26 სექტემბერს ჩატარდა მოლაპარაკებათა ორი რაუნდი, რის შედეგადაც მიღებულ იქნა დოკუმენტი „ძირითადი პრინციპები ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მშვიდობისათვის“<sup>3</sup>, იგი საკონტაქტო ჯგუფის სახელით საჯაროდ წარადგინეს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე რიჩარდ ჰოლბრუკმა და ევროკავშირის სპეციალურმა შუამავალმა კარლ ბილდტმა.

დოკუმენტში „ძირითადი პრინციპები ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მშვიდობისათვის“ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა გააგრძელებს სამართლებრივ ფუნქციონირებას აღიარებულ საზღვრებში, ხოლო მის შემადგენლობაში იქნება ორი სუბიექტი: რესპუბლიკა სრპსკა (სერბული რესპუბლიკა) ტერიტორიის 49 პროცენტით და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია (ბოსნიურ-ხორვატიული ფედერაცია) ტერიტორიის 51 პროცენტით. ასევე, დებულებებში გაიწერა ისეთი ორმხრივი ვალდებულებები, როგორებიცაა საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული არჩევნების ჩატარება, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებისა და ვალდებულებების დაცვა, მათ შორის თავისუფალი გადაადგილების უფლება და იძულებით გადაადგილებულ პირთა შინ დაბრუნების ან კომპენსაციის უფლება, ერთობლივი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა, რომელთაც დაეკისრათ საგარეო პოლიტიკის წარმართვისათვის პასუხისმგებლობა.

ძირითად პრინციპებზე შეთანხმებით ნავსი გატყდა და გზა გაიხსნა შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად, რაც გამოიხატა 1995 წლის 21 ნოემბერს დეიტონში (ოჰაიო, აშშ) სამშვიდობო შეთანხმების დადებითა და იმავე წლის 14 დეკემბერს პარიზში მისი ოფიციალური გაფორმებით. დოკუმენტს ხელს აწერენ: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა და ადასტურებენ: ევროკავშირის სპეციალური მენდიატორები, საფრანგეთის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდი-

<sup>3</sup> დოკუმენტი „ძირითადი პრინციპები ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მშვიდობისათვის“ თარგმნა ავტორთა ჯგუფმა და ნაშრომს თან ერთვის.

ლოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები.

დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების მთავარი მიზანი იყო მისცემოდა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოსახლეობას მშვიდობისა და სახელმწიფოს ერთობლივად შენების შესაძლებლობა, რის შედეგადაც ქვეყანა ევროპაში საკუთარ კანონიერ ადგილს დაიკავებდა.

დეიტონის სამშვიდობო შეთანხმება შედგება „ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ ზოგადი ჩარჩო ხელშეკრულებისაგან“, რომელიც ოფიციალურად გაფორმდა ბოსნიასა და ჰერცეგოვინას, ხორვატიის რესპუბლიკასა და იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, და 12 დანართისაგან, კერძოდ:

- **დანართი 1-ა** — შეთანხმება სამშვიდობო დარეგულირების სამხედრო ასპექტების შესახებ;
- **დანართი 1-ბ** — შეთანხმება რეგიონის სტაბილიზაციის შესახებ;
- **დანართი 2** — შეთანხმება წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზისა და ამასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;
- **დანართი 3** — შეთანხმება არჩევნების შესახებ;
- **დანართი 4** — ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია;
- **დანართი 5** — შეთანხმება არბიტრაჟის შესახებ;
- **დანართი 6** — **შეთანხმება ადამიანის უფლებებთან შესახებ**
- **დანართი 7** — შეთანხმება ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ;
- **დანართი 8** — შეთანხმება ეროვნული ძეგლების დაცვის კომისიის შესახებ;
- **დანართი 9** — შეთანხმება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საჯარო კორპორაციების დაფუძნების შესახებ;
- **დანართი 10** — შეთანხმება სამშვიდობო დარეგულირების სამოქალაქო ასპექტების განხორციელების შესახებ;
- **დანართი 11** — შეთანხმება სპეციალური საერთაშორისო საპოლიციო ძალების შესახებ.

დანართებში მოცემულია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთავრობასა და ორ სუბიექტს: „ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია“ და „რესპუბლიკა სრპსკას“ შორის სამშვიდობო შეთანხმების დეტალები. ამასთანავე, წარმოდგენილია არაერთი ოფიციალური წერილი და „შეთანხმება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების პარაფირების თაობაზე“.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინისთვის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ქრილში დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი არის დანართი 4, რომელიც წარმოადგენს ახალ სახელმწიფო კონსტიტუციას<sup>4</sup> და დანართი 10, რომელიც ეხება საერთაშორისო ადმინისტრაციას.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია ითვალისწინებს ისეთი სახელმწიფოს სტრუქტურას, რომელსაც აქვს ორი ტერიტორიული ერთეული (სუბიექტი), კერძოდ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რომელიც წარმოადგენს ბოსნიელებს და ხორვატებს, და რესპუბლიკა სრპსკა, რომელიც წარმოადგენს სერბებს.

კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, ცენტრალურ სახელმწიფოს აქვს შეზღუდული კომპეტენციები და მის გამგებლობაშია მხოლოდ საგარეო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა, საბაჟო და მონეტარული პოლიტიკა, საიმიგრაციო და თავშესაფრის პოლიტიკა, საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის კონტროლი, სუბიექტებს შორის სატრანსპორტო კავშირის რეგულირება, საერთაშორისო და სუბიექტების დონეზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის ინტერპოლთან ურთიერთობა. სუბიექტებს კი, პირიქით, ძლიერი პოზიცია უკავიათ ცენტრალურ სახელმწიფოში და წარმოადგენენ **დე ფაქტო მინი-სახელმწიფოებს**. ისინი განკარგავენ საკუთარ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და

<sup>4</sup> იმ მიზეზის გამო, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია არის ძირითადი კონსტიტუციურ-სამართლებრივი აქტი, წინამდებარე ნაშრომზე თან დართული დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების დანართებიდან (=4) ნაშრომის ძირითად ტექსტში მხოლოდ ის გადმოგვაქვს.



სასამართლო ორგანოებს. კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სუბიექტებს უფლება აქვთ განსაკუთრებული პარალელური ურთიერთობები დაამყარონ მეზობელ სახელმწიფოებთან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ფარგლებში“, თუმცა სუბიექტები ვალდებული არიან პატივი სცენ ცენტრალურ კონსტიტუციას და ბოსნიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ფაქტობრივად, ცენტრალურ ხელისუფლებასა და სახელმწიფოში შემავალ სუბიექტებს შორის ფუნქციები მკაცრადაა განანილებული.

**ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცენტრალური სახელმწიფო ორგანოებია: საპარლამენტო ასამბლეა, პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო. თითოეული ორგანო ეფუძნება ეთნიკურ წონასწორობას.**

კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო — საპარლამენტო ასამბლეა — „შედგება ორი პალატისაგან: ხალხთა პალატისა და წარმომადგენლობითი პალატისაგან.

## **1. ხალხთა პალატა**

ხალხთა პალატა შედგება 15 დეპუტატისაგან, რომელთა ორი მესამედი – ფედერაციიდან (ხუთი ხორვატი და ხუთი ბოსნიელი) და ერთი მესამედი – რესპუბლიკა სრპსკიდან (ხუთი სერბი) არიან წარმოდგენილნი.

- ა) ფედერაციიდან დანიშნულ ხორვატ და ბოსნიელ დეპუტატებს შესაბამისად ხორვატი და ბოსნიელი დეპუტატები ირჩევენ ფედერაციის ხალხთა პალატაში. დეპუტატები რესპუბლიკა სრპსკიდან აირჩევიან რესპუბლიკა სრპსკის ეროვნული ასამბლეის მიერ.
- ბ) ხალხთა პალატის ცხრა წევრი შეადგენს კვორუმს – სულ მცირე სამი ბოსნიელი, სამი სერბი და სამი ხორვატი დეპუტატი.



## 2. წარმომადგენელთა პალატა

წარმომადგენელთა პალატა შედგება 42 წევრისაგან, რომელთა ორ მესამედს ირჩევენ ფედერაციის ტერიტორიიდან, ხოლო ერთ მესამედს კი – რესპუბლიკა სრჰსკის ტერიტორიიდან.

ა) წარმომადგენელთა პალატის წევრებს ირჩევენ უშუალოდ თავიანთი სუბიექტიდან საარჩევნო კანონის შესაბამისად, რომელსაც იღებს საპარლამენტო ასამბლეა. ამასთანავე, პირველი არჩევნები ტარდება ზოგადი ჩარჩო შეთანხმების მე-3 დანართის შესაბამისად.

ბ) წარმომადგენელთა პალატაში არჩეულ წევრთა უმრავლესობა შეადგენს კვორუმს“.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საპარლამენტო ასამბლეის უფლებამოსილებაა:

„ა) კანონმდებლობის მიღება, რომელიც საჭიროა პრაზიდენტის გადაწყვეტილებების ან ამ კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად;

ბ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების საქმიანობის და ფინანსებისთვის განკუთვნილ წყაროებსა და შენატანი თანხების მოცულობასთან და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საერთაშორისო ვალდებულებებთან მიმართებით გადაწყვეტილებების მიღება;

გ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების ბიუჯეტის დამტკიცება;

დ) ხელშეკრულებების რატიფიკაციაზე თანხმობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

ე) მისი ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო ნებისმიერი სხვა საკითხის ან სუბიექტების ურთიერთთანხმობით მისთვის გადაცემული საკითხების გადაჭრა“.

## ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საკანონმდებლო ხელისუფლება საპარლამენტო სამბლეა (ორპალატიანი)

ხალხთა პალატა

შედგება 15 დეპუტატისაგან:  
ორი მესამედი – ბოსნიისა და  
ჰერცეგოვინის ფედერაცი-  
იდან (5 ხორვატი და 5 ბოს-  
ნიელი) და ერთი მესამედი  
რესპუბლიკა სრპსკიდან (5  
სერბი)

წარმომადგენელთა პალატა

შედგება 42 წევრისაგან:  
ორი მესამედი ბოსნიისა  
ჰერცეგოვინის ფედერაცი-  
იდან, ხოლო ერთი მესამედი  
რესპუბლიკა სრპსკიდან.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცენტრალურ აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენენ პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პრეზიდენტი (საპრეზიდენტო საბჭო), რომელიც, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, არის კოლექტიური უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო ქვეყანაში. ის შედგება სამი პრეზიდენტისგან და აირჩევა 4 წლის ვადით. იმავდროულად ყოველ 8 თვეში ხდება თავმჯდომარის როტაცია. ეს უზრუნველყოფს ეთნოსთა თანასწორობას. პრეზიდენტები არიან: ერთი ხორვატი და ერთი ბოსნიელი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციიდან, და ერთი სერბი რესპუბლიკა სპრსკიდან. პირველად თავმჯდომარე ხდება ის წევრი, რომელმაც არჩევნებზე ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა მიიღო,

გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს წევრი იყო მოქმედი თავმჯდომარე არჩევნების პერიოდში. რა თქმა უნდა, საპრეზიდენტო საბჭოს შექმნასაც საფუძვლად უდევს ეთნიკური თანასწორობის პრინციპი.

მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტის უფლებამოსილებაა:

- ა) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საგარეო პოლიტიკის წარმართვა;
- ბ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ელჩებისა და სხვა საერთაშორისო წარმომადგენლების დანიშვნა, მათი არა უმეტეს ორი მესამედისა შერჩეულ იქნება ფედერაციის ტერიტორიიდან;
- გ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის წარდგენა საერთაშორისო და ევროპულ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში. ისეთ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში განწევრიანება, რომელთა წევრი ბოსნია და ჰერცეგოვინა ჯერ არ არის;
- დ) საპარლამენტო ასამბლეის თანხმობით საერთაშორისო ხელშეკრულებების დასადებად მოლაპარაკება, მათი შედგენა და რატიფიცირება;
- ე) საპარლამენტო ასამბლეის გადანყვეტილებების შესრულება;
- ვ) მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციით საპარლამენტო ასამბლეისთვის წლიური ბიუჯეტის წარდგენა;
- ზ) წელიწადში მინიმუმ ერთხელ ანგარიშის წარდგენა საპარლამენტო ასამბლეისათვის პრეზიდენტის ხარჯებთან დაკავშირებით;
- თ) საჭიროებისამებრ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან საქმიანობის კოორდინაცია;
- ი) საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად სხვა ფუნქციების შესრულება, რომლებიც შეიძლება დააკისროს მას საპარლამენტო ასამბლემ ან რომლებიც შეიძლება შეთანხმებულ იქნეს სუბიექტებთან“.

პრეზიდენტი გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. პრეზიდენტის თითოეულ წევრს აქვს ვეტოს უფლება. ამისთვის 3 დღის ვადაში მან უნდა წარუდგინოს საპარლამენტო ასამბლეას თავისი აზრი საკამათო საკითხთან დაკავშირებით და უნდა მიიღოს დეკლარაცია ორი მესამედის მხარდაჭერა.

## ბოსნიისა და ჰერცეგოვინის აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტი (პრეზიდენტთა საბჭო)

შედეგა სამი წევრისაგან: ერთი ბოსნიელი და ერთი ხორვატი, რომელთაგან თითოეული აირჩევა უშუალოდ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის ტერიტორიიდან, და ერთი სერბი, რომელსაც ირჩევენ უშუალოდ რესპუბლიკა სრპსკის ტერიტორიიდან. აირჩევა 4 წლის ვადით.  
ყოველ 8 თვეში ხდება პრეზიდენტთა როტაცია

პრეზიდენტი ნიშნავს მინირთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც უფლებამოსილია წამომადგენელთა პალატის მიერ მისი დამტკიცებისთანავე. მთავრობის თავმჯდომარე ნიშნავს საგარეო საქმეთა მინისტრს, საგარეო ვაჭრობის მინისტრსა და სხვა შესაბამის მინისტრებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან წამომადგენელთა პალატის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.

რაც შეეხება მინისტრთა საბჭოს, კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც უფლებამოსილია წარმომადგენელთა პალატის მიერ მისი დამტკიცებითანავე. თავმჯდომარე ნიშნავს საგარეო საქმეთა მინისტრს, საგარეო ვაჭრობის მინისტრსა და სხვა შესაბამის მინისტრებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან წარმომადგენელთა პალატის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკონსტიტუციო სასამართლო. ის არის ერთადერთი მართლმსაჯულების ორგანო ცენტრალურ დონეზე. აქაც ნათლად ჩანს არაორდინალური მიდგომა ამ სახელმწიფო ინსტიტუტთან მიმართებით, რაც, ცხადია, ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „საჩვენოს“ ძიების გამო.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს წინამდებარე კონსტიტუციის დაცვას.

- ა) საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს ექსკლუზიური უფლება, გადანყვიტოს ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიქმნება სუბიექტებს შორის ან ბოსნიასა და ჰერცეგოვინას და სუბიექტს ან სუბიექტებს შორის, ან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტებს შორის, კერძოდ:
    - რამდენად შეესაბამება სუბიექტის გადანყვიტება მეზობელ სახელმწიფოსთან განსაკუთრებული პარალელური ურთიერთობების დამყარების შესახებ ამ კონსტიტუციას, იმ დებულებების გათვალისწინებით, რომლებიც ეხებიან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას;
    - შეესაბამება თუ არა სუბიექტის კონსტიტუციის ან კანონის ესა თუ ის დებულება წინამდებარე კონსტიტუციას.
- დავები განსახილველად შეიძლება გაიგზავნოს მხოლოდ პრეზიდენტის ნებრის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის,

საპარლამენტო ასამბლეის ამა თუ იმ პალატის თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის, საპარლამენტო ასამბლეის ამა თუ იმ პალატის წევრთა ერთი მეოთხედის ან სუბიექტის საკანონმდებლო ორგანოს ამა თუ იმ პალატის წევრთა ერთი მეოთხედის მიერ.

- ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს აგრეთვე აქვს სააპელაციო იურისდიქცია წინამდებარე კონსტიტუციის შესაბამისად ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ნებისმიერი სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.
- გ) საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება იმ საკითხებზე, რომლებიც განიხილება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ნებისმიერი სასამართლოს მიერ და რომლებიც ადგენენ, ხომ არ ეწინააღმდეგება კანონი, რომლის ნამდვილობაზეა დამოკიდებული სასამართლოს გადაწყვეტილება, წინამდებარე კონსტიტუციას, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ ევროპულ კონვენციას ან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კანონებს“.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა განსაზღვრულია კონსტიტუციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, კერძოდ:

„ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში არის ცხრა წევრი.

- ა) ოთხ წევრს არჩევს ფედერაციის წარმომადგენელთა პალატა და ორ წევრს – რესპუბლიკა სრპსკის ასამბლეა. დანარჩენ სამ წევრს არჩევს ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ.
- ბ) მოსამართლეები მაღალი მორალის მქონე გამოჩენილი იურისტებია. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება გახდეს ნებისმიერი ამომრჩეველი, რომელსაც აქვს სათანადო კვალიფიკაცია. ადამიანის უფლებების ევ-

როპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ შერჩეული მოსამართლეები არ უნდა იყვნენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ან ნებისმიერი მეზობელი სახელმწიფოს მოქალაქეები.“

როგორც ვხედავთ, დეიტონის ხელშეკრულების ავტორებმა შესაძლებლად ცნეს უცხო ქვეყნის სამმა მოქალაქემ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საკონსტიტუციო სასამართლოში სამოსამართლეო ფუნქცია შეასრულოს, რაც მანამდის უცხო და წარმოუდგენელიც კი იყო.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ: სამართლიანია მაქს-პლანკის ინსტიტუტის მკვლევრის კარინ ოელერს ფრამის მოსაზრება: „მნიშვნელოვანი იყო, საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონოდა კომპეტენცია, განეხილა „საერთაშორისო ორგანოების“, კერძოდ, უმაღლესი წარმომადგენლისა და ადამიანის უფლებათა პალატის აქტები... და დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებაში ჩადებულ იყო უფრო ზუსტი რეგულირება საერთაშორისო აქტორების პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით“ [5. 202-203].

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭება მნიშვნელოვანი როლი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, როგორც ახალი სახელმწიფოს, მშენებლობაში, რადგან მას შეუძლია იმსჯელოს კონსტიტუციის ბუნდოვან დებულებებზე და პრაქტიკულად განახორციელოს ისინი. თავის მხრივ, ეს არის სუბიექტთა ორი სასამართლო სისტემის შეხვედრის ადგილი და შეუძლია ხელი შეუწყოს მათ ჰარმონიზაციას. ფაქტია, საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სახელმწიფო მშენებლობის პროცესში.

# ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სასამართლო ხელისუფლება

## საკონსტიტუციო სასამართლო

### 9 wevri

ოთხ წევრს არჩევს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის წარმომადგენელთა პალატა და ორ წევრს — რესპუბლიკა სრპსკის ასამბლეა.

დანარჩენ სამ წევრს არჩევს ადამიანი უფლებების ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე პრეზიდენტთან კონსულტაციის შემდეგ

მისი განსაკუთრებული და განსხვავებული უფლებამოსილება სხვა საკონსტიტუციო სასამართლოებისგან:

„საკონსტიტუციო სასამართლოს აგრეთვე აქვს სააპელაციო იურისდიქცია წინამდებარე კონსტიტუციის შესაბამისად ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ნებისმიერი სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით“



დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების შეფასებისას გვერდს ვერ ავუვლით უმაღლესი წარმომადგენლის ინსტიტუტს. უმაღლესი წარმომადგენელი, დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების მე-10 დანართის შესაბამისად, დაინიშნა უშიშროების საბჭოს 1995 წლის 15 დეკემბრის 1031 რეზოლუციით. აღნიშნული რეზოლუციით გაეროს უშიშროების საბჭომ მხოლოდ დაამტკიცა მისი მანდატი, რაც ასახულია კიდევ მე-10 დანართში.

დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების ზემოაღნიშნული დანართის მე-2 მუხლით განსაზღვრულია მისი უფლებამოსილება:

### **„1. უმაღლესი წარმომადგენელი:**

- ა) თვალს ადევნებს სამშვიდობო პროცესების განხორციელებას;
- ბ) მჭიდრო კონტაქტს ამყარებს მხარეებთან მათ მიერ მშვიდობიანი დარეგულირების ყველა სამოქალაქო ასპექტის სრული შესრულებისა და მათ და ამ ასპექტების განხორციელებაში მონაწილე ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით.
- გ) კოორდინაციას უწევს სამოქალაქო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობიანი დარეგულირების სამოქალაქო ასპექტების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. უმაღლესი წარმომადგენელი პატივს სცემს მათ ავტონომიას მათი კომპეტენციის ფარგლებში, აუცილებლობის შემთხვევაში აძლევს რა მათ ზოგად მითითებებს, რომლებიც მშვიდობიანი დარეგულირების განხორციელებაზე მათი საქმიანობის გავლენასთან არის დაკავშირებული...”

უმაღლესი წარმომადგენლის საქმიანობამ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის დასამყარებლად, უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პირველ ეტაპზე, თუმცა, ვფიქრობთ, მისი პერმანენტული საქმიანობა სახელმწიფო მშენებლობის პროცესს დამოკ-

იდებულს ხდის საერთაშორისო ჩართულობაზე და მიგვაჩნია, რომ ცენტრალური ხელისუფლებისათვის მეტი უფლებამოსილების გადაცემა გაზრდის სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხარისხს. სუვერენიტეტი ხომ იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების სამივე შტომ შეუფერხებლად განახორციელოს თავისი უფლებამოსილება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახელმწიფოში ცალკეა ბრჩკოს ნეიტრალური სტატუსის მქონე რეგიონი, რომელიც სერბებით, ხორვატებითა და ბოსნიელებითაა დაკომპლექტებული. 2013 წლის მონაცემებით, რეგიონში ცხოვრობს 35 381 ბოსნიელი, 28 884 სერბი, 17 252 ხორვატი და 1 999 სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი.

დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების მე-2 დანართით განისაზღვრა სუბიექტებს შორის შიდა საზღვრები, სადაც სადავო საკითხად იქცა ბრჩკოს ტერიტორია. აღნიშნული ტერიტორია კვეთს რესპუბლიკა სრპსკისა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის მნიშვნელოვან ნაწილებს. თუ ბრჩკოს რეგიონს მიაკუთვნებდნენ რესპუბლიკა სპრსკას, მაშინ ტერიტორია დააკავშირებდა რესპუბლიკის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს, თუმცა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციას დატოვებდა აღმოსავლეთ მეზობლებთან კავშირის გარეშე. თუ მას, პირიქით, მიაკუთვნებდნენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციას, მაშინ რესპუბლიკა სრპსკის ნაწილები დარჩებოდნენ ურთიერთკავშირის გარეშე. ბრჩკოს რეგიონთან დაკავშირებით მთავარ პრობლემად საზღვრის დადგენა იქცა.

მხარეები შეთანხმდნენ, საკითხის გადაწყვეტა არბიტრაჟისთვის მიენდოთ. შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, რომელსაც დაევალა ბრჩკოს მხარეში სასაზღვრო ხაზის გავლება, ვერ შეძლო ამ მანდატის შესრულება. ტრიბუნალის წევრებმა, რომლებიც დაინიშნენ ორივე სუბიექტიდან, თავი შეიკავეს კენჭისყრისაგან და მიიღეს გადაწყვეტილება, ტერიტორია დაქვემდებარებოდა საერთაშორისო ადმინისტრაციას, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული. იმ მომენტისათვის ასეთი გადაწყვეტილება

იყო კარგი გამოსავალი და დავის გონივრული პოლიტიკური მოგვარების საშუალება, თუმცა აღნიშნული საარბიტრაჟო გადანყვეტილება დღემდე ძალაშია და არ არის ცნობილი მისი დასრულების ვადა[5. 214-215].

ბრჩკოს რეგიონი გახდა ერთადერთი პრობლემა, რომელიც ვერ დასრულდა დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულებით. საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად, რომელიც საბოლოოდ დასრულდა 1999 წლის მარტში, რეგიონს მიენიჭა **განსაკუთრებული მრავალეთნიკური სტატუსი**. ბრჩკოს რეგიონს კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დაერქვა "ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ბრჩკოს რეგიონი", რომელიც მოქმედებს თვითმმართველობის საფუძველზე, დამოუკიდებელია ორივე სუბიექტისგან და ხასიათდება მრავალეთნიკური ადგილობრივი მმართველობით. ზემოაღნიშნული კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად, „რეგიონი ემყარება უფლებამოსილების გაყოფას. საკანონმდებლო უფლებამოსილებას ახორციელებს რეგიონის ასამბლეა. აღმასრულებელ უფლებამოსილებას ახორციელებს რეგიონის მთავრობა. სასამართლოს უფლებამოსილებას ახორციელებენ რეგიონის სასამართლოები“. აქაც შეიძლება ითქვას, რომ ბრჩკოს მიმართ იქ არსებული მრავალეთნიკურობის გამო დაფიქსირდა სპეციფიკური, განსხვავებული, მაგრამ პრაგმატული მიდგომა.

თავდაპირველად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უმაღლესი წარმომადგენლის ოფისის მეშვეობით ახორციელებდა კონტროლს ბრჩკოს რეგიონის მთავრობაზე საერთაშორისო ზედამხედველთან ერთად, რომელსაც ჰქონდა გავლენა ადგილობრივ მმართველობაზე, ახდენდა მონიტორინგს დეიტონის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით და ახორციელებდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს. დღევანდელი მდგომარეობით, ბრჩკოს რეგიონის მთავრობა გაეროს ზედამხედველობისგან დამოუკიდებელია.

ეუთომ და EUFOR-მა შეინარჩუნეს თავიანთი როლი რეგიონში, ხოლო ევროკავშირის დელეგაციამ დააარსა ოფისი. მისი უმაღლესი წარმომადგენლის მანდატი უცვლელი დარჩა.

კვლევისას აშკარა გახდა: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონფლიქტის გადაჭრისას ეთნოტერიტორიული მიდგომის ჩამოყალიბება უფრო შესაძლებელი ყოფილა, ვიდრე ეთნიკური პრობლემების მოგვარება, თუმცა იმედის მომცემია ბრჩკოს რეგიონში მიმდინარე პროცესები. როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებული სტატუსის გამო ბრჩკო ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახელმწიფოს ყველაზე ეთნიკურად ჭრელი ტერიტორიაა. აქ, სუბიექტებისაგან განსხვავებით, მისი სასკოლო სისტემა ინტეგრირებულია და სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდები ერთად სწავლობენ. ბრჩკოს რეგიონის ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და პოლიტიკური მდგომარეობაც წლების განმავლობაში ნელ-ნელა უმჯობესდება.

კონფლიქტის შემდეგ პოლიტიკური და ეთნიკური ნაპრალი მოსახლეობის წევრებს შორის ჯერ კიდევ დიდია. როგორცა ჩანს, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, განსაკუთრებით საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, პრობლემები ძირეულად არ აღმოფხვრილა. შემდგარი და ქმედითუნარიანი სახელმწიფოს აშენება ეს ისევ ბოსნიელების საქმეა და, როგორცა ჩანს, ამაზე უწყვეტი მუშაობა მიმდინარეობს. ამის ნათელი დადასტურებაა 2016 წლის 16 თებერვლის განაცხადი ევროკავშირში განწერიანების თაობაზე. ფაქტია, ეს ნაბიჯი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოსახლეობის მისწრაფებებს გამოხატავს და ცალსახად მიუთითებს, რომ დიდი ნაბიჯებია გადადგმული კონფლიქტის სრულმაშტაბიანი მოგვარების მიზნით. რაც შეეხება საფრთხეებს, ვფიქრობთ, ის უფრო დიდი მოცულობით იყო მოსალოდნელი, მაგრამ კონფლიქტის ხელახალი დაშვება დაპირისპირებულებმა თვითონვე გამორიცხეს.

# ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია

## პრეამბულა

ეფუძნებიან რა ადამიანთა ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის პატივისცემას,

მიისწრაფიან რა მშვიდობის, სამართლიანობის, შემწყნარებლობისა და შერიგებისკენ,

არიან რა დარწმუნებულნი, რომ დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტები და სამართლიანი პროცედურები საუკეთესოდ უზრუნველყოფენ მშვიდობიან ურთიერთობებს პლურალისტურ საზოგადოებაში,

სურთ რა ხელი შეუწყონ საყოველთაო კეთილდღეობასა და ეკონომიკურ ზრდას კერძო საკუთრების დაცვისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზით,

ხელმძღვანელობენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნესდების მიზნებითა და პრინციპებით,

არიან რა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ერთგულნი და იზიარებენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს,

მტკიცედ უზრუნველყოფენ რა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განუხრელ დაცვას,

ხელმძღვანელობენ რა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით, საერთაშორისო პაქტებით სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ და იმ პირთა უფლებების დეკლარაციით, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს, აგრეთვე სხვა დოკუმენტებით ადამიანის უფლებების საკითხებში,

იმონმებენ რა ძირითად პრინციპებს, რომლებიც შეთანხმებულია 1995 წლის 8 სექტემბერს ჟენევაში და 1995 წლის 26 სექტემბერს

ნიუ-იორკში, ბოსნიელები, სერბები და ხორვატები, როგორც ხალხები (სხვა ხალხებთან ერთად), რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის მოსახლეობასა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეებს, იღებენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის წინამდებარე კონსტიტუციას:

## **მუხლი I.**

### **ბოსნია და ჰერცეგოვინა**

#### **1. მემკვიდრეობა**

რესპუბლიკა ბოსნია და ჰერცეგოვინა, ამიერიდან ოფიციალური სახელწოდებით „ბოსნია და ჰერცეგოვინა“, განაგრძობს თავის სამართლებრივ არსებობას საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, როგორც სახელმწიფო, რომელსაც აქვს შინაგანი სტრუქტურა, შეცვლილი ამ კონსტიტუციის თანახმად, და ამჟამინდელი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები. ის რჩება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოდ და შეიძლება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახით შეინარჩუნოს თავისი წევრობა გაეროს სისტემის ორგანიზაციებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ან შეიტანოს განაცხადი ამ ორგანიზაციებში შესვლის შესახებ.

#### **2. დემოკრატიული პრინციპები**

ბოსნია და ჰერცეგოვინა წარმოადგენს დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც ფუნქციონირებს კანონის უზენაესობისა და თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე.

#### **3. შიშაღმანლოვა**

ბოსნია და ჰერცეგოვინა შედგება ორი სუბიექტისაგან - ბოს-

ნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და რესპუბლიკა სრპსკა (შემდგომში სუბიექტები).

#### **4. საქონლის გადაადგილება**

მომსახურებები, კაპიტალი და ადამიანები. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთელ ტერიტორიაზე არსებობს გადაადგილების თავისუფლება. ბოსნია და ჰერცეგოვინა და მისი სუბიექტები არ უშლიან ხელს ადამიანების, საქონლის, მომსახურებებისა და კაპიტალის გადაადგილებას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთელ ტერიტორიაზე. არც ერთი სუბიექტი არ ახდენს კონტროლს სუბიექტებს შორის საზღვარზე.

#### **5. დედაქალაქი**

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დედაქალაქია სარაევო.

#### **6. სიმბოლიკა**

ბოსნიასა და ჰერცეგოვინას აქვს სიმბოლიკა, რომელსაც განსაზღვრავს საპარლამენტო ასამბლეა და ამტკიცებს პრეზიდენტი.

#### **7. მოქალაქეობა**

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეობა, რომელიც რეგულირდება საპარლამენტო ასამბლემის მიერ, და თითოეული სუბიექტის მოქალაქეობა, რომელიც რეგულირდება თითოეული სუბიექტის მიერ, განისაზღვრება შემდეგი პირობებით:

- ა) ნებისმიერი სუბიექტის მოქალაქე არის ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქე;
- ბ) არც ერთ პირს არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეობა ან სუბიექტის მოქალაქეობა, ან დარჩეს მოქალაქეობის გარეშე. არც ერთ პირს არ შეიძლება ჩამოერთვას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის

მოქალაქეობა ან სუბიექტის მოქალაქეობა ისეთი მიზეზის გამო, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა მრწამსი, ეროვნული ან სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობის კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება ან სხვა გარემოება;

- გ) ყველა პირი, რომელიც იყო ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის მოქალაქე უშუალოდ ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის წინ, არის ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქე. იმ პირთა მოქალაქეობა, რომლებიც ნატურალიზებული იყვნენ 1992 წლის 6 აპრილის შემდეგ, ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, რეგულირდება საპარლამენტო ასამბლეის მიერ;
- დ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეებს შეუძლიათ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის შენარჩუნება, თუკი ბოსნიასა და ჰერცეგოვინას და იმ სახელმწიფოს შორის დადებულია ორმხრივი ხელშეკრულება ამ საკითხზე, რომელიც მოწონებულია საპარლამენტო ასამბლეის მიერ IV (4) (დ) მუხლის შესაბამისად. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს ხმის მიცემა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოსნია და ჰერცეგოვინა არის მათი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა;
- ე) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეს საზღვარგარეთ იცავს ბოსნია და ჰერცეგოვინა. თითოეულ სუბიექტს შეუძლია თავის მოქალაქეებზე ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პასპორტების გაცემა საპარლამენტო ასამბლეის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ბოსნიასა და ჰერცეგოვინას შეუძლია პასპორტის გაცემა იმ მოქალაქეებზე, რომლებმაც არ მიიღეს სუბიექტის პასპორტი. სუბიექტებისა და ბოსნიის და ჰერცეგოვინის მიერ გაცემული ყველა პასპორტი შეტანილ უნდა იქნეს ცენტრალურ რეესტრში.



# **მუხლი II. ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები**

## **1. ადამიანის უფლებები**

ბოსნია და ჰერცეგოვინა და ორივე სუბიექტი უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფენ ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას. ამ მიზნით იქმნება ადამიანის უფლებების კომისია ბოსნიისა და ჰერცეგოვინისთვის, როგორც ეს გათვალისწინებულია ზოგადი ჩარჩო ხელშეკრულების მე-6 დანართში.

## **2. საერთაშორისო ნორმები**

ევროპული კონვენციითა და მისი ოქმებით განმტკიცებული უფლებები და თავისუფლებები პირდაპირ მოქმედებენ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. მათ მოეპოვებათ უპირატესი ძალა სამართლის ყველა სხვა ნორმასთან მიმართებით.

## **3. უფლებათა ჩამონათვალი**

ყველა პირი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე სარგებლობს მე-2 პუნქტში ნახსენები ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით. მათ შორისაა:

- ა) სიცოცხლის უფლება;
- ბ) უფლება წამებისაგან, არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან დასჯისაგან თავისუფლებისა;
- გ) უფლება, არ იმყოფებოდეს მონობაში ან სხვაზე დამოკიდებულ მდგომარეობაში და არ ახორციელებდეს იძულებით ან სავალდებულო შრომას;
- დ) თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება;
- ე) სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლიანი სასამართლოს უფლება და სისხლის სამართლის

- სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები;
- ვ) პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და კორესპონდენციის ხელშეუხებლობის უფლება;
  - ზ) აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
  - თ) აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება;
  - ი) მშვიდობიანი შეკრებებისა და სხვებთან ასოციაციის თავისუფლება;
  - კ) ქორწინებისა და ოჯახის შექმნის თავისუფლება;
  - ლ) ქონების უფლება;
  - მ) განათლების უფლება;
  - ნ) თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

#### **4. არადისკრიმინაცია**

ამ მუხლსა ან ამ კონსტიტუციის 1-ელ დანართში ჩამოთვლილ შეთანხმებებში გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში უზრუნველყოფილია ყველა პირისთვის დისკრიმინაციის გარეშე, რა ნიშნითაც არ უნდა იყოს ეს: სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა მრწამსი, ეროვნული ან სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება თუ სხვა გარემოება.

#### **5. ლტოლვილები და ადგილმონაცვლე პირს აქვს მშობლიურ სახლებში თავისუფლად დაბრუნების უფლება.**

ყველა ლტოლვილსა და ადგილმონაცვლე პირს აქვს მშობლიურ სახლებში თავისუფლად დაბრუნების უფლება. ზოგადი ჩარჩო ხელშეკრულების მე-7 დანართის შესაბამისად, მათ აქვთ უფლება დაიბრუნონ ქონება, რომელიც დაკარგეს 1991 წლიდან საბრძოლო მოქმედებების დროს, და კომპენსაციის მიღების უფლება ნებისმიერ ისეთ ქონებაზე, რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას. ყველა

ის ვალდებულება ან განცხადება ასეთ ქონებასთან მიმართებით, რომელიც დაეკისრა პირს ან გაკეთდა იძულებით, ძალადაკარგულად მიიჩნევა.

**6. განხორციელება**

ბოსნია და ჰერცეგოვინა და ყველა სასამართლო, სააგენტო, სახელმწიფო ორგანო და მექანიზმი, რომლებიც გამოიყენება სუბიექტების მიერ ან მოქმედებს მათში, ახორციელებს და იცავს ზემოთ, მე-2 პუნქტში, ნახსენებ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს.

**7. საერთაშორისო ხელშეკრულებები**

ბოსნია და ჰერცეგოვინა რჩება ან ხდება ამ კონსტიტუციის 1-ელ დანართში ჩამოთვლილი საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე.

**8. თანამშრომლობა**

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ყველა კომპეტენტური ორგანო თანამშრომლობს და შეუზღუდავად მიუწვდება ხელი: ბოსნიასა და ჰერცეგოვინისთვის შექმნილი ყველა ადამიანის უფლებების საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმზე; ამ კონსტიტუციის 1-ელ დანართში ჩამოთვლილ ნებისმიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიერ დადგენილ სამეთვალყურეო ორგანოებზე; ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალზე (კერძოდ, შეასრულებს ტრიბუნალის დებულების 29-ე მუხლის შესაბამისად გაცემულ ბრძანებებს); და ნებისმიერ სხვა ორგანიზაციაზე, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ გადასცა მანდატი ადამიანის უფლებების ან ჰუმანიტარული სამართლის დარგში.

# მუხლი III. ბოსნიისა და ჰერცეგოვინისა და მისი სუბიექტების

## ინსტიტუტების ურთიერთობები და

### ვალდებულებები

#### 1. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების ვალდებულებები

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების ვალდებულებებია:

- ა) საგარეო პოლიტიკა;
- ბ) საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა;
- გ) საბაჟო პოლიტიკა;
- დ) მონეტარული პოლიტიკა, როგორც ეს გათვალისწინებულია VII მუხლში;
- ე) ინსტიტუტების ფინანსები და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საერთაშორისო ვალდებულებები;
- ვ) პოლიტიკა და რეგულირება იმიგრაციის, ლტოლვილებისა და თავშესაფრის დარგში;
- ზ) საერთაშორისო დონესა და სუბიექტების დონეზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის ინტერპოლთან ურთიერთობა;
- თ) საერთო და საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალებათა ჩამოყალიბება და ფუნქციონირება.
- ი) სუბიექტებს შორის სატრანსპორტო კავშირის რეგულირება;
- კ) საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის კონტროლი.

## 2. სუბიექტების ვალდებულებები

- ა) სუბიექტებს უფლება აქვთ განსაკუთრებული პარალელური ურთიერთობები დაამყარონ მეზობელ სახელმწიფოებთან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ვითარებაში.
- ბ) თითოეული სუბიექტი ყველა საჭირო დახმარებას უნევს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთავრობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების დაცვა. პასუხისმგებლობას ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებსაც კისრულობს ერთი სუბიექტი მეორე სუბიექტის თანხმობის მიუღებლად ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საპარლამენტო ასამბლეისა და პრეზიდენტის არჩევნებამდე, საკუთარ თავზე იღებს თვით ეს სუბიექტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ვალდებულება ეხება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის წევრობის გაგრძელებას.
- გ) სუბიექტები უზრუნველყოფენ უსაფრთხო და საიმედო პირობებს ყველა პირისათვის საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში სამოქალაქო სამართალდამცავი დაწესებულებების ქონის გზით, რომლებიც მოქმედებენ საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, იცავენ ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე კონსტიტუციის II მუხლში, აგრეთვე სხვა სათანადო ზომების მიღების გზით.
- დ) თითოეულ სუბიექტს საპარლამენტო ასამბლეის თანხმობით შეუძლია დადოს შეთანხმებები სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საკანონმდებლო წესით საპარლამენტო ასამბლეას შეუძლია დაადგინოს, რომ ზოგიერთი სახის შეთანხმება არ საჭიროებს ასეთ თანხმობას.

### **3. კანონი და სუბიექტებისა და ინსტიტუტების ვალ- დებულებები**

- ა) ყველა სამთავრობო ფუნქციასა და უფლებამოსილებას, რომლებიც პირდაპირ არ ეკისრება ამ კონსტიტუციით ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტებს, ასრულებენ სუბიექტები.
- ბ) სუბიექტები და მათი ნებისმიერი ქვედანაყოფი სრულად იცავენ ამ კონსტიტუციას, რომელიც ცვლის მასთან შეუთავსებელ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კანონმდებლობისა და სუბიექტების კონსტიტუციებისა და კანონმდებლობის დებულებებს, და ასრულებენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების გადანყვეტილებებს. საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები წარმოადგენენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის და სუბიექტების კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს.

### **4. კოორდინაცია**

პრეზიდენტი შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სუბიექტებს შორის იმ საკითხების კოორდინაციისთვის ხელშეწყობის შესახებ, რომლებიც არ შედის ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კომპეტენციაში, წინამდებარე კონსტიტუციის თანახმად, ოღონდ მაშინ, თუ რომელიმე სუბიექტი არ იქნება ამის წინააღმდეგი.

### **5. დამატებითი ვალდებულებები**

- ა) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ეკისრება პასუხისმგებლობა იმ სხვა საკითხებზე, რომლებიც შეთანხმებულია სუბიექტების მიერ და გათვალისწინებულია ზოგადი ჩარჩო შეთანხმების მე-5 და მე-8 დანართებში ან საჭიროა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო სამართალსუბიექტის შესანარჩუნებლად, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტებს შორის ვალდებულებათა

განანილების შესაბამისად. ასეთი ვალდებულებების შესასრულებლად საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შეიქმნეს დამატებითი ინსტიტუტები.

- ბ) ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ექვსი თვის განმავლობაში სუბიექტები დაინყებენ მოლაპარაკებებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების ვალდებულებებში სხვადასხვა საკითხის ჩართვის შესახებ, მათ შორის, ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და ერთობლივი ეკონომიკური პროექტების მიმართულებით.

## **მუხლი IV. საპარლამენტო ასამბლეა**

საპარლამენტო ასამბლეა შედგება ორი პალატისაგან: ხალხთა პალატისა და წარმომადგენლობითი პალატისაგან.

### **1. ხალხთა პალატა**

ხალხთა პალატა შედგება 15 დეპუტატისაგან, რომელთა ორი მესამედი – ფედერაციიდან (ხუთი ხორვატი და ხუთი ბოსნიელი) და ერთი მესამედი – რესპუბლიკა სრპსკიდან (ხუთი სერბი) არიან წარმოდგენილნი.

- ა) ფედერაციიდან დანიშნულ ხორვატ და ბოსნიელ დეპუტატებს შესაბამისად ხორვატი და ბოსნიელი დეპუტატები ირჩევენ ფედერაციის ხალხთა პალატაში. დეპუტატები რესპუბლიკა სრპსკიდან აირჩევიან რესპუბლიკა სრპსკის ეროვნული ასამბლეის მიერ.
- ბ) ხალხთა პალატის ცხრა წევრი შეადგენს კვორუმს – სულ მცირე სამი ბოსნიელი, სამი სერბი და სამი ხორვატი დეპუტატი.

## 2. წარმომადგენელთა პალატა

წარმომადგენელთა პალატა შედგება 42 წევრისაგან, რომელთა ორ მესამედს ირჩევენ ფედერაციის ტერიტორიიდან, ხოლო ერთ მესამედს კი - რესპუბლიკა სრპსკის ტერიტორიიდან.

- ა) წარმომადგენელთა პალატის წევრებს ირჩევენ უშუალოდ თავიანთი სუბიექტიდან, არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად, რომელიც მიიღება საპარლამენტო ასამბლეის მიერ. ამასთანავე, პირველი არჩევნები ტარდება ზოგადი ჩარჩო შეთანხმების მე-3 დანართის შესაბამისად.
- ბ) წარმომადგენელთა პალატაში არჩეულ წევრთა უმრავლესობა ქმნის კვორუმს.

## 3. პროცედურები

- ა) თითოეული პალატა იკრიბება სარაევოში მისი ფორმირებიდან ან მისი არჩევნებიდან არაუგვიანეს 30 დღეში.
- ბ) თითოეული პალატა ხმათა უმრავლესობით იღებს თავის შიდა რეგლამენტს და თავისი წევრებიდან ირჩევს ერთ სერბს, ერთ ბოსნიელსა და ერთ ხორვატს მისი თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების ფუნქციათა შესასრულებლად, ამასთანავე, ამ სამი არჩეული პირიდან თითოეული მონაცვლეობით იკავებს თავმჯდომარის თანამდებობას.
- გ) ყველა საკანონმდებლო აქტს ამტკიცებს ორივე პალატა.
- დ) ყველა გადაწყვეტილება ორივე პალატაში მიიღება დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობის მიერ. დეპუტატები და წევრები მაქსიმალურად ცდილობენ ამ უმრავლესობაში შედიოდეს თითოეული სუბიექტი ტერიტორიიდან დეპუტატების ან წევრების ხმათა, სულ მცირე, ერთი მესამედი. თუ ხმათა უმრავლესობა არ მოიცავს თითოეული სუბიექტის ტერიტორიიდან დეპუტატების ან წევრების ხმათა ერთ მესამედს, მაშინ თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები ქმნიან კომისიას და ცდილობენ მიაღწიონ



საკითხის დამტკიცებას კენჭისყრის მომენტიდან სამი დღის განმავლობაში. თუ ეს ძალისხმევა წარუმატებელი აღმოჩნდება, მაშინ გადანყვეტილებები მიიღება დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა ხმათა უმრავლესობით იმ პირობით, რომ საკითხის წინააღმდეგ ხმის მიმცემთა რიცხვში არ შევლენ იმ დეპუტატთა ან წევრთა ორი მესამედი ან მეტი, რომლებიც არჩეულნი არიან თითოეული სუბიექტიდან.

- ე) ამავე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად შერჩეული ბოსნიელი, სერბი ან ხორვატი დელეგატების მიერ საპარლამენტო ასამბლეის მიღებული გადანყვეტილება შეიძლება გამოცხადებულ იქნეს როგორც ბოსნიელი, სერბი ან ხორვატი ხალხების სასიცოცხლო ინტერესებისთვის საწინააღმდეგო. ხალხთა პალატაში ასეთი გადანყვეტილების დასამტკიცებლად საჭიროა დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე ბოსნიელი, სერბი და ხორვატი დეპუტატების უმრავლესობა.
- ვ) როდესაც ბოსნიელი, სერბი ან ხორვატი დეპუტატების უმრავლესობა გამოდის „ე“ პუნქტის გამოყენების წინააღმდეგ, ხალხთა პალატის თავმჯდომარე ამ საკითხის გადასაჭრელად დაუყოვნებლივ იწვევს ერთობლივ კომისიას, რომელიც შედგება სამი დეპუტატისაგან, რომლებსაც ირჩევენ საკუთარი რიგებიდან ბოსნიელი, სერბი და ხორვატი დეპუტატები. თუ კომისია ვერ ახერხებს საკითხის გადაჭრას ხუთი დღის განმავლობაში, მაშინ ის გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც დაჩქარებული წესით განიხილავს საკითხს.
- ზ) ხალხთა პალატა შეიძლება დათხოვნილ იქნეს პრეზიდენტის მიერ ან თავისი საკუთარი გადანყვეტილებით. ხალხთა პალატის გადანყვეტილებას დათხოვნის შესახებ ამტკიცებს უმრავლესობა, რომელშიც შედის სულ მცირე ორი ბოსნიელი, ორი სერბი ან ორი ხორვატი დეპუტატი. ხალხთა პალატა, რომელიც არჩეულია ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის

- შემდეგ პირველი მოწვევით, არ შეიძლება იყოს დათხოვნილი.
- თ) საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებები ძალაში არ შედის გამოქვეყნებამდე.
  - ი) ორივე პალატა აქვეყნებს სრულ ანგარიშს თავისი სხდომების შესახებ და, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა, რომლებიც განისაზღვრებიან მათი რეგლამენტით, არის საჯარო.
  - კ) დეპუტატები და წევრები არ შეიძლება გადაეცენ სისხლის სამართლის ან სამოქალაქო პასუხისგებაში საპარლამენტო ასამბლეაში თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას მათ მიერ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების გამო.

#### **4. უფლებამოსილებები**

საპარლამენტო ასამბლეის უფლებამოსილებაა:

- ა) კანონმდებლობის მიღება, რომელიც საჭიროა პრეზიდენტის გადაწყვეტილებების ან ამ კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად;
- ბ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების საქმიანობის ფინანსირებისთვის განკუთვნილ წყაროებთან და შენატანი თანხების მოცულობა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საერთაშორისო ვალდებულებებთან მიმართებით გადაწყვეტილებების მიღება;
- გ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტების ბიუჯეტის დამტკიცება;
- დ) ხელშეკრულებების რატიფიკაციაზე თანხმობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;
- ე) მისი ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო ნებისმიერი სხვა საკითხის ან სუბიექტების ურთიერთთანხმობით მისთვის გადაცემული საკითხების გადაჭრა.

## **მუხლი V. პრეზიდენტი**

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტი შედგება სამი წევრისაგან: ერთი ბოსნიელი და ერთი ხორვატი, რომელთაგან თითოეული აირჩევა უშუალოდ ფედერაციის ტერიტორიიდან, და ერთი სერბი, რომელსაც ირჩევენ უშუალოდ რესპუბლიკა სრპსკის ტერიტორიიდან.

### **1. არჩევნები და უფლებამოსილების ვადა**

- ა) პრეზიდენტის წევრებს ირჩევენ უშუალოდ თითოეულ სუბიექტში (ამასთანავე, თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პრეზიდენტში ერთი ადგილის შევსებას) არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად, რომელიც მიღებულია საპარლამენტო ასამბლეის მიერ. პირველი არჩევნები ტარდება ზოგადი ჩარჩო ხელშეკრულების მე-3 დანართის შესაბამისად. ვაკანტური ადგილი პრეზიდენტში ივსება შესაბამისი სუბიექტიდან საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული კანონის თანახმად.
- ბ) პირველი არჩევნების დროს არჩეული პრეზიდენტის წევრების უფლებამოსილებების ვადა არის ორი წელი; შემდგომ არჩევნებში არჩეული წევრების უფლებამოსილებების ვადა შეადგენს ოთხ წელს. წევრები შეიძლება აირჩიონ განმეორებით ერთხელ, რის შემდეგაც ისინი არ შეიძლება არჩეულ იქნენ ოთხი წლის განმავლობაში.

### **2. პროცედურები**

- ა) პრეზიდენტი განსაზღვრავს საკუთარ პროცედურულ წესებს.
- ბ) პრეზიდენტის წევრები ნიშნავენ თავმჯდომარეს საკუთარი რიგებიდან. პრეზიდენტის უფლებამოსილებების პირველი

ვადის განმავლობაში თავმჯდომარე ის წევრია, რომელმაც მიიღო ხმის ყველაზე მეტი რაოდენობა. თავმჯდომარის არჩევის გზა - როტაციით ან სხვა წესით - განისაზღვრება საპარლამენტო ასამბლეის მიერ IV (3) მუხლის დებულებების გათვალისწინებით.

- გ) პრეზიდიუმი ცდილობს, ყველა თავისი გადანყვეტილება მიიღოს კონსენსუსის გზით (ე.ი. ის საკითხები, რომელიც ექვემდებარება V მუხლს (3) (ა)-(ე)). თუმცა, თუ ძალისხმევა კონსენსუსის მისაღწევად წარუმატებელია, მაშინ, ქვემოთ მოცემული „დ“ პუნქტის თანახმად, ასეთი გადანყვეტილებები შეიძლება მიიღოს ორმა წევრმა.
- დ) პრეზიდიუმის წევრს, რომელიც არ ეთანხმება პრეზიდიუმის გადანყვეტილებას, მისი მიღების მომენტიდან სამი დღის ვადაში შეუძლია გადანყვეტილება გამოაცხადოს იმ სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ზიანის მომტანად, რომლის ტერიტორიიდანაც არჩეულ იქნა თვითონ. თუ გადანყვეტილებას მხარს არ უჭერს წევრი, რომელიც წარმოადგენს რესპუბლიკა სრპსკას, მისი განცხადება დაუყოვნებლივ გადაეცემა რესპუბლიკა სრპსკის ეროვნულ ასამბლეას. თუ გადანყვეტილებას მხარს არ უჭერს ბოსნიელი წევრი, განცხადება გადაეცემა ფედერაციის ხალხთა პალატის ბოსნიელ დეპუტატებს, ხოლო ხორვატი წევრის განცხადება გადაეცემა ფედერაციის ზემოაღნიშნული ორგანოს ხორვატელ დეპუტატებს. თუ ასეთი სახის განცხადება მტკიცდება ამ პირების ხმათა ორი მესამედით გადაცემის მომენტიდან ათი დღის განმავლობაში, მაშინ პრეზიდიუმის სადავო გადანყვეტილება ძალაში არ შედის.

### 3. უფლებამოსილებანი

პრეზიდენტის კომპეტენციის სფეროა:

- ა) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საგარეო პოლიტიკის წარმართვა;
- ბ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ელჩებისა და სხვა საერთაშორისო წარმომადგენლების დანიშვნა, რომელთა არაუმეტეს ორი მესამედისა შერჩეულ იქნება ფედერაციის ტერიტორიიდან;
- გ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის წარდგენა საერთაშორისო და ევროპულ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში. ისეთ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში განევრიანება, რომელთა წევრი ბოსნია და ჰერცეგოვინა ჯერ კიდევ არ არის;
- დ) საპარლამენტო ასამბლეის თანხმობით საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ მოლაპარაკება, მათი შედგენა და რატიფიცირება;
- ე) საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებების შესრულება;
- ვ) მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციით საპარლამენტო ასამბლეისთვის წლიური ბიუჯეტის წარდგენა;
- ზ) წელიწადში სულ ცოტა ერთხელ ანგარიშის წარდგენა საპარლამენტო ასამბლეისათვის პრეზიდენტის ხარჯებთან დაკავშირებით;
- თ) საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაცია;
- ი) საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად სხვა ფუნქციების შესრულება, რომლებიც შეიძლება დააკისროს მას საპარლამენტო ასამბლემ ან რომლებიც შეიძლება შეთანხმებულ იქნენ სუბიექტებთან.

#### **4. მინისტრთა საბჭო**

პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც უფლებამოსილია წარმომადგენელთა პალატის მიერ მისი დამტკიცებითანავე. თავმჯდომარე ნიშნავს საგარეო საქმეთა, საგარეო ვაჭრობისა და სხვა შესაბამის მინისტრებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან წარმომადგენელთა პალატის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.

- ა) მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში არიან თავმჯდომარე და მინისტრები, რომელთა კომპეტენცია არის ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პოლიტიკისა და გადამწყვეტილებების განხორციელება III (1), (4) და (5) მუხლის შესაბამისად და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ხარჯების შესახებ მოხსენების წარდგენა საპარლამენტო ასამბლეისთვის (არანაკლებ ერთხელ წელიწადში).
- ბ) ფედერაციის ტერიტორიიდან შეიძლება დაინიშნოს მინისტრთა არანაკლებ ორი მესამედი. თავმჯდომარე ამასთანავე, ნიშნავს მინისტრების მოადგილეებს (მინისტრი და მისი მოადგილე არ შეიძლება იყვნენ ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები), რომლებიც უფლებამოსილნი არიან წარმომადგენელთა პალატის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.
- გ) მინისტრთა საბჭო უნდა გადადგეს მაშინვე, როგორც კი საპარლამენტო ასამბლეა მას უნდობლობას გამოუცხადებს.

#### **5. მუდმივმოქმედი კომიტეტი**

- ა) პრეზიდენტის თითოეულ წევრს აქვს შეიარაღებული ძალების შესახებ სამოქალაქო გადამწყვეტილებების მიღების უფლება. არც ერთი სუბიექტი არ უნდა ემუქრობოდეს ან იყენებდეს ძალას სხვა სუბიექტის მიმართ, და არანაირი გარემოებისას არც ერთი სუბიექტის შეიარაღებული ძა-

ლა არ უნდა შედიოდეს ან თავსდებოდეს სხვა სუბიექტის ტერიტორიაზე მთავრობისა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტის თანხმობის უქონლად. შეიარაღებული ძალები ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მოქმედებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შესაბამისად.

- ბ) პრეზიდენტის წევრები ირჩევენ სამხედრო საქმეთა მუდმივმოქმედ კომიტეტს, კერძოდ, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში შეიარაღებული ძალების მოქმედების კოორდინაციისთვის. პრეზიდენტის წევრები იმავდროულად არიან მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრები.

## **მუხლი VI. საკონსტიტუციო სასამართლო**

### **1. შემადგენლობა**

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში არის ცხრა წევრი.

- ა) ოთხ წევრს არჩევს ფედერაციის წარმომადგენელთა პალატა და ორ წევრს – რესპუბლიკა სრპსკის ასამბლეა. დანარჩენ სამ წევრს არჩევს ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ.
- ბ) მოსამართლეები არიან მაღალი მორალის მქონე გამოჩენილი იურისტები. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება გახდეს ნებისმიერი ამომრჩეველი, რომელსაც აქვს საამისო კვალიფიკაცია. ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ შერჩეული მოსამართლეები არ უნდა იყვნენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ან ნებისმიერი მეზობელი სახელმწიფოს მოქალაქეები.
- გ) თავდაპირველად დანიშნული მოსამართლეების უფლებამო-

სიღებების ვადა განისაზღვრება ხუთ წლით, თუკი ისინი არ გადადგნენ ან მათ არ ათავისუფლებენ თანამდებობიდან ამა თუ იმ მიზეზით სხვა მოსამართლეები საერთო თანხმობის შედეგად. თავდაპირველად დანიშნული მოსამართლეები არ შეიძლება განმეორებით იყვნენ დანიშნულნი. შემდგომში დანიშნული მოსამართლეები მსახურობენ 70 წლამდე, თუკი ისინი არ გადადგნენ ან მათ არ ათავისუფლებენ თანამდებობიდან ამა თუ იმ მიზეზით სხვა მოსამართლეები საერთო თანხმობის შედეგად.

- დ) მოსამართლეთა თავდაპირველი დანიშენიდან, ხუთი წლის შემდეგ საპარლამენტო ასამბლეამ, შესაძლოა, კანონით გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ სამი მოსამართლის შერჩევის სხვადასხვა მეთოდი.

## 2. პროცედურები

- ა) სასამართლოს წევრთა უმრავლესობა ქმნის კვორუმს.
- ბ) სასამართლო იღებს საკუთარ რეგლამენტს წევრების ხმათა უმრავლესობით. ის ატარებს ღია მოსმენებს და ასაბუთებს თავის გადაწყვეტილებებს. გადაწყვეტილებები ექვემდებარება გასაჯაროებას.

## 3. იურისდიქცია

საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს წინამდებარე კონსტიტუციის დაცვას.

- ა) საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს ექსკლუზიური უფლება, გადაწყვიტოს ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიქმნება სუბიექტებს შორის ან ბოსნიასა და ჰერცეგოვინასა და სუბიექტს ან სუბიექტებს შორის, ან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტებს შორის, კერძოდ:
  - რამდენად შეესაბამება სუბიექტის გადაწყვეტილება მეზობელ



სახელმწიფოსთან განსაკუთრებული პარალელური ურთიერთობების დამყარების შესახებ ამ კონსტიტუციას იმ დებულებების გათვალისწინებით, რომლებიც ეხებიან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას;

- შეესაბამება თუ არა სუბიექტის კონსტიტუციის ან კანონის ესა თუ ის დებულება წინამდებარე კონსტიტუციას.

დავები განსახილველად შეიძლება გაიგზავნოს მხოლოდ პრეზიდენტის ნებართვით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, საპარლამენტო ასამბლეის ან თუ იმ პალატის თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის, საპარლამენტო ასამბლეის ან თუ იმ პალატის წევრთა ერთი მეოთხედის ან სუბიექტის საკანონმდებლო ორგანოს ან თუ იმ პალატის წევრთა ერთი მეოთხედის მიერ.

ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს აგრეთვე მოეპოვება სააპელაციო იურისდიქცია წინამდებარე კონსტიტუციის შესაბამისად ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ნებისმიერი სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

გ) საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება იმ საკითხებზე, რომლებიც განიხილება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ნებისმიერი სასამართლოს მიერ და რომლებიც ადგენენ, ხომ არ ეწინააღმდეგება კანონი, რომლის ნამდვილობაზე დამოკიდებული სასამართლოს გადაწყვეტილება, წინამდებარე კონსტიტუციას, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ ევროპულ კონვენციას ან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კანონებს.

#### **4. გადაწყვეტილება**

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები საბოლოო და სავალდებულოა.

## მუხლი VII. ცენტრალური ბანკი

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცენტრალური ბანკი ერთადერთი ორგანოა, რომელიც უშვებს ფულად ნიშნებს და განსაზღვრავს მონეტარულ პოლიტიკას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

1. ცენტრალური ბანკის ვალდებულებებს განსაზღვრავს საპარლამენტო ასამბლეა. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან პირველი ექვსი წლის განმავლობაში მას არ შეუძლია კრედიტების გაცემა ფულის ემისიის ხარჯზე, ამ თვალსაზრისით, ის არის სავალუტო კონტროლის ორგანო; შემდგომში საპარლამენტო ასამბლევას შეუძლია მიანიჭოს მას ეს უფლება.
2. ცენტრალური ბანკის მმართველთა პირველი საბჭოს შემადგენლობაში შედიან მმართველი, რომელიც ინიშნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ პრეზიდენთან კონსულტაციების შედეგად, და სამი წევრი, რომლებიც ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ, ორი - ფედრაციიდან (ერთი - ბოსნიელი და ერთი - ხორვატი, რომლებიც სარგებლობენ ერთადერთი ხმის უფლებით) და ერთი - რესპუბლიკა სრპსკიდან; მათი უფლებამოსილების ვადაა ექვსი წელი. მმართველს, რომელიც არ არის ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ან მეზობელი სახელმწიფოს მოქალაქე, შეუძლია მმართველთა საბჭოში თავისი გადამწყვეტი ხმის უფლება გამოიყენოს ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში.
3. შემდგომში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცენტრალური ბანკის მმართველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ხუთი წევრით. ისინი დაინიშნებიან პრეზიდენტის მიერ ექვსწლიანი ვადით. საბჭო საკუთარი რიგებიდან ნიშნავს მმართველს ექვსწლიანი ვადით.

## **მუხლი VIII. ფინანსები**

1. საპარლამენტო ასამბლეა პრეზიდენტის წარდგინებით ყოველწლიურად ამტკიცებს ბიუჯეტს, რომელიც ფარავს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაწესებულებების ფუნქციების შესრულებასა და აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.
2. თუ ეგ ბიუჯეტი დროულად არ მტკიცდება, მაშინ დროებით გამოიყენება წინა წლის ბიუჯეტი.
3. ფედერაცია უზრუნველყოფს ბიუჯეტში შეტანილი თანხის ორ მესამედს, ხოლო რესპუბლიკა სრპსკა - ერთ მესამედს.

## **მუხლი IX. ზოგადი დებულებანი**

1. პირებს, რომლებიც სასჯელს იხდიან ყოფილი იუგოსლავიისთვის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენით, და პირებს, რომელთა მიმართ ტრიბუნალმა გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და მათ კი არ შეასრულეს დადგენილებები ტრიბუნალზე გამოცხადების შესახებ, არ შეუძლიათ რაიმე ადმინისტრაციული არჩევითი ან სხვა სახელმწიფო თანამდებობების დაკავება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე.
2. კომპენსაცია იმ პირებისთვის, რომლებსაც უკავიათ თანამდებობა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტებში, არ ექვემდებარება შემცირებას თანამდებობის პირის ვალდებულებების შესრულების მთელი ვადის განმავლობაში.
3. თანამდებობის პირები, რომლებიც ინიშნებიან თანამდებობებზე ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსტიტუტებში, ძირითადად ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ხალხების წარმომადგენლები არიან.

## **მუხლი X. შესწორებების შეტანა**

### **1. შესწორებების შეტანის პროცედურა**

წინამდებარე კონსტიტუციაში შესწორებები შედის საპარლამენტო ასამბლეის დამსწრე უმრავლესობის ორი მესამედის გადანიყვეტილების საფუძველზე.

### **2. აღმინის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები**

წინამდებარე კონსტიტუციის არც ერთ შესწორებას არ შეუძლია გააუქმოს ამ კონსტიტუციის II მუხლში მოხსენიებული ნებისმიერი უფლება და თავისუფლება, ან შეცვალოს აღნიშნული პუნქტი.

## **მუხლი XI. გარდამავალი ღონისძიებები**

გარდამავალი ღონისძიებები, რომლებიც ეხება საჯარო სამსახურებს, კანონმდებლობასა და სხვა საკითხებს, ჩამოყალიბებულია ამ კონსტიტუციის II დანართში.

## **მუხლი XII. ძალაში შესვლა**

1. წინამდებარე კონსტიტუცია ძალაში შედის ზოგადი ჩარჩო ხელშეკრულების, როგორც საკონსტიტუციო აქტის ხელმოწერის შემდეგ. იგი ცვლის ან ჩაანაცვლებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის კონსტიტუციას.
2. წინამდებარე კონსტიტუციის ძალაში შესვლის მომენტიდან სამი თვის ვადაში სუბიექტებს შეაქვთ შესწორებები საკუთარ კონსტიტუციებში იმისათვის, რათა უზრუნველყონ მათი შესაბამისობა წინამდებარე კონსტიტუციასთან, მუხლი III (3) (ბ) თანახმად.

## თავი III.

# ბოსნიისა და ჰერცეგოვინის გზა ევროკავშირისაკენ

XX საუკუნის 90-იან წლებში ბოსნიამ და ჰერცეგოვინამ საკმაოდ რთული პერიოდი განვლო. მსოფლიომ დაინახა და იგრძნო მისი დაშლისა და დანაწევრების, შემდგომ რეკონსტრუქციისა და აღმშენებლობის მეტად რთული და, ამასთან ერთად ნელი, მტკივნეული პროცესი, თუმცა მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობა ფიქრობდა, რომ ეს პროცესი ერთ მშვენიერ დღეს ბოსნიასა და ჰერცეგოვინას მიიყვანდა ევროკავშირთან ინტეგრაციამდე.

დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებამ, რომელმაც სათავე დაუდო ქვეყანაში უმძიმესი ომის დასრულებას, მსოფლიოს აჩვენა: მოდავებმა შეძლეს ომისშემდგომი თანაცხოვრება. ქვეყანა დაიყო სამ პოლიტიკურ-ეთნიკურ ერთეულად: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რესპუბლიკა სრპსკა და ბრჩკოს ოლქი. მიუხედავად ქვეყნის პოლიტიკურ ერთეულებად დაყოფისა, რამდენიმე წლის შემდეგ ერთიანი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის მშენებლობამ დადებითი შედეგი გამოიღო. ამის დასტურად, შესაძლოა, განვიხილოთ 1998 წელს ერთიანი ვალუტის შემოღება და ცენტრალური ბანკის დაარსება. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სამართალდამცავი სისტემა ასეა წარმოდგენილი: შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების სამინისტრო, სახელმწიფო სასაზღვრო სამსახური, დაზვერვისა და უსაფრთხოების სააგენტო. თავდაცვის სისტემის ფორმირებისას გარკვეული პრობლემები შეექმნათ. სახელმწიფო დონეზე თავდაცვის სამინისტროს შექმნა შეძლეს მხოლოდ 2004 წლისათვის, თუმცა ჯერ კიდევ დიდი გზის გავლა იყო საჭირო, რომ დასავლური სტანდარტების შესატყვისი სრულყოფილი თავდაცვის სისტემა ჩამოეყალიბებინათ[6].

რეფორმების ძალაში შესვლიდან ქვეყანამ კიდევ მრავალი ცვლილება განიცადა როგორც საგარეო, ისე საშინაო პროცესებში (მათ გაითვალისწინეს ევროკავშირისა და ნატოს მიერ დანერგული მოთხოვნები). ევროკავშირი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს მის მიერ დადგენილი კრიტერიუმების, ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელებას. ამასთანავე, ზოგიერთმა დამკვირვებელმა მოითხოვა, ევროკავშირს ქვეყნის დახმარების უფრო მტკიცე ვალდებულება აეღო, რადგან ევროკავშირის გაფართოება ნაწილობრივ სადავო გახდა, რაც გამონაკლისი იყო საფრანგეთისა და ნიდერლანდების საკონსტიტუციო რეფერენდუმებით. ბოსნია და ჰერცეგოვინას ფაქტებისა და მოვლენებისადმი არასწორი მიდგომა ან რთული საერთო პირობები სათანადო დახმარების გაუნეწვლად ევროკავშირში ქვეყნის ინტეგრაციის პროცესს შეაჩერებდა.

ევროკავშირი ცდილობდა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში კონფლიქტის მართვის ყოვლისმომცველი მიდგომები ისეთი პოლიტიკური ინსტრუმენტების მომარჯვებით დაენერგა, როგორც არის შუამავლობა, ეკონომიკური და ჰუმანიტარული დახმარება, გრძელვადიანი ეკონომიკური და სამხედრო კრედიტები, სამშვიდობო მისიები. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბოსნია და ჰერცეგოვინა გახდა ის სფერო, სადაც ევროკავშირი აყალიბებს ახალ იდენტობას, როგორც რეგიონულ ნორმატიულ ძალას.

1999 წელს გადადგმულ იქნა პირველი დიდი ნაბიჯი — ეს გახლდათ ბოსნია და ჰერცეგოვინასა და ევროკავშირს შორის დადებული „სტაბილურობის პაქტი სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპისათვის (SPSEE)“ და შემდეგ გადაიდგა მეორე ნაბიჯიც. ეს იყო 2000 წელს „სტაბილიზაციისა და ასოციაციის პროცესი (SAP)“. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის მათი თანამშრომლობა მთლიანად გარკვეული არ იყო, ჩანდა, რომ ევროკავშირის ახალ მიზანს წარმოადგენდა ბალკანეთის ევროკავშირში ინტეგრაცია. სასურველია,

თუ მეტი არა, ასეთივე მიდგომები დააფიქსიროს ევროკავშირმა საქართველოსა და მის კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებით.

ევროკავშირმა გადაწყვიტა გაფართოების მეხუთე ტალღის განხორციელება, რომლის მიზანიც იყო საბჭოთა მმართველობისაგან განთავისუფლებული აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მიერთება, რათა უფრო მეტად შეენყო ხელი მათი განვითარებისათვის. ამის შედეგად 2004 წელს 10 ქვეყანა განეწიანდა ევროკავშირში: ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, პოლონეთი, მალტა და კვიპროსი (ბერძნული ნაწილი). ამან შესაძლებელი გახადა ბალკანეთის ქვეყნებსაც ეფიქრათ ევროკავშირის წევრობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განვითარებად ქვეყნებად მოიაზრებოდნენ.

ბოსნია და ჰერცეგოვინა 2003 წლის სალონიკის სამიტის შემდეგ დასახელებულ იქნა, როგორც ევროკავშირის წევრობის პოტენციური კანდიდატი. ბალკანეთის დასავლეთი რეგიონის მომავალი შეფასდა შემდეგნაირად: „ამ რეგიონის მომავალი ევროპის კავშირია“.

სტაბილურობის პაქტი ბალკანეთის სტაბილიზაციის სანყისი გახდა, ასევე, რეგიონში ნორმალური ურთიერთდამოკიდებულების საჭიროების გაცნობიერების ნყარო. ეს პაქტი მიჩნეულ იქნა, როგორც „ყველაზე რთული პოლიტიკური ნამოწყება რეგიონში“. იგი 40-ზე მეტმა ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციამ შექმნეს. სტაბილურობის პაქტი იყო მთავრობათაშორისი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობდა თანმშრომლობის ფორუმს.

ევროკავშირმა ხელი შეუწყო, ბალკანეთი „სტაბილურობის პაქტიდან“ გადასულიყო „სტაბილურობისა და ასოცირების პროცესზე“. ეს ახალი ამბიციური პროექტი საგანგებოდ შეიქმნა ბალკანეთის ქვეყნებისათვის. იგი შედგებოდა ექვსი ელემენტისაგან:

1. სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება რეგიონში;
2. ეკონომიკური და ფინანსური დახმარების გადანაწილება;

3. დემოკრატიის პროცესის განვითარების, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების, განათლებისა და ინსტიტუციური აღმშენებლობისათვის ხელშეწყობა;
4. სამართლიანობასა და სამინაო საქმეებში თანამშრომლობა;
5. პოლიტიკური დიალოგის წამოწყება და მართვა (თუ საჭირო იქნებოდა — რეგიონულ დონეზეც);
6. ახალი სტაბილიზაციისა და ასოციაციის შეთანხმება.

ყველაზე მნიშვნელოვანი გამოდგა ბოლო პუნქტი, რომელიც გახლდათ ევროკავშირის წევრობისაკენ მიმავალი გზის სტარტი. სტაბილიზაციისა და ასოციაციის შეთანხმების ეფექტური განხორციელება ევროკავშირის წევრობის წინაპირობა იყო, რომლის საფუძველზეც ბალკანეთის ქვეყნები გაეცნობოდნენ საბაზრო ეკონომიკას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებას, ადამიანის უფლებების პატივისცემას, უმცირესობების უფლებებს, დემოკრატიულ პრინციპებსა და ითანამშრომლებდნენ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის ტრიბუნალთან. [1]

2001 წელს მაკედონია გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც მოაწერა ხელი ამ შეთანხმებას და შემდგომ მას სხვა ქვეყნებიც შეუერთდნენ, გარდა კოსოვოსი[7].

ევროკავშირის აქტივობა ბოსნიასა და შერცეგოვინაში არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ეკონომიკური და სამოქალაქო ინიციატივებით. ბოსნიის კონფლიქტის მთავარი გაკვეთილი ის იყო, რომ ევროკავშირს ჰქონდა სურვილი, რეგიონში ყოფილიყო ყველაზე სანდო წარმომადგენელი და საერთაშორისო სამართლის მიერ დაწესებული ნორმების წამახალისებელი. ევროკავშირის მაშინდელი უმაღლესი წარმომადგენელი ჰავეერ სოლანა საუბრობდა რეგიონში სამხედრო კრიზისების მართვის შესაძლებლობაზე. ის რეგიონში დასაყრდენად ბოსნიასა და შერცეგოვინას სახავდა.

ბოსნიასა და შერცეგოვინაში იზრდება დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის ხელშეწყობა



ევროკავშირის მონაწილეობით, იმავდროულად ქვეყანამ პირველად გამოსცადა ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესაძლებლობები. ევროკავშირის პირველი მისია დაიწყო 2003 წლის იანვარში, ხოლო მოგვიანებით ევროკავშირის უდიდესი სამხედრო ოპერაცია: „ევროკავშირის ძალები ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში შეიყვანეს 2004 წლის დეკემბერში. ოპერაციას ეწოდა „ალტეა“. ევროკავშირის მისია „ESDP“ მიზნად ისახავდა ქვეყანაში გაედლიერებინა როგორც ევროკავშირის როლი, ისე დაენერგა ევროპული ღირებულებები და ნორმები, კერძოდ, კანონის უზენაესობა და სტაბილურობა, ეგ ხელს შეუწყობდა დემოკრატიის განვითარებასა და ადამიანის უფლებების პატივისცემას. საერთაშორისო კონვენსუსი, ასევე, გულისხმობდა, რომ ოპერაციაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ სხვა არანევრ სახელმწიფოებსაც. ამას მხარს უჭერდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად, ნატო და ეუთო.

მას შემდეგ, რაც ევროკავშირსა და ბოსნიასა და ჰერცეგოვინას შორის დაიწყო წარმატებული თანამშრომლობა, კიდევაც გაფორმდა სხვადასხვა შეთანხმება, როგორცაა – ვიზალიბერალიზაციის შეთანხმება (2008); დროებითი შეთანხმება ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ (2008); სტაბილიზაციისა და ასოციაციის შეთანხმება, რომელიც საბოლოოდ რატიფიცირებულ იქნა და ძალაში შევიდა 2015 წელს.

ევროკავშირი აგრძელებს მნიშვნელოვანი რესურსების განაწილებას ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP), ასევე საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში[8].

2016 წლის 20 სექტემბერს ბოსნიამ და ჰერცეგოვინამ ევროკავშირის წევრობისათვის შევსებული აპლიკაცია წარმოადგინა.

2018 წლის თებერვალში კი ევროკომისიამ განაცხადა, რომ ქვეყნის ეს ძალისხმევა და ჩართულობა არის გზა ევროკავშირის წევრობისაკენ.

2018 წლის მაისში ევროკავშირ-დასავლეთ ბალკანეთის სამიტზე, რომელიც გაიმართა სოფიაში, ევროკავშირის ლიდერებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მათი მხარდაჭერა, ბოსნია და ჰერცეგოვინა განიხილეს როგორც პარტნიორები და მტკიცე სტრატეგიული მხარდაჭერა აღუთქვეს.

2018 წელს ევროკომისიამ წარმოადგინა დასკვნა, სადაც ის დაწვრილებით საუბრობს ქვეყნის მიღწევებზე, ასევე, იმ სფეროებზე, სადაც საჭიროა გადაუდებელი „პირველი ფუნდამენტური“ მოქმედება:

Для размышления бесспорно примечательным является подпункт «д» пункта 2 ст. 3 Конституции Боснии и Герцеговины, согласно которому каждый входящий в государство субъект имеет право с согласия Парламентской ассамблеи заключить соглашения с государствами и международными организациями. Более того, Парламентская ассамблея может установить, что некоторые виды соглашений не требуют такого согласия. Заранее в нашей действительности, если мы дойдем до этого, это должно быть представлено так: как Абхазия, так и Южная Осетия параллельно с согласия Парламента сможет заключить договоры с государствами и международными организациями.

Однако, в том случае, если будет зафиксировано, что произошло отклонение от закона или его нарушение, когда вопрос касается решения субъектов об установлении особых параллельных отношений с соседними государствами, в Конституции есть механизм страховки и всякую такую попытку должен устранить Конституционный суд Боснии и Герцеговины. Здесь законодатель особенно четко подчеркнул государственный суверенитет и целостность Боснии и Герцеговины, как неприкосновенную ценность и предмет постоянного национального интереса.

В заключительной части мы авторы, также, сочли необходимым вынести на обсуждение несколько приложений Дейтонского договора. В частности, по соглашению о военных аспектах мирного урегулирования (приложение 1-а) было решено, что в пределах

однолетнего мандата Боснии и Герцеговины многонациональные миротворческие силы НАТО с 20 декабря 1995 года до 20 декабря 1996 года проведут миротворческие операции под названием «Единые усилия».

Что касается соглашения о беженцах и вынужденно переселенных лицах (приложение 7), то этому мы придаем особое значение, поскольку по этому соглашению все беженцы и вынужденно переселенные лица имеют право свободно вернуться на места первоначального проживания. Они имеют право вернуть то имущество, которое потеряли в ходе начатых с 1991 года боевых действий, и право получения компенсации за любое имущество, которое ему не может быть возвращено. Быстрейшее возвращение беженцев и вынужденно переселенных лиц является основной целью урегулирования конфликта в Боснии и Герцеговине. Стороны подтверждают, что они согласны на возвращение тех лиц, которые покинули свою территорию, включая тех людей, которым было дано право на временную защиту третьими странами.

Стороны обеспечивают то, чтобы беженцам и вынужденно переселенным лицам было позволено вернуться и была дана гарантия безопасности, от них будут далеки беспокоящие их деяния, угрозы, преследования или риск дискриминации, особенно по причине их этнического происхождения, вероисповедания или политических убеждений. Наша группа считает, что это было одним из наилучших, почти уникальных решений со своими механизмами, регуляциями и устойчивыми гарантиями.

Стороны сделают все необходимые шаги на собственной территории с той целью, чтобы устранить препятствия или другие препятствующие проблемы, которые будут мешать безопасному и добровольному возвращению беженцев и вынужденно переселенных лиц домой. Этим они показывают свою верность к успешному процессу и проявляют своё полное уважение к основным свободам. В то же

время, обеспечивают соответствующие условия для нормального быта находящихся в их юрисдикции лиц.

Можно сказать: призываем контекста соглашения, его содержания, духа, требования, принципов является обеспечить достойное, надежное, безопасное, безусловное и быстрее возвращение всех беженцев и вынужденно переселенных лиц в новообразованное государство Боснии и Герцеговины, что было объявлено главной целью урегулирования конфликта.

Хотим коснуться ещё одного соглашения, которое предусматривало создание чрезвычайных международных полицейских сил Государстве Боснии и Герцеговины (приложение 11). Государство Боснии и Герцеговины берет на себя обязанность обеспечить безопасные и надежные условия для всех лиц, путем содержания тех гражданских правозащитных учреждений, которые действуют в соответствии с всемирно признанными нормами и защищают всемирно признанные права и основные свободы человека.

При этом, стороны с целью получения помощи в выполнении своих обязанностей, обратились к Организации Объединенных Наций с просьбой создать на основании решения Совета безопасности в пределах операции гражданской полиции Организации Объединенных Наций специальные международные полицейские силы (СМПС - IPTF) для осуществления программы помощи на территории Боснии и Герцеговины.

То, что мы представили в виде проанализированных выводов по отношению к Боснии и Герцеговине не может не стать предметом общего интереса и не хотеть не знать как абхазам, так и осетинам того, как представляет Грузия их мирное, безопасное, приносящее благополучие интегрирование в Государство Грузии.

Уже изученная и проанализированная нами международная практика, в том числе, настоящее исследование по поводу особого государственно-территориального устройства и управления Боснии и



Герцеговины, а также, статус специального административного региона Гонконга с широкими правами позволяют сделать промежуточный вывод: в условиях наступления соответствующих обстоятельств будет возможным представить **Абхазию в Государстве Грузии со статусом Республики, безо всякой предшествующей автономии, с особыми правами,** фактически де факто и де юре мини государство, которое будет зафиксировано Государством Грузии в признанных перед ООН и международным содружеством подтвержденным международным правом обязательствах, конституциях Грузии и Абхазии и заключенном между Грузией и Абхазией конституционном договоре. В результате изучения и анализа примеров перераспределения полномочий, а также, вышеуказанных прецедентов, мы выносим на обсуждение наше видение на Южную Осетию, в частности, рассматривать её в Государстве Грузия со статусом специального административного региона с соответствующими широкими полномочиями, что будет признано такими же конституционно - правовыми актами, какими мы это представили по отношению к Абхазии.

Мы уверены, что наше видение на статус как Абхазии, так и Южной Осетии действительно заслуживает рассмотрения и обсуждения и, если процесс двинулся вперед, то это фактически означает начало создания совершенно новой модели государственно-территориального устройства и управления Грузии, что, в конечном счете, должно завершиться строительством глубинного дееспособного и состоящего государства Грузии.

Примечательно, что авторы новой редакции Конституции Грузии ограничиваются только тем, что в пункте 2 ст. 7 указали следующее: «Статус автономной республики Абхазии определяется конституционными законами Грузии, которые являются неотъемлемой частью Конституции Грузии». Сегодня практически такие конституционные законы не существуют для урегулирования этих вопросов.

Более того, в пункте 3 той же статьи отмечено, что «государственное территориальное устройство Грузии будет пересмотрено конституционным законом Грузии, на основании принципа размежевания полномочий, после полного восстановления юрисдикции Грузии на всей территории страны». Такой подход с самого начала ошибочен, поскольку согласно 3 пункту, сначала должна быть восстановлена территориальная целостность Грузии, а потом должно быть пересмотрено государственно-территориальное устройство страны, т.е. решен вопрос статуса Абхазии и Южной Осетии, что практически является невозможным, нереальным и весьма далеким от прагматизма. Наше удивление вызывает «использование в связи с этим международным содружеством права на молчание».

Во вступлении мы отметили, что к видениям, предложениям, выводам мы подходим по принципу - будет ли возможной их реализация сейчас и в ближайшем будущем. Авторы проекта и группа исследователей убеждены в том, что нынешний застой не может продолжаться долго. Он политически обязательно активизируется, и для этого мы должны быть готовы.

Грузия является ассоциированным членом Евросоюза, и в ближайшем периоде считаем возможным сотрудничество Евросоюза с Грузией и отделенными регионами с целью стабилизации, мира, сотрудничества и полномасштабного урегулирования конфликта, сближения, начала диалога и примирения и идеей вступления в члены Евросоюза как единое государство. Фактически, это будет самым важным рычагом сдвига с места замерзшего конфликта, с одной стороны, началом начала идеи европеизации отделенных регионов и, с другой стороны, реальным предложением, при этом, и составляющей нашей главной национальной задачи. Несмотря на то, что пока приходят сигналы оптимизма из отделенных регионов, но мы всё же считаем, что использование политических и экономических рычагов со стороны Евросоюза является обязательным, хотя в этой

обстановке в положении «вне игры» не должны быть США, в крайнем случае, пассивным актором, поскольку они способны сделать реальные и решающие шаги по отношению к России.

Учитывая все это, ещё раз хотим подчеркнуть следующее: при поиске государственно-территориальной модели Грузии и особенно модели управления Грузией мы должны выйти из устаревших клещей внутреннего территориально-государственного устройства союзных республик времен Советского Союза и принять именно такое решение, где найдется достойное место для абхазов и осетин с их дееспособным участием как в территориальном устройстве, так и в государственном управлении, как это свойственно для глубинно состоящего государства. Ещё раз хотим подчеркнуть, что очень хорошо понимаем учение Великого Ильи: «На этом свете ничего нет постоянного (в том числе и замерзшие конфликты), кроме самих изменений и, что счастливое примирение противостоящих сторон должно осуществиться без осквернения и унижения друг друга». Мы должны идти именно таким путем и предложить абхазам и осетинам сначала примирение, потом переговоры и соглашение с утверждением их достойного места, убедить их в необходимости совместного проживания в объединенном государстве, что на сегодняшний день не имеет альтернативы ни для нас, ни для абхазов и осетин. Мы глубоко уверены в том, что в будущем нам придется ходить только этим путем.

P.S. С учетом анатомии и географии конфликтов 20-ого века, яснее ясного, урегулирование конфликта Боснии и Герцеговины представляло сложнейшую проблему. Именно поэтому международное содружество со всей серьезностью отнеслась к его разрешению. В урегулировании конфликта участвовали международные организации, отдельные государства, должностные лица, дипломаты, эксперты, политики, в это время проявилось единая воля всех участников для достижения окончательной цели, но наряду со всем этим главным все же было

то, что их поддерживали лидеры таких ведущих государств, какими были Бил Клинтон из США, Жак Ширак - из Франции, Гельмут Колл - из Федеративной Республики Германии, Джон Мейджор - из Великобритании, Слобода Милошевич - из Югославии и другие. Во главе дипломатического корпуса стран международного содружества стояла главный архитектор урегулирования конфликта Боснии и Герцеговины, известный дипломат США Мадлен Олбрайт.

Так что, если у успешного разрешения конфликта между Гонконгом и Китаем были свои «герои» в лице Ден Сиапина и Маргарет Тэтчер, также, свои герои есть и у завершения конфликта Боснии и Герцеговины.

Не требует большого обсуждения то, что мы в урегулировании конфликта с Абхазией и Южной Осетией достигли прогресса в конце 90-ых годов, но, к сожалению, не смогли сохранить статус-кво для того, чтобы потом при активной включенности международного содружества продолжить продвижение, что в конечном итоге завершилось тем, что для полномасштабного разрешения конфликтов стороны остались одни друг перед другом, здесь следует признать, что, к сожалению, у нас не оказались отважные государства и их главы - «герои». Так продолжались наши отношения с ними в режиме замерзшего конфликта до войны 2008 года. Потом события радикально изменились в ущерб национальных интересов Грузии, в частности, это оккупация Россией Абхазии и Южной Осетии с игнорированием фундаментальных принципов международного права, признание их независимыми государствами и геноцид грузин. Всё это лежит на ладони у международного содружества и стало наглядным для всего мира.

**ძირითადი პრინციპები  
ბოსნიისა და ჰერცეგოვინის  
მშვიდობისათვის**

*ჟენევის შესავლად, 1995 წლის 8 სექტემბერი*

მას შემდეგ, რაც რეგიონში მესამე სახელმწიფოს შუამავლობით რამდენიმე კვირა მიმდინარეობდა, კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ მოლაპარაკებები, ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით მოეწყო საკონტაქტო შეხვედრა ფენევაში, რომელსაც ესწრებოდნენ ბოსნიის, ხორვატიისა და იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები, რათა განეხილათ კრიზისი ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში (დელეგაციას ხელმძღვანელობდა იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მილან მილუტინოვიჩი, რომელიც, ასევე, წარმოადგენდა ბოსნიელ სერბებს). სამივე საგარეო საქმეთა მინისტრი შეთანხმდა, რომ მათ მიერ აღიარებული ძირითადი პრინციპები კონფლიქტს დაასრულებდა. შეხვედრის შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე რიჩარდ ჰოლბრუკმა და ევროკავშირის სპეციალურმა შუამავალმა კარლ ბილდტმა საკონტაქტო ჯგუფის სახელით გააკეთეს ერთობლივი განცხადება და წარმოადგინეს ძირითადი პრინციპების პირველი ნაწილი.

## ძირითადი პრინციპები:

1. ბოსნია და ჰერცეგოვინა გააგრძელებს სამართლებრივ არსებობას მისი ამჟამინდელი საზღვრებით და, ასევე, გაგრძელებს მისი საერთაშორისო აღიარება;
2. ბოსნია და ჰერცეგოვინა შედგება ორი სუბიექტისგან, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, დაარსებული ვაშინგტონის შეთანხმებებით, და რესპუბლიკა სრპსკა;
  - 2.1. საკონტაქტო ჯგუფის ტერიტორიული შეთავაზების პარამეტრი 51:49 შეთანხმების საფუძველია. ეს ტერიტორიული წინადადება ღიაა და მხარეთა შეთანხმების საგანია;
  - 2.2. თითოეული სუბიექტი, არსებული კონსტიტუციის თანახმად, განაგრძობს არსებობას (შესწორება შევა ძირითად პრინციპებში);
  - 2.3. ორივე სუბიექტს ექნება უფლება, ჰქონდეს პარალელური საგანგებო ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით;
  - 2.4. ორივე სუბიექტს ეკისრება ორმხრივი ვალდებულებები:
    - ა) ჩაატრონ სრულყოფილი არჩევნები საერთაშორისო ზედამხედველობის პირობებში;
    - ბ) მიიღონ და დაიცვან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და ვალდებულებები, მათ შორის თავისუფალი გადაადგილების ვალდებულება და მისცენ იძულებით გადაადგილებულ პირებს შინ დაბრუნების საშუალება ან კომპენსაცია;
    - გ) დავების გადაწყვეტის მიზნით ჩაერთონ სავალდებულო არბიტრაჟში;
3. სუბიექტები პრინციპულად შეთანხმდნენ შემდეგზე:
  - 3.1. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შეიქმნეს კომისია,

რათა ორივე სუბიექტმა (საერთაშორისო სუბიექტების დახმარებით) აიღოს ვალდებულება, რომ იძულებით გადაადგილებულმა პირებმა შეძლონ თავიანთი სახლებში დაბრუნება ან კომპენსაციის მიღება;

- 3.2. შეიქმნეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ადამიანის უფლებათა კომისია, რათა სუბიექტებმა შეასრულონ ვალდებულებები ადამიანის უფლებათა შესახებ. ორივე სუბიექტი ურყევად დაიცავს კომისიის გადანყვეტილებას;
- 3.3. შეიქმნეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ერთობლივი საჯარო გაერთიანებები, რომლებიც დაფინანსდება ორივე სუბიექტის მიერ, რათა ფლობდნენ სატრანსპორტო საშუალებებს, მართავდნენ ტრანსპორტირებას და ამით ნახულობდნენ სარგებელს.
- 3.4 შეიქმნეს კომისია ეროვნული ძეგლების შესანარჩუნებლად;
- 3.5 სუბიექტებს შორის დავების გადანყვეტის მიზნით შემუშავდეს და განხორციელდეს საარბიტრაჟო სისტემა.

### **ნიუ-იორკის შეხვედრა, 1995 წლის 26 სექტემბერი**

ბოსნიის, ხორვატიისა და იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის (რომელიც, ასევე, წარმოადგენდა ბოსნიელ სერბებს) შეხვედრა ხუთწევრიანი საკონტაქტო ჯგუფის ეგიდით დასრულდა შეთანხმებით, რომ შევსებული და დასრულებული იქნებოდა 8 სექტემბრის უენევის შეხვედრისას მიღებული ძირითადი პრინციპების დოკუმენტი. შეხვედრის შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე რიჩარდ ჰოლბრუკმა და ევროკავშირის სპეციალურმა შუამავალმა კარლ ბილდტმა ხუთწევრიანი საკონტაქტო ჯგუფის სახელით გააკეთეს ერთობლივი განცხადება და წარმოადგინეს ძირითადი პრინციპების მეორე ნაწილი.

## ძირითადი პრინციპები:

4. თითოეული სუბიექტი პატივს მიაგებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საერთაშორისო ვალდებულებებს, რამდენადაც ეს ვალდებულებები არ არის ფინანსური ვალდებულება და არსებობს ორმხრივი თანხმობა;
5. მთავარი მიზანია, ორივე სუბიექტში ჩატარდეს თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები სოციალური პირობების გათვალისწინებით; დემოკრატიული არჩევნების ეფექტიანობა დამოკიდებულია სუბიექტების შემდგომ ნაბიჯებზე;
  - 5.1. ორივე მთავრობა იძლევა პირობას, სრული მხარდაჭერა გამოუცხადოს და დაიცვას: ა) თავისუფლებისათვის მოძრაობა, ბ) იძულებით გადაადგილებული პირების უფლება დაიბრუნონ ქონება ან მიიღონ კომპენსაცია, გ) სიტყვისა და პრესის თავისუფლება და დ) ყველა სხვა საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებები, რათა გაიზარდოს და გაძლიერდეს დემოკრატიული საარჩევნო პროცესი;
  - 5.2. უმოკლეს დროში ეუთო (ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია) განათავსებს წარმომადგენლებს ყველა ძირითად ქალაქში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციისა და რესპუბლიკა სრპსკის მასშტაბით და გამოაქვეყნებს ყოველთვიურ ანგარიშებს:
    - ა) თუ როგორ სრულდება შეთანხმებული ძირითადი პრინციპების მიხედვით აღებული ვალდებულებები;
    - ბ) არის თუ არა სოციალური პირობები აღდგენილი იმ დონემდე, რომ ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები;
  - 5.3. 30 დღის ვადაში, მას შემდეგ, რაც ეუთოს დელეგაციები განაცხადებენ, რომ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები შეიძლება ორივე სუბიექტში ჩატარდეს, ორივე მთავრობა უზრუნველყოფს თავისუფალი და დემოკრატი-



ული არჩევნების ჩატარებას და სრულად ითანამშრომლებს საერთაშორისო მონიტორინგის სპეციალისტებთან;

6. არჩევნების შემდეგ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საქმეები და პრეროგატივები სათანადო დანესებულებებში ყველა შეთანხმებული ძირითადი პრინციპების შესაბამისად დაკომპლექტდება;
  - 6.1. პარლამენტის ან ასამბლეის ორი მესამედი აირჩევა ფედერაციისა და ერთი მესამედი - რესპუბლიკა სრპსკის ტერიტორიიდან. ყველა საპარლამენტო მოქმედება გადაწყდება ხმათა უმრავლესობით, იმ პირობით, რომ უმრავლესობაში სულ მცირე შევა თითოეული სუბიექტის ხმათა ერთი მესამედი;
  - 6.2. პრეზიდენტის ორი მესამედი აირჩევა ფედერაციის, ხოლო ერთი მესამედი – რესპუბლიკა სრპსკის ტერიტორიიდან. ყველა გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ წევრთა ერთი მესამედი ან მეტი წევრი არ ეთანხმება სხვა წევრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და აცხადებს, რომ გადაწყვეტილება არის სუბიექტების ან სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესისათვის დესტრუქციული, საკითხი დაუყოვნებლივ გადაეცემა შესაბამისი სუბიექტის ან სუბიექტების პარლამენტს. თუ ამ შემთხვევაში პარლამენტი მხარს დაუჭერს წარდგენილ პოზიციას ხმათა ორ მესამედით, მაშინ გადაწყვეტილება ძალაში არ შევა;
  - 6.3. შეიქმნება შესაბამისი მინისტრთა კაბინეტი;
  - 6.4. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციით გამოწვეულ ყველა საჭოჭმანო საკითხს, რომელებიც შესწორდება შეთანხმებული ძირითადი პრინციპების შესაბამისად;
  - 6.5. მხარეები უახლოეს მომავალში დაინყებენ მოლაპარაკებებს აღნიშნული ინსტიტუტების მართვისა და საქმიანობის შემდგომი ნაბიჯების შესახებ;

6.6. ზემოხსენებულ ინსტიტუტებს ენიჭებათ პასუხისმგებლობა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საგარეო პოლიტიკის გამო. მხარეები ანარმოებენ მოლაპარაკებას იმის დასადგენად, თუ რომელ ინსტიტუტებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გაისაზღვრა ძირითადი პრინციპის დოკუმენტში.

ძირითადი პრინციპები ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მშვიდობისათვის შეთანხმებულია შემდეგი პირობების მიერ:

მუჰამედ საქირბეი (Muhamed Sacirbey), ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

მათე გრანიჩი (Mate Granić), ხორვატიის საგარეო საქმეთა მინისტრი;

მილან მილუტინოვიჩი (Milan Milutinović), იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები და ყოფილი იუგოსლავიისთვის ევროკავშირის საგანგებო შუამავალი.



გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

---

გენერალური ასამბლეა  
ორმოცდამეათე სესია

დღის წესრიგის პუნქტი 28

სიტუაცია ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში

უშიშროების საბჭო

ორმოცდამეათე წელი

**გაეროში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი  
წარმომადგენლის 1995 წლის 29 ნოემბრის წერილი  
გენერალური მდივნის სახელზე**

მადლიერნი ვიქნებით, თუ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ ზოგადი ჩარჩო ხელშეკრულების თანდართული ტექსტი და მისი დანართები (ერთობლივად სამშვიდობო ხელშეკრულება), რომელიც პარაფირებულია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის, ხორვატიის რესპუბლიკის, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის და, ასევე, სხვა მხარეების მიერ 1995 წლის 21 ნოემბერს დეიტონში (ოჰაიო), გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს დოკუმენტის სახით გავრცელდება, დღის წესრიგის 28-ე პუნქტის თანახმად.

**მადლენ კ. ოლზრაიტი**

**მუდმივი წარმომადგენელი**

# ზოგადი ჩარჩო ხელშეკრულება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა და იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა (შემდეგში „მხარეები“)

ვალდარებით რა ყოველმხრივი დარეგულირების აუცილებლობას რეგიონში ტრაგიკული კონფლიქტის დასრულების მიზნით,

ვცდილობთ რა მტკიცე მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ხელშეწყობას,

ვადასტურებთ რა ჩვენს ერთგულებას 1995 წლის 8 სექტემბერს შეთანხმებული ძირითადი პრინციპებისადმი, 1995 წლის 26 სექტემბერს შეთანხმებული ძირითადი პრინციპებისა და 1995 წლის 14 სექტემბრის და 5 ოქტომბრის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებების მიმართ,

მხედველობაში ვიღებთ რა 1995 წლის 29 აგვისტოს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია უფლებამოსილი იყო ხელი მოეწერა რესპუბლიკის სერბული ნაწილის სახელით სამშვიდობო გეგმისათვის, მასთან მიმართებით მიღწეული შეთანხმების მკაცრი და თანამიმდევრული შესრულების ვალდებულებით,

ამგვარად, ვთანხმდებით შემდეგზე:

## მუხლი I

მხარეები თავიანთ ურთიერთობებს აგებენ გაეროს წესდების პრინციპების, ჰელსინკის დასკვნითი აქტის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სხვა დოკუმენტების შესაბამისად, კერძოდ, მხარეები სრულად სცემენ პატივს ერთმანეთის თა-

ნასწორობას, დავას წყვეტენ მშვიდობიანი გზით და თავს იკავებენ ნებისმიერი ძალისმიერი ქმედებისა და მუქარის ან სხვა ქმედებისაგან, რომელიც მიმართული იქნება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ან სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

## **მუხლი II**

მხარეები მიესალმებიან და იწონებენ მიღწეულ შეთანხმებას რეგიონში სტაბილიზაციისა და მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ასპექტებთან მიმართებით, რომელიც მოცემულია შეთანხმების 1-ა და 1-ბ დანართში. მხარეები სრულად იცავენ 1-ა დანართში აღებულ ვალდებულებებს და ხელს უწყობენ მათ შესრულებას და, ასევე, სრულად იცავენ 1-ბ დანართში მოცემულ ვალდებულებებს.

## **მუხლი III**

მხარეები მიესალმებიან და იწონებენ ორ წარმონაქმნს - ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციასა და რესპუბლიკა სრპსკას შორის საზღვრების დემარკაციასთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებებს, რომელიც მოცემულია შეთანხმების მე-2 დანართში. მხარეები სრულად იცავენ მასში აღებულ ვალდებულებებს და ხელს უწყობენ მათ შესრულებას.

## **მუხლი IV**

მხარეები მიესალმებიან და იწონებენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის არჩევნების პროგრამას, რომელიც მოცემულია მე-3 დანართში. მხარეები სრულად იცავენ ამ პროგრამას და ხელს უწყობენ მას შესრულებას.

## **მუხლი V**

მხარეები მიესალმებიან და იწონებენ მიღწეულ შეთანხმებებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციასთან მიმართებით, რომელიც მოცემულია მე-4 დანართში. მხარეები სრულად იცავენ მასში აღებულ ვალდებულებებს და ხელს უწყობენ მათ შესრულებას.

## **მუხლი VI**

მხარეები მიესალმებიან და იწონებენ მიღწეულ შეთანხმებებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის, ადამიანის უფლებების კომისიის, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომისიის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ნაციონალური ძეგლებისა და საჯარო კორპორაციების დაცვის კომისიის დაწესებასთან დაკავშირებით, რომელებიც გადმოცემულია შეთანხმების დანართებში 5-9. მხარეები სრულად იცავენ მათში აღებულ ვალდებულებებს და ხელს უწყობენ მათ შესრულებას.

## **მუხლი VII**

აღიარებენ, რომ ადამიანის უფლებების, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვას აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა მშვიდობისათვის, მხარეები თანხმდებიან სრულად დაიცვან შეთანხმების მე-6 დანართის 1-ელ თავში მოცემული დებულებები და, ასევე, შეთანხმების მე-7 დანართის 1-ელ თავში მოცემული დებულებები ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებით.

## **მუხლი VIII**

მხარეები მიესალმებიან და იწონებენ მიღწეულ შეთანხმებებს სამშვიდობო მიმართულებით, მათ შორის, შეთანხმებას სამოქალაქო

(არასამხედრო) ასპექტების განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც გადმოცემულია შეთანხმების მე-10 დანართში და სპეციალურ საერთაშორისო საპოლიციო ძალებთან დაკავშირებით, რომელიც გადმოცემულია შეთანხმების მე-11 დანართში. მხარეები სრულად იცავენ აღებულ ვალდებულებებს და ხელს უწყობენ მათ შესრულებას.

## **მუხლი IX**

მხარეები სრულად თანამშრომლობენ ყველა იმ წარმონაქმნთან, რომელზეც მონაწილეობენ სამშვიდობო შეთანხმების განხორციელებაში, როგორც ეს მოცემულია ამ შეთანხმების დანართებში ან იმათთან, რომლებიც სხვაგვარად არიან უფლებამოსილი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ყველა მხარის ვალდებულებით ითანამშრომლონ სამხედრო დანაშაულებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა დარღვევების გამოძიებასა და შესაბამის სამართლებრივ დევნაში.

## **მუხლი X**

იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა ერთმანეთს აღიარებენ სუვერენულ სახელმწიფოებად საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებით. მათი ორმხრივი აღიარების შემდგომი ასპექტები ექვემდებარება შემდგომ განხილვებს.

## **მუხლი XI**


წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

შეთანხმება დადებულია პარიზში, 1995 წლის 21 ნოემბერს ბოსნიურ, ხორვატულ, ინგლისურ და სერბულ ენებზე. ყოველ ტექსტს

ენიჭება თანაბარი ძალა.

ხელს აწერენ: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ადასტურებენ: ევროკავშირის სპეციალური მედიატორი, საფრანგეთის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები.





## დანართები

დანართი 1-ა შეთანხმება სამშვიდობო დარეგულირების სამხედრო ასპექტების შესახებ

დანართი 1-ბ შეთანხმება რეგიონის სტაბილიზაციის შესახებ

დანართი 2 შეთანხმება წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზისა და ამასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ

დანართი 3 შეთანხმება არჩევნების შესახებ

დანართი 4 ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია

დანართი 5 შეთანხმება არბიტრაჟის შესახებ

დანართი 6 შეთანხმება ადამიანის უფლებების შესახებ

დანართი 7 შეთანხმება ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ

დანართი 8 შეთანხმება ეროვნული ძეგლების დაცვის კომისიის შესახებ

დანართი 9 შეთანხმება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საჯარო კორპორაციების დაფუძნების შესახებ

დანართი 10 შეთანხმება სამშვიდობო დარეგულირების სამოქალაქო ასპექტების განხორციელების შესახებ

დანართი 11 შეთანხმება სპეციალური საერთაშორისო საპოლიციო ძალების შესახებ

## შეთანხმება სამშვიდოო

### დარეგულირების სამხედრო ასპექტების

#### შესახებ

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და რესპუბლიკა სრპსკა (შემდგომში „მხარეები“) შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი I

#### ზოგადი ვალდებულებები

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რაც შეიძლება სწრაფად აღადგინონ ცხოვრების ნორმალური პირობები ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. მათ ესმით, რომ აღნიშნული მოითხოვს არსებითი წვლილის შეტანას მათი მხრიდან, რაც გულისხმობს სრული ძალისხმევით თანამშრომლობას ერთმანეთთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დანესებულებებთან, რომლებიც ადგილზე უნევენ დახმარებას. ისინი მიესალმებიან საერთაშორისო თანამეგობრობის მზადყოფნას რეგიონში, დაახლოებით ერთი წლის ვადით ძალების გაგზავნისათვის სამხედრო და ტერიტორიულ ასპექტებთან დაკავშირებული ქვემოთ აღწერილი შეთანხმების დებულებების განხორციელებისათვის.
  - (ა) გაეროს უშიშროების საბჭოს წარედგინება რეზოლუცია, რომელიც ნებას რთავს ნევრ-სახელმწიფოებს ან რეგიონ-

ნულ ორგანიზაციებს შექმნან მრავალეროვნული სამხედრო ძალები (შემდგომში „მსძ“) შეთანხმების შესასრულებლად. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან იმაზე, რომ შეთანხმების შესრულებისას ამ ძალების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს ნატოს წევრი სახელმწიფოების და ნატოს არანევრი სახელმწიფოების სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ქვედანაყოფები, რომლებიც გადაგზავნილნი არიან ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მოცემული შეთანხმების (შემდეგში „დებულება“) დებულებების დაცვის უზრუნველსაყოფად. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან იმაზე, რომ მსძ დაინყებენ მოცემული დებულების სამხედრო ასპექტების განხორციელებას გაეროს ძალების ხელმძღვანელობისგან შეთანხმების შემსრულებელი ძალების ხელმძღვანელობისათვის (შემდგომში „უფლებამოსილებების გადაცემა“) გადაცემის შემდეგ და რომ უფლებამოსილებების გადაცემამდე გაეროს ძალები აგრძელებენ თავიანთი მანდატის შესრულებას.

- (ბ) შეთანხმებულია და გაგებულია, რომ ნატოს შეუძლია ისეთი ძალების შექმნა, რომლებიც იმოქმედებენ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ხელმძღვანელობით და პოლიტიკური კონტროლით, ნატოს ხელმძღვანელი ინსტანციების მეშვეობით. ისინი ვალდებული იქნებიან ხელი შეუწყონ ამ ძალების ოპერაციებს. ამდენად, მოცემული შეთანხმებით მხარეები ნებაყოფლობით ხდებიან ვალდებული სრულად დაიცვან მოცემულ დანართში მითითებული ყველა ვალდებულება.
- (გ) მიღწეულია შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული დანართის სამხედრო ასპექტების განხორციელებაში

---

8 The Multinational Military Implementation Force (IFOR) - ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ერთწლიანი მანდატის ფარგლებში ნატოს მრავალეროვნული სამშვიდობო ძალები, 1995 წლის 20 დეკემბრიდან 1996 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, კოდური სახელი - ოპერაცია ერთობლივი ძალისხმევა.

დახმარების განევა შეუძლიათ სხვა სახელმწიფოებსაც. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან იმაზე, რომ ამ სახელმწიფოების მონაწილეობის მოდალობა იქნება შეთანხმების საგანი ასეთ მონაწილე-სახელმწიფოებსა და ნატოს შორის.

2. ეს ვალდებულებები ისახავს შემდეგ მიზნებს:

- (ა) მიღწეულ იქნეს სამხედრო მოქმედებების შეწყვეტა. არც ერთი წარმონაქმნი არ გამოიყენებს ძალას ან ძალის მუქარას სხვა წარმონაქმნის წინააღმდეგ და არანაირი გარემოების დროს არც ერთი წარმონაქმნის შეიარაღებული ძალები არ შევა და არ იქნება სხვა წარმონაქმნის ტერიტორიაზე უკანასკნელის მთავრობისა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტის თანხმობის უქონლად. ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ყველა შეიარაღებული ძალა მოქმედებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შესაბამისად;
- (ბ) უზრუნველყოფილ იქნეს შშმ მხარდაჭერა და მოქმედების სანქციონირება და, კერძოდ, შშმ მიეცეს უფლება მიიღონ ისეთი ზომები, მათ შორის, აუცილებელი ძალის გამოყენება, რომელიც საჭირო იქნება მოცემული დანართის შესრულებისა და მათი საკუთარი დაცვის უზრუნველსაყოფად;
- (გ) შემოღებულ იქნეს გრძელვადიანი ზომები ზოგადი ჩარჩო შეთანხმების დანართი 1-ბ აღწერილი შეიარაღების უსაფრთხოებისა და კონტროლის სფეროში, რომლის მიზანიცაა ყველა მხარეს შორის მუდმივი შერიგებისთვის ხელშეწყობასა და ყველა პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა, რომლებიც ზოგად ჩარჩო ხელშეკრულებაშია შეთანხმებული.

## მუხლი II

### საომაკრთო მოქმედებების შეწყვეტა

1. 1995 წლის 5 ოქტომბრის შეთანხმების თანახმად, მხარეები ასრულებენ სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ გადანიშნულებას და თავს იკავებენ ნებისმიერი სახის თავდასხმითი ოპერაციისგან ერთმანეთის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში თავდასხმის ოპერაციას წარმოადგენს მოქმედება, რომელიც მოიცავს ჯარების მობილიზებას ან ცეცხლის გახსნას შესაბამისი მხარის საზღვრებს მიღმა. თითოეული მხარე უზრუნველყოფს იმას, რომ მის მიერ გაკონტროლებულმა ან მის მიერ გაკონტროლებულ ტერიტორიაზე არსებულმა პირადმა შემადგენლობამ და ორგანიზაციებმა, რომლებიც ფლობენ სამხედრო პოტენციალს, საჯარისო რეზერვს, სამხედრო პოლიციასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების პოლიციის რაზმს (შემდგომ ნოდებულ „ძალებად“), დაიცვან მოცემული დებულება. ტერმინი „ძალები“ არ მოიცავს გაეროს შეიარაღებულ ძალებს, ზოგად ჩარჩო შეთანხმებაში მოხსენიებულ საერთაშორისო საპოლიციო ძალებს, მსძ-ს ან სხვა ქვედანაყოფებს, რომლებიც მითითებულია 1-ელი მუხლის 1-ელ (გ) პუნქტში.
2. 1-ელ პუნქტში დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს მხარეები ვალდებული არიან შეწყვიტონ ცეცხლი, არ გამოიყენონ არც ერთი სახეობის იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც სანქცირებულია მოცემული დებულებით. მხარეები არ შექმნიან არანაირ დამატებით დანალმულ ველს, ზღუდეს ან დაცვით მავთულხლართს. ისინი არ ახორციელებენ პატრულირებას, სახმელეთო და საჰაერო დაზვერვას თავიანთი ჯარების პოზიციის ფარგლებს გარეთ ან

გამიჯვნის ზონებში, რომელიც გათვალისწინებულია IV მუხლში, შშმ სანქციის გარეშე.

3. მხარეები უზრუნველყოფენ ყველა პირის დაცვასა და უსაფრთხოებას თავიანთ ტერიტორიაზე, ინარჩუნებენ სამოქალაქო სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც მოქმედებენ აღიარებული საერთაშორისო ნორმების შესაბამისად და საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვით და სხვა ზომების მიღებით, რომელიც წარმოადგენს აუცილებლობას. მხარეები ვალდებული არიან განაიარაღონ და დაითხოვონ ყველა შეიარაღებული სამოქალაქო დაჯგუფება, ნებადართული პოლიციის ძალების გარდა, უფლებამოსილების გადაცემიდან 30 დღის განმავლობაში.
4. მხარეები სრულად თანამშრომლობენ ნებისმიერ საერთაშორისო პერსონალთან, მათ შორის გამომძიებლებთან, მრჩეველებთან, კონტროლიორებთან, დამკვირვებლებთან და სხვა პერსონალთან ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ზოგადი ჩარჩო შეთანხმების შესრულების მიზნით; ასევე, უზრუნველყოფენ თავისუფალი და დაუბრკოლებელი წვდომისა და გადაადგილების ხელშეწყობას და მათ ანიჭებენ ისეთ სტატუსს, რომელიც აუცილებელია მათი ამოცანის ეფექტური შესრულებისთვის.
5. მხარეები კატეგორიულად თავს იკავებენ საპასუხო ზომებისგან, კონტრშეტევებისა თუ ნებისმიერი ცალმხრივი მოქმედებებისგან მეორე მხარის მიერ მოცემული დანართის დარღვევის საპასუხოოდ. მხარეები რეაგირებენ მოცემული დანართის დებულებების სავარაუდო დარღვევებზე იმ პროცედურების შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია VIII მუხლში.

## მუხლი III

### საგარეო ქალაქის გაყვანა

1. მოცემული დანართის ძალაში შესვლის მომენტისათვის ყველა არაადგილობრივი ძალა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, იმის მიუხედავად, ექვემდებარებიან თუ არა ისინი, იურიდიული და სამხედრო თვალსაზრისით, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკას, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციას ან რესპუბლიკა სრპსკას, ექვემდებარება გაყვანას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში თავის ქონებასთან ერთად. გარდა ამისა, ყველა ძალამ, რომელიც დარჩება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე, უნდა იმოქმედოს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესაბამისად. მუხლი II პუნქტი I თანახმად, ზემოაღნიშნული არ ვრცელდება გაეროს შეიარაღებულ ძალებზე, ზოგად ჩარჩო შეთანხმებაში მოხსენიებულ საერთაშორისო საპოლიციო ძალებსა და მსძ-სა ან სხვა ქვედანაყოფებზე, რომლებიც მითითებულია 1-ელი მუხლის 1-ელ (გ) პუნქტში.
2. მე-3 მუხლის I პუნქტის თანახმად, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიიდან განხორციელდება ყველა სახის უცხო ძალის გაყვანა, მათ შორისაა ინდივიდუალური სახით მოქმედი მრჩეველები, თავისუფლებისთვის მებრძოლები, ინსტრუქტორები, მოხალისეები და მეზობელი და სხვა სახელმწიფოების პერსონალი.

## მუსლი IV

### ქალაქის ხელახალი განლაგება

1. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა ახორციელებს თავისი ძალების ხელახალ დისლოკაციას სამ ეტაპად:

2. **I ეტაპი**

(ა) მხარეები მოცემული დანართის ძალაში შესვლისთანავე დაუყოვნებლივ იწყებენ და გეგმაზომიერად ახდენენ თავიანთი ძალების გაყვანას გამყოფი ზონის მიღმა, რომელიც დგინდება ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის ორივე მხარეს და რომელიც წარმოადგენს ნებისმიერ და ყველა დაპირისპირებულ ძალას შორის მკაფიო და მკვეთრად მონიშნულ სადემარკაციო ხაზს. გაყვანა უნდა დასრულდეს უფლებამოსილებების გადაცემიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზისა და გამიჯვნის ზონის ზუსტი მონახაზი დატანილია რუკებზე, მოცემულ დანართის (ა) დამატებაში.

(ბ) გამიჯვნის ზონა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის გასწვრივ უნდა გაიშალოს დაახლოებით ორ (2) კილომეტრზე ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის ორივე მხარეს. მოცემულ დანართში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის გასწვრივ გამიჯვნის ზონაში არ უნდა იყოს არანაირი შეიარაღება, გარდა იმისა, რომელიც განეკუთვნება შეთანხმების შესრულებაზე პასუხისმგებელ ძალებს. აღნიშნული ოთხკილომეტრიანი ზონის ფარგლებში მსძ-ის სპეციალური ნებართვის უქონლად არავის არ შეუძლია დაიტოვოს ან იქონიოს თავის განკარგულებაში რაიმე სახის იარაღი ან ასაფეთქებელი ნივთიერება. ამ დებულების დამრღვევი შეი-



- ძლება გახდეს სამხედრო ზომების მიმღები ობიექტი მსძ-ის მხრიდან, მათ შორის იგულისხმება აუცილებელი ძალის გამოყენება ამ დებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.
- (გ) მოცემული დანართის სხვა დებულებებზე სარაევოსა და გორაჟდეში ვრცელდება შემდეგი სპეციალური დებულებები:

## **სარაევო**

- (1) უფლებამოსილებების გადაცემიდან შვიდი (7) დღის განმავლობაში მხარეებმა უნდა გადასცენ და გაათავისუფლონ ცალკეული პოზიციები ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის გასწვრივ, მსძ-ის ხელმძღვანელობის მითითებების შესაბამისად.
- (2) მხარეებმა უნდა დაასრულონ შეიარაღებული ძალების გაყვანა გამიჯვნის ზონიდან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის გასწვრივ სარაევოში უფლებამოსილებების გადაცემიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში, IV მუხლის მე-2 პუნქტის დებულების შესაბამისად. გამიჯვნის ასეთი ზონის მანძილი უნდა შეადგენდეს დაახლოებით ერთ (1) კილომეტრს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის ყოველი მხრიდან, თუმცა გამიჯვნის ასეთი ზონის მანძილი შეიძლება კორექტირებულ იქნეს მსძ-ის ხელმძღვანელობის მიერ ან შემცირდეს სარაევოს დასახლებული ტერიტორიის გათვალისწინებით ან გაფართოვდეს ორ (2) კილომეტრამდე ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის ყოველი მხრიდან უფრო გაშლილი ადგილის გათვალისწინებით.
- (3) ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის გასწვრივ გამიჯვნის ზონის ფარგლებში არავის არ შეუძლია შეინახოს ან მფლობელობაში იქონიოს რაიმე სახის იარაღი ან ასაფეთქებელი ნივთიერება, მსძ-ის ან ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლების გარდა, რომლებიც ასრულებენ თავიანთ ოფიციალურ მოვალეობას მსძ-ის ნებართვით და IV მუხლის

2ბ პუნქტი, დებულების შესაბამისად.

- (4) მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან იმაზე, რომ პირები, რომლებიც არღვევენ 1, 2 და 3 ქვეპუნქტებს, შეიძლება გახდნენ სამხედრო მოქმედებათა ზემოქმედებათა ობიექტები მსძ-ის მხრიდან, რომელთა შორისაა, აუცილებელი ძალის გამოყენება ამ დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

## **გორაზღე**

- (1) მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან იმაზე, რომ გორაზღეს დერეფანში იქნება ორზოლიანი გზა, რომელიც გამოსადეგი იქნება ყველანაირ ამინდში. ამ გზის მშენებლობის დასრულებამდე ორივე ნარმონაქმნი ისარგებლებს ორი დროებითი მარშრუტით.

ამ ალტერნატიული მარშრუტების განლაგება კოორდინატთა ბადეზე (სამხედრო კარტოგრაფიული მართვის ტოპოგრაფიული პლანიმეტრული რუკები მასშტაბით 1:50 000, სერია M709, ფურცლები 2782-1, 2732-2, 2782-3, 2782-4, 2881-4, 2882-1, 2882-2, 2882-3 და 2882-4; კოორდინატთა ბადე კოორდინატების ბადის სამხედრო საცნობარო სისტემაზე მსოფლიო გეოდეზიურ სისტემა 84-ზე მითითებით (კოორდინატების ათვლის დასაწყისი):

დროებითი მარშრუტი 1: გორაზღედან (34TCP361365) ჩრდილო-აღმოსავლეთით გზატკეცილზე №5 მდინარე დრინის გასწვრივ უსტიპრაცის რაიონამდე (34TCP456395). შემდეგ ჩრდილოეთით №19 გზატკეცილზე როგატიცის (34TCP393515) გავლით და ჩრდილო-დასავლეთით სტიენიცეს (34TCP294565) გავლით გზების კვეთამდე პოდრომანიში (34TBP208652). ამ წერტილიდან დასავლეთით გზატკეცილი №19, რომელიც შედის სარაევოს გარეუბანში (34TBP950601).

დროებითი მარშრუტი 2: გორაზდედან (34TCP361365) სამხრეთით [20 გზატკეცილზე. შემდეგ №20 გზატკეცილზე უსტინკოლინის (34TCP218281) გავლით. შემდეგ სამხრეთით №20 გზატკეცილზე ფოკას გავლით მდინარე დრინის (34TCP203195) დასავლეთ ნაპირის გასწვრივ ნერტილამდე (34TCP175178), შემდეგ უხვევს დასავლეთით №18 გზატკეცილზე. შემდეგ №18 გზატკეცილზე მილევინადან (34TCP097204) სამხრეთით და შემდეგ ტრნოვოს (34TBP942380) გავლით ჩრდილოეთით სარაევოს გარეუბნისკენ ქალაქ ვასკოვიჩის (34TBP868533) გავლით.

ამ მარშრუტებზე საქალაქო ტრანსპორტისთვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გადაადგილების სრული თავისუფლება. მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს დროებითი მარშრუტები ჯარებისა და ტექნიკის გადაადგილებისათვის, ოღონდ მხოლოდ მსძ-ის ნებართვით, მისი კონტროლისა და მართვის ვითარებაში. ამასთან დაკავშირებით და სამოქალაქო ტრანსპორტისთვის რისკის შემცირების მიზნით მსძ-ს უფლება აქვთ ამ გზებზე აკონტროლოს ორივე წარმონაქმნის სამხედრო და სამოქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა.

(2) მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან იმაზე, რომ ისინი, ვინც არღვევენ 1-ელ ქვეპუნქტს, შეიძლება გახდნენ სამხედრო მოქმედების ობიექტნი მსძ-ის მხრიდან, მათ შორისაა აუცილებელი ძალის გამოყენება ამ დებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.

(3) მხარეები, ნდობის განმტკიცების მიზნით, იღებენ ვალდებულებას, რომ არ განათავსებენ რაიმე სახის ძალას ან მძიმე შეიარაღებას, რაზეც მითითებულია მოცემული მუხლის მე-5 პუნქტში, აღნიშნული დროებითი მარშრუტების ორი (2) კილომეტრის ფარგლებში. იმ შემთხვევებში, როცა ეს მარშრუტი გადის გამიჯვნის აღნიშნული ზონების გავლით, ასევე, გამოიყენება მოცემული დანართის ის დებულებები, რომლებიც ეხებიან გამიჯვნის ზონებს.

- (დ) მოცემული დანართის ძალაში შესვლისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ იწყებენ და ახორციელებენ გეგმაზომიერ საქმიანობას შემდეგი ღონისძიებების დასრულების თაობაზე უფლებამოსილებების გადაცემიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში ან მსძ-ის მეთაურის გადანყვეტილებით: 1) ყველა ნაღმის, აუფეთქებელი საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი მონყობილობების, სანაღმო მუხტისა და ჩვეულებრივი ან ლენტოვანი ტიპის მავთულხლართების ამოღება, დემონტაჟი ან განადგურება გამიჯვნის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის გასწვრივ ან სხვა რაიონებში, საიდანაც ხდება მათი ძალების გამოყვანა; 2) ყველა ცნობილი ადგილის აღნიშვნა, სადაც დევს ნაღმები, არსებობს აუფეთქებელი საბრძოლო მასალები, ასაფეთქებელი მონყობილობები და ასაფეთქებელი მუხტები ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე; და 3) ყველა ნაღმის, აუფეთქებელი საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი მონყობილობებისა და მუხტების ამოღება, დემონტაჟი ან განადგურება მსძ-ის მეთაურის მოთხოვნათა შესაბამისად.
- (ე) მსძ უფლებამოსილია განკარგულება გასცეს, რომ ნები-სმიერი სამხედრო მოსამსახურე, რომელიც იმყოფებოდა სამსახურსა ან რეზერვში და ცხოვრობს გამიჯვნის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის გასწვრივ, დარეგისტრირდეს მსძ-ის შესაბამის სამეთაურო პუნქტში მისი საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს, რომელიც ნახსენებია VI მუხლში.

### 3. II ეტაპი (სპეციალურადგილებში აუცილებლობის დროს)

მე-2 ეტაპი ვრცელდება იმ ადგილებზე, სადაც გამიჯვნის ხაზი წარმონაქმნებს შორის არ ემთხვევა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებულ ხაზს.

(ა) იმ ადგილებში, სადაც ზოგადი ჩარჩო შეთანხმების შესაბამისად ტერიტორია, რომელიც უკავია ერთ წარმონაქმნს, ექვემდებარება სხვა წარმონაქმნისთვის გადაცემას, წარმონაქმნის ყველა ძალას, რომელიც ათავისუფლებს ამ ტერიტორიას, ეძლევა ორმოცდახუთი (45) დღე უფლებამოსილებების გადაცემიდან, რათა სრულად მოხდეს ამ ტერიტორიის დატოვება და გათავისუფლება. ეს მოიცავს ყველა ძალის გაყვანას და, ასევე, ქონების, ნაღმის, მავთულხლართების, აუფეთქებელი საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი მოწყობილობების, მუხტებისა და იარაღის ამოღებას, დემონტაჟს ან განადგურებას. იმ ტერიტორიებზე, რომლებიც გადაეცემა სხვა წარმონაქმნს, იმისთვის, რათა გადასვლის პროცესი იყოს მონესრიგებული, წარმონაქმნს, რომელსაც გადაეცემა ესა თუ ის ტერიტორია, არ შეჰყავს საკუთარი ძალები უფლებამოსილებების გადაცემიდან ოთხმოცდაათი (90) დღის განმავლობაში ან ეს ხდება მსძ-ის მეთაურის განკარგულების შესაბამისად. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან იმაზე, რომ მსძ-ის უფლება აქვთ უზრუნველყონ ამ გადასაცემი ტერიტორიის სამხედრო უსაფრთხოება უფლებამოსილებების გადაცემის შემდეგ ოცდაათი (30) დღიდან ოთხმოცდამეთერთმეტე (91) დღემდე პერიოდში ან, რაც შეიძლება, ოპტიმალურ დროში, მსძ-ის მეთაურის განკარგულების შესაბამისად, იმ დროს, როცა ეს ტერიტორია შეიძლება დაკავებული ჰქონდეს წარმონაქმნის ძალებს, რომლისთვისაც მოხდა მათი გადაცემა.

ტერიტორიის დაკავების შემდეგ წარმონაქმნს, რომელსაც ის გადაეცა და, ასევე, ყველა მხარეს ეზღუდება ამ ზონაში ძალების ყოლა და შეიარაღების ქონა, ცეცხლის შეწყვეტის გამოყოფი ზონის შეთანხმების თანახმად.

- (ბ) მსძ უფლებამოსილია, გასცეს განკარგულება, რომ ნები-სმიერი სამხედრო მოსამსახურე, რომელიც იმყოფება სამსახურსა ან რეზერვში და ცხოვრობს წარმონაქმნებს შორის გამიჯვნის ზონაში, დარეგისტრირდეს მის საცხოვრებელი ადგილთან ყველაზე ახლოს მყოფ VI მუხლში აღნიშნული მსძ-ის შესაბამის სამეთაურო პუნქტში.

#### **4. ზოგადი დებულებები. I და II ეტაპზე მოქმედებს შემდეგი დებულებები:**

- (ა) ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის და მისი გამიჯვნის ზონის, ასევე, წარმონაქმნებს შორის გამიჯვნის ხაზის და მისი გამიჯვნის ზონის მკაფიო აღნიშვნის მიზნით მსძ ახორციელებს კონტროლს არჩევით დემარკაციაზე. ასეთი ნიშნების დაყენების საბოლოო უფლება ეკუთვნის მსძ-ს. ყველა მხარე აცნობიერებს და თანხმდება იმაზე, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზი და მისი გამიჯვნის ზონა, ასევე, წარმონაქმნებს შორის შიდა სასაზღვრო ხაზი და მისი გამიჯვნის ზონა განისაზღვრება რუკებისა და დოკუმენტების შესაბამისად, რომლებიც შეთანხმებულია ზოგადი ჩარჩო შეთანხმების შესაბამისად, და არა აღნიშვნელების ფიზიკური ადგილმდებარეობის მიხედვით.
- (ბ) ყველა მხარე აცნობიერებს და თანხმდება იმაზე, რომ მსძ-ს მათ მიმართ შეუძლიათ სამხედრო ხასიათის ზომების გამოყენება, მათ შორის აუცილებელი ძალისა, მოცემული

შეთანხმების შესრულების უზრუნველსაყოფად იმ შემთხვევაში, თუ ისინი:

- (1) არ გაიყვანენ ყველა სახის ძალას და არ გაიტანენ არანებადართულ შეიარაღებას ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის გამიჯვნის ოთხკილომეტრიანი ზონიდან უფლებამოსილებების გადაცემის შემდეგ ოცდაათი (30) დღის განმავლობაში, როგორც ეს გათვალისწინებულია IV მუხლის 2ა და ბ პუნქტებში;
- (2) არ დატოვებენ და არ გაათავისუფლებენ ტერიტორიას, რომელიც გადაეცემა სხვა წარმონაქმნს უფლებამოსილებების გადაცემიდან ორმოცდახუთი (45) დღის განმავლობაში, როგორც ეს გათვალისწინებულია IV მუხლის 3ა პუნქტში;
- (3) შეიყვანენ ძალებს სხვა წარმონაქმნისგან გადმოცემულ ტერიტორიაზე უფლებამოსილების გადაცემის შემდეგ ოთხმოცდაათი (90) დღის განმავლობაში ან მსძ-ის მეთაურის მიერ დადგენილ ვადაზე ადრე, როგორც ეს გათვალისწინებულია IV მუხლის 3ა პუნქტში;
- (4) შეინარჩუნებენ ძალასა და არანებადართულ შეიარაღებას წარმონაქმნებს შორის გამყოფი ზონის საზღვრებს მიღმა მას შემდეგ, რაც მსძ ამ ზონას გამოაცხადებს მოქმედად, როგორც ეს გათვალისწინებულია IV მუხლის 3ა პუნქტში;
- (5) არღვევენ მხარეების მიერ II მუხლში შეთანხმებულ გადანყვეტილებას სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ.

### **5. ეტაპი III**

ნდობის განმტკიცების მიზნით მხარეები ვალდებული არიან, რომ მათ:

- (ა) უფლებამოსილებების გადაცემიდან 120 დღის განმავლობაში გაიყვანონ ყველა სახის მძიმე შეიარაღება და ძალა შეკრების/ყაზარმის ტერიტორიაზე და სხვა ადგილას, რომელიც

შეთანხმებულია მსძ-ის მეთაურთან. „მძიმე შეიარაღება“ არის ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი, 75 მმ-ის და მსხვილი კალიბრის ყველა საარტილერიო შეიარაღება, 81 მმ-ის და უფრო მალალი კალიბრის ყველა ნაღმტყორცნი, 20 მმ-ის და უფრო დიდი კალიბრის ყველა საზენიტო შეიარაღება. ამ ძალების გადაადგილება შეკრების/ყაზარმის ტერიტორიაზე განაპირობებს მხარეების რწმენის განმტკიცებას, რომ ისინი წარმატებით განახორციელებენ მოცემულ დებულებას და ხელს შეუწყობენ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის დამყარების საერთო საქმეს;

- (ბ) უფლებამოსილებების გადაცემიდან 120 დღის განმავლობაში განახორციელონ ძალების დემობილიზაცია, რომლებიც არ შეიძლება განთავსდნენ შეკრების/ყაზარმის ტერიტორიაზე, როგორც ეს გათვალისწინებულია ა ქვეპუნქტში. დემობილიზაცია გულისხმობს ზემოთ აღნიშნული ძალების პირადი შემადგენლობის მიერ მთელი იარაღის, მათ შორის, პირადი იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობების, კავშირგაბმულობის საშუალებების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა სახის სამხედრო აღჭურვილობის ჩაბარებას. ამ ძალების პირადი შემადგენლობა სრულიად თავისუფლდება სამხედრო სამსახურისგან და არ ლებულობს მონაწილეობას არც ერთი სახის სამხედრო საქმიანობაში.
- 6. მოცემული დანართის ნებისმიერი დებულების მიუხედავად, მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ მსძ-ს აქვს უფლება და უფლებამოსილება მოითხოვოს მათგან კონკრეტული ძალებისა და შეიარაღების გადაადგილება, გაყვანა ან ხელახალი დისლოკაცია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე და, ასევე, გასცეს განკარგულებები ნებისმიერი მოქმედების შეწყვეტის შესახებ ამ ტერიტორიაზე, თუ მსძ მიიჩნევს, რომ ასეთი ძალები, შეიარაღება ან მოქმედება საფრთხეს უქმნის ან შეუქმ-



ნის მსძ-ს ან მათ მისიას ან სხვა ნებისმიერ მხარეს. ძალები, რომლებიც მსძ-ს ასეთი განკარგულების შემდეგ არ გადაადგილდებიან, არ შეწყვეტენ საქმიანობას, რომელიც წარმოადგენს ან შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს, შეიძლება გახდეს სამხედრო ზომების ობიექტი მსძ-ის მხრიდან, მათ შორისაა, დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ძალის გამოყენება, I მუხლის მე-3 პუნქტში გადმოცემული პირობების შესაბამისად.

## მუხლი V

### შეტყობინება

1. ერთობლივი სამხედრო კომისიის შექმნის შემდეგ, რომელიც გათვალისწინებულია VIII მუხლში, თითოეული მხარე წარუდგენს ერთობლივ სამხედრო კომისიას ინფორმაციას, რომელიც ეხება ყველა ცნობილი აუფეთქებელი საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი მოწყობილობების, ასაფეთქებელი მუხტების, დანალმული ველების, ნალმი-ხაფანგების, მავთულხლართებისა და სხვა ფიზიკური ან სამხედრო ობიექტების ადგილსამყოფელსა და აღწერას, რომლებიც ხელს უშლიან ნებისმიერი პერსონალის უსაფრთხო მოძრაობას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე. მხარეები ერთობლივ სამხედრო კომისიას ატყობინებენ ინფორმაციას ცვლილებათა შესახებ.
2. უფლებამოსილებების გადაცემიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში თითოეული მხარე ერთობლივ სამხედრო კომისიას წარუდგენს ინფორმაციას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე მისი ძალების სტატუსის შესახებ და ერთობლივ სამხედრო კომისიას ამ ინფორმაციაში ატყობინებს უკანასკნელი ცვლილებების შესახებ:

- (ა) პირადი შემადგენლობა და ყველა ძალის შეიარაღების ადგილმდებარეობა, ტიპი და რაოდენობა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული და წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზებიდან ათი (10) კილომეტრის ფარგლებში;
  - (ბ) რუკები ფრონტის ხაზისა და ჯარის მონინავე ხაზების მიოთებით;
  - (გ) საფორტიფიკაციო ნაგებობების, დანალმული ველების, აუფეთქებელი საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი მოწყობილობების, ასაფეთქებელი მუხტების, ზღუდეებისა და სხვა ხელოვნური მავთულხლართების, საბრძოლო მასალების საველე სანყოფების, მეთაურობის შტაბებისა და კავშირგაბმულობის ქსელების ადგილსამყოფელი და აღწერა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ან წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზებიდან ათი (10) კილომეტრის ფარგლებში;
  - (დ) ყველა რაკეტის/„მინა-ჰაერი“ კლასის გამშვები დანადგარების ადგილმდებარეობა და აღწერა, მათ შორისაა, მობილური სისტემები, საზენტიო არტილერია, დამხმარე რადიოლოკაციის სადგურები და მართვისა და ხელმძღვანელობის შესაბამისი სისტემები;
  - (ე) ყველა ნაღმის პოზიცია და აღწერილობა, გაუხსნელი ასაფეთქებელი და აუფეთქებელი მოწყობილობები, დაბრკოლებები, იარაღის სისტემები, სატრანსპორტო საშუალებები ან სხვა სამხედრო აღჭურვილობა, რომლის განადგურება ან დემონტაჟი ხდება IV მუხლის 2 (დ) და 3 (ა) პუნქტების თანახმად;
  - (ვ) სამხედრო ხასიათის სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მოითხოვს მსდ.
3. უფლებამოსილებების გადაცემიდან 120 დღის განმავლობაში მხარეები ერთობლივ სამხედრო კომისიას წარუდგენენ შემდეგ

- კონკრეტულ სამხედრო ინფორმაციას ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მათი ძალების მდგომარეობის შესახებ და ატყობინებენ ერთობლივ სამხედრო კომისიას ბოლო ცვლილებების შესახებ:
- (ა) პირადი შემადგენლობისა და ყველა ძალის შეიარაღების ადგილმდებარეობა, ტიპი და რაოდენობა;
  - (ბ) რუკები, რომლებიც მოიცავენ ა ქვეპუნქტში გათვალისწინებულ ინფორმაციას;
  - (გ) საფორტიფიკაციო ნაგებობების, დანალმული ველების, აუფეთქებელი საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი მოწყობილობების, ასაფეთქებელი მუხტების, ზღუდეებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების, საბრძოლო მასალების საველე საწყობების, მეთაურობის შტაბებისა და კავშირგაბმულობის ქსელების ადგილმდებარეობა და აღწერა;
  - (დ) სამხედრო ხასიათის სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მოითხოვს მსძ.

## მუხლი VI

### ქალაქის განლაგება შეთანხმების

#### შესრულების მიზნით

1. მოცემული დანართის დებულებების ეფექტური განხორციელებისა და მათი დაცვის უზრუნველყოფად გაეროს უშიშროების საბჭოს ეძლევა შესაძლებლობა წევრ-სახელმწიფოებს ან რეგიონულ ორგანიზაციებს მისცეს უფლებამოსილება და წარუდგინოს შეთანხმება მსძ-ის შექმნის თაობაზე. ისინი იმოქმედებენ გაეროს წესდების VII თავის თანახმად. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან იმაზე, რომ შეთანხმების შესრულებისას ამ ძალების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ ნატოს წევრი და არაწევრი სახელმწიფოების სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო

ქვედანაყოფები, რომლებიც გაგზავნილნი არიან ბიოსნისა და ჰერცეგოვინაში მოცემული დანართის დებულებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

2. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან იმაზე, რომ მსძ-ს უფლება აქვთ:
  - (ა) აკონტროლონ და ხელი შეუწყონ ყველა მხარის მიერ მოცემული დანართის დაცვის უზრუნველყოფას (მათ შორისაა ძალების გაყვანა და ხელახლა დისლოკაცია შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში და გამიჯვნის ზონების შექმნა);
  - (ბ) ნება დართონ და აკონტროლონ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ხაზის არჩევითი დემარკაცია და მისი გამიჯვნის ზონები და, ასევე, წარმონაქმნებს შორის გამიჯვნის ხაზები და მისი გამიჯვნის ზონები, როგორც ეს გათვალისწინებულია ზოგადი ჩარჩო შეთანხმებით;
  - (გ) დადონ სამოკავშირეო შეთანხმება ადგილობრივ სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებასთან და, ასევე, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რაც აუცილებელია მათი მისიის შესრულებისათვის;
  - (დ) ხელი შეუწყონ გაეროს სამშვიდობო ძალების გაყვანას, რომლებიც არ ექვემდებარებიან მსძ-ს, მათ შორის, თუ ეს აუცილებელია, გაეროს ძალების სასწრაფო გაყვანასაც.
3. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ მსძ-ს უფლება აქვთ შეასრულონ ის დამხმარე ამოცანები, რომლებიც მათ წინაშე დასახული მთავარი მიზნის მისაღწევად აუცილებელი, ხოლო, მოთხოვნის შემთხვევაში, მათ უნდა:
  - (ა) გაუწიონ დახმარება მშვიდობის მიღწევასთან დაკავშირებული საჭირო ამოცანების შესრულებისთვის უსაფრთხო პირობების შექმნაში, მათ შორისაა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება;
  - (ბ) დახმარება გაუწიონ ორგანიზაციებს გადაადგილებისას მათ მიერ ჰუმანიტარული მისიების განხორციელების დროს;

- (გ) დახმარება გაუწიონ გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამმართველოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ მიერ ჰუმანიტარული მისიების განხორციელებაში;
  - (დ) თავიდან აიცილონ მშვიდობიანი მოსახლეობის, ლტოლვილებისა და დევნილების გადაადგილებისთვის ხელის შეშლა და სათანადო სახით მოახდინონ რეაგირება ძალადობის წინასწარ განზრახულ აქტებზე, რომლებიც ემუქრება სიცოცხლესა და პირად უსაფრთხოებას;
  - (ე) განახორციელონ მონიტორინგი დანალმული ველებისა და მავთულხლართების განმენდაზე.
4. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ შემდგომმა დირექტივებმა ეროვნული დახმარების კოორდინატორის (NAC) მხრიდან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი ვალდებულებებისა და მოვალეობების გაჩენა მსძ-სთვის მოცემული დანართის დებულებების განხორციელების დროს.
  5. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ მსძ-ის მეთაურს გააჩნია უფლებამოსილია ჩაერიოს ან ნებისმიერი მხარის ნებართვის უქონლად განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელსაც მეთაური საჭიროდ და მიზანშეწონილად მიიჩნევს მსძ-ის დასაცავად, მათ შორისაა სამხედრო ძალის გამოყენება და იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ჩამოთვლილია 2, 3 და 4 პუნქტებში. ასევე, მათ პატივი უნდა სცენ მსძ-ის მოთხოვნებს.
  6. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას დროს მსძ-ს უფლება აქვთ განახორციელონ დაკვირვება, აკონტროლონ და მოახდინონ ნებისმიერი სამხედრო პოტენციალის მქონე ძალის, ობიექტის ან საქმიანობის ინსპექტირება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. ნებისმიერი მხარის მიერ მსძ-ის აღიშნული უფლების უარყოფა ან მასზე უარის თქმა მოცემული დანართის დებულებების

დარღვევაა და დამრღვევი მხარე შეიძლება გახდეს სამხედრო ზომების ობიექტი მსძ-ის მხრიდან, მათ შორისაა აუცილებელი ძალის გამოყენება, მოცემული დანართის თანახმად.

7. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის ჯარი, ხორვატიის თავდაცვის საბჭოს ძალები და რესპუბლიკა სრპსკის არმია ქმნიან სამეთაურო პუნქტებს ბრიგადის, ბატალიონის ან მსძ-ს სხვა დონეზე, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს მსძ-ის სამეთაურო პუნქტებთან ერთად, როგორც ეს განსაზღვრულია მსძ-ის მეთაურის მიერ. ეს სამეთაურო პუნქტები ახორციელებენ ხელმძღვანელობასა და კონტროლს თავიანთი მხარეების ყველა ძალაზე, რომლებიც კი დისლოცირდებიან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებული ან წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზებიდან ათი (10) კილომეტრის რადიუსში, როგორც ეს მითითებულია მსძ-ის მიერ. სამეთაურო პუნქტებმა დროულად, მსძ-ის მოთხოვნის თანახმად, უნდა წარმოადგინონ მოხსენება ამ ტერიტორიებზე ჯარების რაოდენობისა და ორგანიზაციათა სტატუსის შესახებ.
8. ერთობლივი გაშლილი სამეთაურო პუნქტების გარდა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის არმიას, ხორვატიის თავდაცვის საბჭოს ძალებსა და რესპუბლიკა სრპსკის არმიას უნდა ჰქონდეთ მეკავშირეთა ჯგუფები, როგორც ეს განსაზღვრულია მსძ-ის მეთაურის მიერ კავშირის შენარჩუნებისთვის ხელშეწყობისა და სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის მიზნით.
9. საჰაერო და სახმელეთო გადაადგილება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში რეგულირდება შემდეგი დებულებებით:
  - (ა) მსძ-ს აქვთ მინაზე, ჰაერსა და წყალში სრული და დაუბრკოლებელი გადაადგილების თავისუფლება მთელს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. მათ აქვთ უფლება, ჰქონდეთ ბანაკები, განახორციელონ მანევრები, დაბინავდნენ და გამოიყენონ ნებისმიერი ტერიტორია ან ობიექტი თავიანთი მოვალეობის შესრულების მიზნით, რომელიც აუცილებელია მათ მხარ-

დასაჭერად, მომზადებისა და ოპერაციებისთვის. მსძ და მისი პერსონალი არ იღებენ პასუხისმგებლობას იმ ზარალზე, რომელიც მიადგა პირად ან სახელმწიფო საკუთრებას საბრძოლო ან მასთან დაკავშირებული მოქმედებების შედეგად. მავთულხლართები გზებზე, საკონტროლო-გამშვები პუნქტები ან სხვა დაბრკოლებები მსძ-ის თავისუფალი გადაადგილების გზებზე წარმოადგენს მოცემული დანართის დებულებების დარღვევას და დამრღვევი მხარე შეიძლება გახდეს სამხედრო ზომების ობიექტი მსძ-ის მხრიდან, მათ შორისაა აუცილებელი ძალის გამოყენება მოცემული დანართის დებულებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

- (ბ) მხოლოდ მსძ-ის მეთაურია უფლებამოსილი: დაადგინოს წესები და პროცედურები, რომელიც აწესებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცის კონტროლს და ხელმძღვანელობას სამოქალაქო საჰაერო გადაზიდვებზე; ბოსნიისა და ჰერცეგოვინაში სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების არასაბრძოლო მოქმედებების უზრუნველსაყოფად ჰაერში ან აუცილებლობის შემთხვევაში, შეწყვიტოს სამოქალაქო საჰაერო გადაზიდვები და არასაბრძოლო საჰაერო მოქმედებები.
- 1) მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან იმაზე, რომ მსძ-ის მეთაურის მკაფიოდ გამოხატული ნებართვის გარეშე არ განხორციელდება სამხედრო საჰაერო გადაზიდვები და არასამხედრო საფრენი აპარატები არ შეასრულებენ სამხედრო დავალებებს, მათ შორის, სადაზვერვო ან მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფრენებს. ბოსნიისა და ჰერცეგოვინაში სამხედრო საფრენი აპარატების ფრენა შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ მსძ-ის მხარდაჭერის შემთხვევაში, მსძ-ის მკაფიოდ გამოხატული ნებართვის შემთხვევების გარდა. სამხედრო თვითმფრინავის ან ვერტმფრენის ნებისმიერმა ფრენამ

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მსძ-ის მეთაურის მკაფიოდ გამოხატული ნებართვის გარეშე შეიძლება გამოიწვიოს სამხედრო ზომები მსძ-ის მხრიდან, მათ შორის, აუცილებელი ძალის გამოყენებით დანართის დებულებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

- 2) საჰაერო ადრეული გაფრთხილების, საჰაერო თავდაცვის ან ცეცხლის მართვის ყველა რადიოლოკაციის სადგური წყვეტს ფუნქციონირებას მოცემული დანართის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 72 სთ-ისა და არ მოდის მოქმედებაში მსძ-ის მეთაურისგან სანქციის მიღებამდე. საჰაერო მოძრაობის კონტროლის, საჰაერო ადრეული გაფრთხილების, საჰაერო თავდაცვის ან ცეცხლის მართვის რადიოლოკაციის სადგურების ნებისმიერი გამოყენება წარმოადგენს მოცემული დანართის დებულებების დარღვევას და დამრღვევი მხარე შეიძლება გახდეს სამხედრო ზომების ობიექტი მსძ-ის მხრიდან, მათ შორისაა აუცილებელი ძალის გამოყენება დანართის დებულებების დაცვის უზრუნველსაყოფად.
- 3) მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ მსძ-ის მეთაური თანდათანობით განახორციელებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეზე სამოქალაქო კონტროლის გადაცემას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის შესაბამისი დაწესებულებებისთვის მსძ-ის იმ მიზნის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს მსძ-ის გასვლის შემდეგ საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემის ნორმალურ და უსაფრთხო მუშაობის უზრუნველყოფას.
- გ) მსძ-ის მეთაური უფლებამოსილია გამოსცეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მიწისზედა სამხედრო გადაზიდვების მართვისა და რეგულირების შესაბამისი წესები, მათ შორისაა, მხარეების ძალთა მოძრაობა. ერთობლივ სამხედრო კომისიას, რომელზეც საუბარია VIII თავში, შეუძლია დახმარების განევა სამხედრო გადაადგილებასთან დაკავშირებული



წესების შემუშავებასა და ამოქმედებაში.

10. მსძ-ს უფლება აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენონ ისეთი საშუალებები და სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ სრულფასოვან კომუნიკაციას და უფლება აქვთ ამ მიზნით შეუზღუდავად გამოიყენოს მთელი ელექტრომაგნიტური სპექტრი.
11. ყველა მხარე მსძ-ს და მის პირად შემადგენლობას სთავაზობს დახმარებას, პრივილეგიას და იმუნიტეტს, რომელიც გადმოცემულია ბ დანართის დამატებაში, რაც მოიცავს დაუბრკოლებელ ტრანზიტს ყველა მხარის ტერიტორიაზე.
12. ყველა მხარე ნებისმიერ სამხედრო ქვედანაყოფს, რომლებზეც საუბარია 1-ელი მუხლის 1-ელ გ პუნქტში და მის პირად შემადგენლობას სთავაზობს დახმარებას, პრივილეგიებსა და იმუნიტეტს, რაზედაც საუბარია VI მუხლის მე-11 პუნქტში.

## მუხლი VII

### გაეროს შეიარაღებული ძალების გაყვანა

აღსანიშნავია, რომ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მსძ-ის შეყვანის შედეგად მომზადდა გაეროს შეიარაღებული ძალების გაყვანის პირობები, რომელიც დადგენილია გაეროს უშიშროების საბჭოს 743-ე რეზოლუციით. არის მოთხოვნა, რომ გაერომ ნატოსთან კონსულტაციის შედეგად უნდა გაიყვანოს ბოსნიიდან და ჰერცეგოვინიდან გაეროს შეიარაღებული ძალები, გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც გაერთიანებულია მსძ-თან.

## მუხლი VIII

### ერთობლივი სამხედრო კომისიის დაფუძნება

1. ერთობლივი სამხედრო კომისია (შემდგომში „კომისია“) დაარსდება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მსd-ის განთავსების შემდეგ.
2. კომისია:
  - (ა) დანართის შესაბამისად, წარმოადგენს ყველა მხარისათვის ცენტრალურ ორგანოს ნებისმიერი სამხედრო საჩივრის, საკითხის ან პრობლემის განსახილველად, რომელიც მოითხოვს მსd-ის მეთაურის მხრიდან რეზოლუციას, როგორცაა ბრალდება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დარღვევების ან ამ დანართის შეუსრულებლობის სხვა შემთხვევების შესახებ;
  - (ბ) იღებს მოხსენებებს და ათანხმებს კონკრეტულ მოქმედებებს მხარეების მიერ მოცემული დანართის დაცვის უზრუნველყოფის თაობაზე;
  - (გ) ხელს უწყობს მსd-ის მეთაურს მხარეებს შორის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიების განსაზღვრასა და განხორციელებაში.
3. კომისიას თავმჯდომარეობს მსd-ის მეთაური ან მისი წარმომადგენელი. მისი შემადგენლობაა:
  - (ა) თითოეული მხარის ძალების უფროსი სამხედრო მეთაური ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფარგლებში;
  - (ბ) სხვა პირები თავმჯდომარის გადწყვეტილებით;
  - (გ) თითოეულ მხარეს შეუძლია დანიშნოს ორი სამოქალაქო პირი, რომლებიც კონსულტაციას უწევენ კომისიას მისი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით;
  - (დ) უმაღლესი წარმომადგენელი ან მის მიერ დანიშნული პირი, რომელიც დაესწრება კომისიის სხდომებს და გასცემს რჩევებს სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე.

4. კომისიის შემადგენლობაში არ შედიან პირები, რომელთაც ამჟამად წარდგენილი აქვთ ან წარედგინებათ ბრალი საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე.
5. კომისია მოქმედებს მსძ-ის მეთაურის საკონსულტაციო ორგანოს სახით. შესაძლებლობების ფარგლებში ყველა პრობლემა წყდება ოპერატიულად ორმხრივი შეთანხმებით, თუმცა ყველა საბოლოო გადაწყვეტილებას სამხედრო საკითხებზე იღებს მსძ-ის მეთაური.
6. მსძ-ის მეთაურის მოთხოვნით კომისია ატარებს სხდომებს უმაღლეს წარმომადგენელს აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია ითხოვოს კომისიის სხდომის მოწვევა. ასევე, შესაძლებელია, მხარეებმა ითხოვონ კომისიის სხდომის მოწვევა.
7. საგანგებო მდგომარეობის წარმოქმნის დროს, მსძ-ის მეთაურს უფლება აქვს, დროულად მიიღოს გადაწყვეტილებები სამხედრო საკითხებზე. იგი უკავშირდება მსძ-ის უსაფრთხოებას ან მხარეების მიერ ამ დანართის დებულებების დასაცავად გამოყოფილ ორგანოებს.
8. კომისია ქმნის დაქვემდებარებულ სამხედრო კომისიებს ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებაში მხარდაჭერის აღმოჩენის მიზნით. მსგავსი კომისიები იქმნება ბრიგადებისა და ბატალიონის დონეზე ან სხვა ეშელონებში მსძ-ის ადგილობრივი მეთაურის გადაწყვეტილებით და შედგება თითოეული მხარისა და მსძ-ის მეთაურებისგან. უმღლესი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი პირი მონაწილეობს სხდომებში და, პირველ ყოვლისა, კონსულტაციას იძლევა სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის საკითხებზე. საჭიროების შემთხვევაში მსძ-ის ადგილობრივი მეთაური ინვესს ადგილობრივ სამოქალაქო ხელმძღვანელებს.
9. მსძ-ის მეთაურსა და უმაღლეს წარმომადგენელს შორის ჩამოყალიბდება კავშირის სათანადო მექანიზმები მათ მიერ შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისთვის ხელშეწყობის მიზნით.

## მუხლი IX

### პატიმრების გაცვლა

1. მხარეები დაუყოვნებლივ ათავისუფლებენ და გადასცემენ ყველა მებრძოლსა და სამოქალაქო პირს, ვინც კი დაკავებულია კონფლიქტთან დაკავშირებით (შემდეგში „პატიმრები“), საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და მოცემული მუხლის დებულებების შესაბამისად.
  - (ა) მხარეები იცავენ და ასრულებენ ყველა პატიმრის განთავისუფლებისა და გადაცემის გეგმას, რომელიც, შეიძლება, მომზადებულ იქნეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად.
  - (ბ) მხარეები სრულყოფილად თანამშრომლობენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან და ხელს უწყობენ მას პატიმრების გადაცემისა და განთავისუფლების გეგმის განხორციელებაში.
  - (გ) უფლებამოსილებების გადაცემიდან არაუგვიანეს ოცდაათი (30) დღისა მხარეები ათავისუფლებენ და გადასცემენ მათ მიერ დაკავებულ პატიმრებს.
  - (დ) მოცემული დანართის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ოცდაერთი (21) დღისა ამ პროცესის დასაჩქარებლად მხარეები ადგენენ პატიმრების სრულყოფილ ნუსხას და მას გადასცემენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, სხვა მხარეებს, ერთობლივ სამხედრო კომისიასა და უმაღლეს წარომადგენელს. ამ ნუსხაში მითითებულია პატიმრების ეროვნება, სახელი, ნოდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სამხედრო რიგითი ნომერი.
  - (ე) მხარეები უზრუნველყოფენ, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა სრულყოფილად და შეუზღუდავად მოახერხოს ყველა პატიმართან წვდომა. მხარეები ნებას

რთავენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ცალკე გამოკითხოს თითოეული პატიმარი მის განთავისუფლებამდე სულ ცოტა ორმოცდარვა (48) საათით ადრე გეგმის შესრულებისა და მონიტორინგის მიზნით, რომელიც მოიცავს თითოეული პატიმრის შემდგომი გაგზავნის ადგილების განსაზღვრას.

(ვ) იმ შემთხვევაში, თუ ტყვე უარს ამბობს გადაცემაზე, მხარეები არ იღებენ რეპრესიულ ზომებს არც ერთი პატიმრის ან მისი ოჯახის მიმართ.

(ზ) ზემოაღნიშნული დებულების მიუხედავად, თითოეული მხარე ვალდებულია შეასრულოს ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე საერთაშორისო ტრიბუნალის ნებისმიერი განკარგულება ან მოთხოვნა პირების დაკავებასთან, დაპატიმრებასთან, გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაექვემდებარებოდნენ გათავისუფლებას და გადაცემას ამ მუხლის შესაბამისად, მაგრამ ტრიბუნალის იურისდიქციის ფარგლებში ბრალი ედებათ სამართალდარღვევებში. თითოეულმა მხარემ უნდა დააკავოს პირები, რომლებიც არიან ეჭვმიტანილი ასეთი სამართალდარღვევების ჩადენაში იმ ვადის განმავლობაში, რომელიც აუცილებელია ტრიბუნალის ორგანოებთან შესაბამისი კონსულტაციის ჩატარებლად.

2. იმ შემთხვევებში, როცა დარეგისტრირებულია როგორც ინდივიდუალური, ასევე მასობრივი დაკრძალვის ადგილები და დადგენილია საფლავების არსებობა, თითოეული მხარე უფლებას აძლევს სხვა მხარის პერსონალს, რომელიც დაკავებულია საფლავების რეგისტრაციით, შევიდეს მის ტერიტორიაზე ორმხრივად შეთანხმებულ შეზღუდულ ვადებში ამ საფლავების მონახულების, მოცემული მხარის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის გარდაცვლილთა გვამების, მათ შორის გარდაცვლილი პატიმრების ნეშტის ამოღებისა და გადასვენების მიზნით.

## **მუხლი X**

### **თანამშრომლობა**

მხარეები სრულად თანამშრომლობენ სამშვიდობო პროცესის განხორციელებაში მონაწილე ყველა წარმონაქმნთან, როგორც ეს მითითებულია ზოგად ჩარჩო შეთანხმებაში ან იმათთან, ვინც სხვაგვარად არის უფლებამოსილი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, მათ შორის, საერთაშორისო ტრიბუნალთან - ყოფილი იუგოსლავიის საქმეზე.

## **მუხლი XI**

### **სამხედრო ნაწილების შეტყობინება**

თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ წინამდებარე დანართისა და წერილობითი ბრძანებების დებულებები, რომლებიც აღსასრულებელია, დაუყოვნებლივ იქნეს ცნობილი ყველა მხარის ძალებისათვის.

## **მუხლი XII**

### **განმარტების საბოლოო უფლება**


I მუხლის შესაბამისად, მსძ-ის მეთაურს ეკუთვნის საბოლოო უფლება მოქმედებების არენაზე მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ასპექტების შესახებ მოცემული შეთანხმების განმარტების კუთხით, რომლის განუყოფელი ნაწილი დამატებებია.

# მუხლი XIII

## ქალაქი ზენცლა

წინამდებარე დანართი ქალაქი შედის მისი ხელმოწერისთანავე ხელს აწერენ: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რესპუბლიკა სრპსკა.

ინონებს: ხორვატიის რესპუბლიკა, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა.



## დამატება ზ დანართისა 1-ა

### შეთანხმება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკასა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (ნატოს) შორის

#### ნატოსა და მისი პერსონალის სტატუსის შესახებ

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია თანხმდებიან შემდეგზე:

1. შეთანხმების მიზნებისათვის ქვემოთ წარმოდგენილ გამონათქვამებს მოეპოვებათ მათთვის მინიჭებული მნიშვნელობა:
  - „ოპერაცია“ ნიშნავს ნატოსა და ნატოს პერსონალის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სამშვიდობო გეგმისადმი მხარდაჭერას და მის რეალიზაციაში მონაწილეობას ან ყოფილი იუგოსლავიიდან გაეროს ძალების გაყვანაში მხარდაჭერას;
  - „ნატოს პერსონალი“ ნიშნავს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამოქალაქო და სამხედრო პერსონალს, ადგილზე დაქირავებული პერსონალის გარდა;
  - „ნატო“ არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, თავისი დამხმარე ორგანოებით, სამხედრო შტაბითა და მის შემადგენლობაში შემავალი ნაციონალური ქვედანაყოფებით, რომლებიც ამზადებენ და ატარებენ ოპერაციებს;
  - „ობიექტები“ ნიშნავს ყველა შენობასა და ტერიტორიას, რომლებიც აუცილებელია ნატოს ოპერატიული, სასწავლო და ადმინისტრაციული ღონისძიებების ჩასატარებლად ოპერაციის ფარგლებში და, ასევე, ნატოს პერსონალის განთავსებისათვის.
2. გაეროს 1946 წლის 13 თებერვლის კონვენციის დებულებები პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ გამოიყენება ნატოს პერსონალის მიმართ, კერძოდ, მათთვის, ვინც მონაწილეობს



ოპერაციებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა წინამდებარე შეთანხმებაში გათვალისწინებულია სხვა რამ. ასევე, ნატო თავისი ქონებითა და აქტივით სარგებლობს პრივილეგიებით და იმუნიტეტით, რომელიც შეთანხმებულია ამ კონვენციაში და მითითებულია წინამდებარე შეთანხმებაში.

3. პერსონალი, რომელიც შეთანხმების შესაბამისად სარგებლობს პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, იცავს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის კანონებს იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რა დონეზეც მათი დაცვა შეთავსებადია, მასზე დაკისრებული ამოცანებიდან/მანდატიდან გამომდინარე.
4. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის მთავრობა აუცილებლობად მიიჩნევს ნატოს პერსონალისთვის გასვლისა და შემოსვლის დაჩქარებულ პროცედურას. ის თავისუფლდება საპასპორტო და სავიზო ფორმულებებისა და რეგისტრაციის მოთხოვნებისგან, რომლებიც ვრცელდება უცხოელებზე. ნატოს პერსონალი ატარებს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, რომელიც მას, შეიძლება, მოსთხოვოს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის ხელისუფლებამ, თუმცა ასეთი მოთხოვნები ხელს არ შეუშლის მათ ოპერაციებს, სწავლებას და გადაადგილებას ანდა დაკავებას.
5. ნატოს სამხედრო პერსონალი, ჩვეულებრივ, ატარებს სამხედრო ფორმას. მათ შეუძლიათ იქონიონ და ატარონ იარაღი, თუ ამისი უფლებამოსილება აქვთ, ბრძანების თანახმად. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის ხელისუფლება გადასახადისა და მოსაკრებლის გარეშე გასცემს მძღოლის ლიცენზიასა და მართვის უფლებას ნატოს პერსონალისთვის შესაბამისი ნაციონალური ორგანოების მეშვეობით.
6. ნატოსა და მის ქვედანაყოფებს აქვთ უფლება სამოსზე, სატრანსპორტო საშუალებასა თუ ობიექტებზე ჰქონდეთ ნატოს დროშა ან სხვა შესაბამისი ნიშანი.
7. ნატოს სამხედრო პერსონალი ნებისმიერ გარემოებაში მუდ-

მივად იმყოფება მისი შესაბამისი ნაციონალური ქვედანაყოფის განსაკუთრებულ იურისდიქციაში ნებისმიერი სახის სისხლის სამართლებრივ ან დისციპლინარულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება მათ მიერ იქნეს ჩადენილი ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. ნატო და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის ხელისუფლება ერთმანეთს ეხმარებიან შესაბამისი იურისდიქციის განხორციელებაში.

8. ნატოს პერსონალი, ექსპერტის სტატუსით, მივლინებაში სარგებლობს იმუნიტეტით დაკავებასა თუ დაპატიმრებასთან მიმართებით. შეცდომით დაკავებული ან დაპატიმრებული ნატოს პერსონალი დაუყოვნებლივ გადაეცემა ნატოს ორგანოებს.
9. ნატოს პერსონალი თავის მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებით, გემებითა და საჰაერო ხომალდებით სარგებლობს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისუფალი და შეუზღუდავი გადაადგილების უფლებით. მათ განკარგულებაშია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის საჰაერო სივრცე, ტერიტორიული წყლები და ამ ტერიტორიაზე აქვთ დაუბრკოლებელი წვდომა. ზემოაღნიშნული, ასევე, გულისხმობს ბანაკის ფლობის უფლებას, მანევრების წარმოების, დაბინავების და ნებისმიერი რაიონისა თუ ობიექტის გამოყენების უფლებას საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად, როგორც ამას მოითხოვს ოპერაცია, სწავლება და წარმოება. ნატო თავისუფლია ინვენტარული ნუსხისა და სატრანსპორტო საშუალებებზე, გემებზე, საჰაერო ხომალდებზე, ქონებაზე, მომარაგების საგნებსა და სურსათზე, რომელთა შეტანაც ხდება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დადგენილი საბაჟო დოკუმენტაციის წარმოდგენისაგან. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის ხელისუფლება ყველა საშუალებით ხელს უწყობს პერსონალის, სატრანსპორტო საშუალებების, გემების, საჰაერო ხომალდების ან მომარაგების საგნების გადაადგილებას პორტების, აეროპორტების ან

საავტომობილო გზების გავლით. ოპერაციის მხარდასაჭერად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები არ ექვემდებარება არც ლიცენზირებას, არც რეგისტრაციის მოთხოვნებს და არც კომერციულ დაზღვევას. ნატო გამოიყენებს აეროპორტებს, საავტომობილო გზებსა და პორტებს ბაჟის, გადასახადების, საგზაო მოსაკრებლებისა და ტარიფების გადაუხდელად. ამასთანავე, ნატო არ მოითხოვს გათავისუფლებას მოთხოვნილი და მიღებული მომსახურების გადასახადისგან, თუმცა ოპერაცია და წვდომა არ შეიძლება დაყოვნდეს ასეთი მომსახურების განწევამდე.

10. ნატოს პერსონალი ნატოსგან სარგოსა და ანაზღაურების მიღებისას თავისუფალია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის გადასახადებით დაბეგვრისგან. იგივე ვრცელდება იმ შემოსავლის მიმართ, რომლის მიღებაც ხდება საქმიანობისთვის ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის გარეთ.
11. ნატოს პერსონალი და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკაში შემოტანილი ან შექმნილი მოძრავი ქონება თავისუფლდება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის მიერ დადგენილი გადასახადებისგან და ყველა სარეგისტრაციო და მასთან დაკავშირებული გადასახადისგან, გარდა განუყოფელი მომსახურებაზე მუნიციპალური განაკვეთებისაგან.
12. ნატოს უფლება აქვს უბაჟოდ დაშეუზღუდავად შემოიტანოს და გაიტანოს ოპერაციისათვის აუცილებელი ქონება, სანოვაგე, მომარაგების საგნები, თუ ასეთი გათვალისწინებულია ნატოს მიერ ოფიციალური გამოყენებისთვის ან სამხედრო მალაზიების ან სასადილოების მეშვეობით გასაყიდად, რომლებიც მონყობილია ნატოს პერსონალისათვის. გასაყიდი საქონელი გათვალისწინებულია მხოლოდ ნატოს პერსონალისთვის და არ ექვემდებარება სხვა მხარისათვის გადაცემას.
13. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის მთავრობა აღიარებს,

რომ საკომუნიკაციო არხების გამოყენება აუცილებელია ოპერაციისთვის. ნატოსთვის ნებადართულია შიდა ფოსტისა და ტელეკომუნიკაციის კავშირის საკუთარი სამსახურების ქონა, მათ შორისაა, სამაუნწყებლო სამსახურიც. ეს მოიცავს ისეთი საშუალებებისა და სამსახურების გამოყენების უფლებას, რომელიც გულისხმობს მთელი ელექტრომაგნიტური სპექტრის აუნაზღაურებლად გამოყენების საჭიროებას. ამ უფლების განხორციელებისას ნატო სრულად ითვალისწინებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის შესაბამისი ხელისუფლების მოთხოვნებს მათი შეთანხმებისა და აღირცხვის თვალსაზრისით.

14. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის მთავრობა უგადახდოდ უზრუნველყოფს ნატოს ისეთი ობიექტებით, რომლებიც აუცილებელია ოპერაციის მომზადებისა და განხორციელებისთვის. რესპუბლიკის მთავრობა ნატოს უწევს დახმარებას ყველაზე დაბალი განაკვეთით ისეთი აუცილებელი კომუნალური მომსახურების მიღებაში, როგორცაა ელექტროენერგია, წყალი და სხვა რესურსები, რაც აუცილებელია ოპერაციისათვის.
15. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის კერძო პირებისათვის ან ქონებისათვის, სამთავრობო მოსამსახურეებისა ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის ან ზარალის მიმართ პრეტენზიები სამთავრობო ორგანოების მეშვეობით წარედგინება ნატოს დანიშნულ წარმომადგენლებს.
16. ნატოს უფლება აქვს დაამყაროს პირდაპირი კავშირი მომსახურებისა და მომარაგების საგნების მიმწოდებლებთან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკაში გადასახადის გადაუხდელად. ნატოს შეუძლია დაიქირაოს ადგილობრივი პერსონალი, რომლის მიმართაც მოქმედებს ადგილობრივი კანონები, თუმცა ნატოს მიერ დაქირავებული ადგილობრივი პერსონალი:

(ა) არ ექვემდებარება სასამართლო პასუხისმგებლობას მის მი-

ერ თქმულსა ან დანერილზე და ყველა იმ ქმედებაზე, რომელიც მის მიერ ჩადენილ იქნა თანამდებობის პირების სახით;

- (ბ) თავისუფლდება სახელმწიფო სამხედრო სამსახურისგან;
- (გ) ნატოს მიერ თავისუფლდება მისთვის ანაზღაურებული სარგოსა და ხელფასის დაბეგვრისაგან.

17. ნატო ოპერაციის წარმოებისას შეიძლება, გადააწყდეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის ინფრასტრუქტურის, მაგალითად: გზების, კომუნალური სისტემების, ხიდების, გვირაბების, შენობების და ა.შ. მოდერნიზაციის ან ცვლილების აუცილებლობას. ნებისმიერი ობიექტი, რომელის მიმართ ხორციელდება ასეთი მოქმედება, ხდება საერთო ინფრასტრუქტურის ნაწილი და გადადის იმავე საკუთრებაში, რომელშიც ეს ინფრასტრუქტურაა. დროებითი ხასიათის ცვლილება ან მოდერნიზაცია შეიძლება აღმოიფხვრეს ნატოს მეთაურის სურვილისამებრ, ხოლო, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ობიექტი შეიძლება დაუბრუნდეს მის თავდაპირველ მდგომარეობას.
18. წინამდებარე შეთანხმების გამოყენების ან განმარტების სფეროში წამოჭრილი დავა, მისი წინასწარი დარეგულირების საშუალების არარსებობისას, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის და ნატოს წარმომადგენლების შორის დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით გადაწყდება.
19. წინამდებარე შეთანხმება, ასევე, გამოიყენება სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის, ნატოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული ნაწილების/ქვედანაყოფების აქტივებისა და ქონების მიმართ, რომლებსაც აქვთ შემხებლობა ოპერაციის განხორციელებასა ან სამოქალაქო მოსახლეობისათვის საგანგებო დახმარების განეგვასთან, რომლებსაც იმავდროულად აკონტროლებს ნაციონალური ხელმძღვანელობა.

20. არის შესაძლებლობა, დაიდოს დამატებითი შეთანხმება ოპერაციის დეტალების შესამუშავებლად.
21. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის მთავრობა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ნატოს წევრი ქვეყნები და მათ პერსონალს, რომელიც ოპერაციაში მონაწილეობს, იმავე პრივილეგიებსა და იმუნიტეტს სთავაზობს, რასაც მოცემული შეთანხმება - ნატოს წევრ სახელმწიფოებსა და პერსონალს.
22. წინამდებარე შეთანხმების დებულებები ძალაში რჩება ოპერაციის დასრულებამდე ან მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
23. მოცემული შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შესრულებულია რაიტ-პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაზე, ოჰაიოში, 1995 წლის 21 ნოემბერს და 1995 წლის ----  
-----.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის

ჩრდილოატლანტიკური

რესპუბლიკის სახელით:

ხელშეკრულების ორგანიზაციის  
სახელით

For the Republic of Bosnia and Herzegovina:

For the North Atlantic Treaty Organisation:




---

რაიტ-პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა,  
ოჰაიო 1995 წლის 21 ნოემბერი

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის  
გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს,  
მის აღმატებულებას სერჯიო სილვიო ბალანცინოს  
1110 ბრიუსელი

ბელგია

თქვენო აღმატებულებაჲ,

ვიმონმებ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ასპექტების შესახებ შეთანხმებას, რომელიც მოწონებულია იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკასა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (ნატო) შორის დადებულ შეთანხმებას ნატოსა და მისი პერსონალის სტატუსის შესახებ.

იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით მინდა დაგარწმუნოთ, რომ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივსაცემად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ რესპუბლიკა სრპსკამ სრულად დაიცვას ნატოს მიმართ აღებული ვალდებულებები, მათ შორის ძალების დაშვებისა და მათი სტატუსის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოაღნიშნულ შეთანხმებებში.

პატივისცემით,  
სლობოდან მილოშევიჩი



Sincerely,  
Slobodan Milosevic

**ხორვატიის რესპუბლიკა საგარეო საქმეთა  
სამინისტრო 1995 წლის 21 ნოემბერი, დეიტონი**

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის  
გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს,  
მის აღმატებულებას სერჯიო სილვიო ბალანცინოს  
1110 ბრიუსელი ბელგია  
თქვენო აღმატებულებავე,

ვიმონებ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ასპექტების შესახებ შეთანხმებას, რომელიც მოწონებულია ხორვატიის რესპუბლიკის მიერ, და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკას და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (ნატო) შორის დადებულ შეთანხმებას ნატოსა და მისი პერსონალის სტატუსის შესახებ.

ხორვატიის რესპუბლიკის სახელით მინდა დაგარწმუნოთ, რომ ხორვატიის რესპუბლიკა მიიღებს ყველა ზომას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივსაცემად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ პერსონალი ან ორგანიზაციები ბოსნია და ჰერცეგოვინაში, რომლებიც განიცდიან მის კონტროლსა და ზეგავლენას, სრულად დაიცავენ ნატოს მიმართ აღებულ ვალდებულებებს, მათ შორის ძალების დაშვებისა და მათი სტატუსის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოაღნიშნულ შეთანხმებებში.

პატივისცემით, მათე გრანჩინი

Dr. Mate Granić





რაიტ-პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა, ოჰაიო  
1995 წლის 21 ნოემბერი

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის  
გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს,  
მის აღმატებულებას სერჯიო სილვიო ბალანცინოს  
1110 ბრიუსელი  
ბელგია

**თქვენო ალმატაჟულებაჰ,**

ვიმონმებ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ასპექტების შესახებ შეთანხმებას, რომელიც ხელმოწერილია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის მიერ, და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკასა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (ნატო) შორის დადებულ შეთანხმებას ნატოსა და მისი პერსონალის სტატუსის შესახებ.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის სახელით მინდა დაგარწმუნოთ, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია დაცავს და შეასრულებს ნატოს მიმართ აღებულ ვალდებულებებს, მათ შორის ძალების დაშვებისა და მათი სტატუსის შესახებ.

პატივისცემით,  
იადრანკო პრილიცი  
პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი  
ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია

Jadranko Prlic  
Deputy Prime Minister and Defense  
Minister  
Federation of Bosnia and Herzegovina

რაიტ-პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა, ოჰაიო  
1995 წლის 21 ნოემბერი

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის  
გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს,  
მის აღმატებულებას სერჯიო სილვიო ბალანცინოს  
1110 ბრიუსელი  
ბელგია

თქვენო აღმატებულებაე,

ვიმონებ შეთანხმებას მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ასპექტების შესახებ, რომელიც ხელმონერილია რესპუბლიკა სრპსკის მიერ, როგორც ერთ-ერთი მხარის, და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკასა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (ნატო) შორის დადებულ შეთანხმებას ნატოსა და მისი პერსონალის სტატუსის შესახებ.

რესპუბლიკა სრპსკის სახელით მინდა დაგარწმუნოთ, რომ რესპუბლიკა სრპსკა დაიცავს და შეასრულებს ნატოს მიმართ აღებულ ვალდებულებებს, მათ შორის ძალების დაშვებისა და მათი სტატუსის შესახებ.

პატივისცემით,  
მომცილო კრაისნიკა  
სრპსკის რესპუბლიკის პრეზიდენტი



Momcilo Krajcinik  
President of the Republika Srpska



# შეთანხმება ხორვატიის რესპუბლიკასა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (ნატო) შორის

## ნატოსა და მისი პერსონალის სტატუსის შესახებ

ხორვატიის რესპუბლიკა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია თანხმდებიან შემდეგზე:

1. შეთანხმების მიზნებისათვის ქვემოთ ნაწარმოებულად გამონათქვამებს აქვს მათთვის მინიჭებული მნიშვნელობა:
  - „ოპერაცია“ ნიშნავს ნატოსა და ნატოს პერსონალის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სამშვიდობო გეგმისადმი მხარდაჭერას და მის რეალიზაციაში მონაწილეობას ან ყოფილი იუგოსლავიიდან გაეროს ძალების გაყვანის საქმეში მხარდაჭერას;
  - „ნატოს პერსონალი“ ნიშნავს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამოქალაქო და სამხედრო პერსონალს, ადგილზე დაქირავებული პერსონალის გარდა;
  - „ნატო“ არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, თავისი დამხმარე ორგანოებით, სამხედრო შტაბითა და მის შემადგენლობაში შემავალი ნაციონალური ქვედანაყოფებით, რომლებიც ამზადებენ და ატარებენ ოპერაციებს;
  - „ობიექტები“ ნიშნავს ყველა შენობასა და ტერიტორიას, რომლებიც აუცილებელია ნატოს ოპერატიული, სასწავლო და ადმინისტრაციული ღონისძიებების ჩასატარებლად ოპერაციის ფარგლებში და, ასევე, ნატოს პერსონალის განთავსებისათვის.
2. გაეროს 1946 წლის 13 თებერვლის კონვენციის დებულებები პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ გამოიყენება ნატოს პერსონალის მიმართ, კერძოდ, მათთვის, ვინც მონაწილეობს ოპერაციებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა წინამდებარე შეთანხმებაში გათვალისწინებულია სხვა რამ. ასევე, ნატო თავისი

- ქონებისა და აქტივის გამოყენებისას სარგებლობს პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, რაც შეთანხმებულია ამ კონვენციაში და მითითებულია წინამდებარე შეთანხმებაში.
3. პერსონალი, რომელიც შეთანხმების შესაბამისად სარგებლობს პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, იცავს ხორვატიის რესპუბლიკის კანონებს იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რა დონეზეც მათი დაცვა შეთავსებადია მასზე დაკისრებულ ამოცანებთან/მანდატთან.
  4. ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა აუცილებლობად მიიჩნევს ნატოს პერსონალისთვის გასვლისა და შემოსვლის დაჩქარებულ პროცედურას. პერსონალი თავისუფლდება საპასპორტო და სავიზო ფორმალობებისა და რეგისტრაციის მოთხოვნებისგან, რომლებიც ვრცელდება უცხოელებზე. ნატოს პერსონალი ატარებს პიროვნების დამადასტურებელ საბუთს, რომელიც მას, შეიძლება, მოთხოვოს ხორვატიის რესპუბლიკის ხელისუფლებამ, თუმცა ეს მოთხოვნები ხელს არ შეუშლის მათ ოპერაციებს, სწავლებასა და გადაადგილებას ანდა დაკავებას.
  5. ნატოს სამხედრო პერსონალი, ჩვეულებრივ, ატარებს სამხედრო ფორმას. მას შეუძლია იქონიოს და ატაროს იარაღი, თუ ამის უფლებამოსილება აქვს, ბრძანების თანახმად. ხორვატიის რესპუბლიკის ხელისუფლება გადასახადისა და მოსაკრებლის აულებლად გასცემს მძღოლის ლიცენზიასა და მართვის უფლებას ნატოს პერსონალისთვის შესაბამისი ნაციონალური ორგანოების მეშვეობით.
  6. ნატოსა და მის ქვედანაყოფებს აქვთ უფლება ჰქონდეთ სამოსზე, სატრანსპორტო საშუალებასა თუ ნატოს ობიექტებზე საკუთარი დროშა.
  7. ნატოს სამხედრო პერსონალი ნებისმიერ ვითარებაში მუდმივად იმყოფება მისი შესაბამისი ნაციონალური ქვედანაყოფის განსაკუთრებულ იურისდიქციაში ნებისმიერი სახის სისხლის სამართლებრივ ან დისციპლინარულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება ნატოს სამხედრო წარმომადგენელთა მიერ იქნეს ჩადენილი ხორვატიის რესპუბლიკაში.

ნატო და ხორვატიის რესპუბლიკის ხელისუფლება ერთმანეთს ეხმარებიან შესაბამისი იურისდიქციის განხორციელებაში.

8. ექსპერტის სტატუსის მქონე ნატოს პერსონალი მივლინებაში სარგებლობს დაკავებისა თუ დაპატიმრების იმუნიტეტით. შეცდომით დაკავებული ან დაპატიმრებული ნატოს პერსონალი დაუყოვნებლივ გადაეცემა ნატოს ორგანოებს.
9. ხორვატიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნატოს პერსონალი საატრანსპორტო საშუალებებით, გემებითა და საჰაერო ხომალდებით მოგზაურობისას სარგებლობს თავისუფალი და შეუზღუდავი გადაადგილების უფლებით; მის განკარგულებაშია ხორვატიის საჰაერო სივრცე, ტერიტორიული წყლები და ამ ტერიტორიაზე აქვს დაუბრკოლებელი წვდომა. ზემოაღნიშნული, ასევე, გულისხმობს ბანაკის ფლობის, მანევრების შესრულების, დაბინავების, ნებისმიერი რაიონისა თუ ობიექტის გამოყენების უფლებას საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად, როგორც ამას მოითხოვს ოპერაცია, სწავლება და წარმოება. ნატო თავისუფლია საინვენტარო ნუსხის და საატრანსპორტო საშუალებებზე, გემებზე, საჰაერო ხომალდებზე, ქონებაზე, მომარაგების საგნებსა და სურსათზე, რომელთა შეტანაც ხდება ხორვატიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დადგენილი საბაჟო დოკუმენტაციის წარმოდგენისაგან. ხორვატიის რესპუბლიკის ხელისუფლება ყველა საშუალებით ხელს უწყობს პერსონალის, საატრანსპორტო საშუალებების, გემების, საჰაერო ხომალდების ან მომარაგების საგნების გადაადგილებას პორტების, აეროპორტების ან საავტომობილო გზების გავლით. ოპერაციის მხარდასაჭერად გამოყენებული საატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები არ ექვემდებარება არც ლიცენზირებას, არც რეგისტრაციის მოთხოვნებს და არც კომერციულ დაზღვევას. ნატო გამოიყენებს აეროპორტებს, საავტომობილო გზებსა და პორტებს ბაჟის, გადასახადების, საგზაო მოსაკრებლებისა და ტარიფების გადაუხდელად, ამასთან ერთად, ნატო არ მოითხოვს გათავისუფლებას მოთხოვნილი და მიღებული მომსახურების გადასახადისგან, ოღონდ ოპერაცია და წვდომა არ შეიძლება

- დაყოვნდეს ასეთი მომსახურების განევამდე.
10. ნატოს პერსონალი ნატოსგან სარგოსა და ანაზღაურების მიღებისას თავისუფალია ხორვატიის რესპუბლიკის გადასახადებით დაბეგვრისგან. იგივე წესი ვრცელდება იმ შემოსავლის მიმართ, რომელსაც მიიღებენ ხორვატიის რესპუბლიკის გარეთ საქმიანობისათვის.
  11. ნატოს პერსონალი და ხორვატიის რესპუბლიკაში შემოტანილი ან შექმნილი მოძრავი ქონება თავისუფლდება ხორვატიის რესპუბლიკის მიერ დადგენილი გადასახადებისა და ყველა სარეგისტრაციო და მასთან დაკავშირებული გადასახადისგან, ოღონდ არა-განეულ მომსახურებაზე მუნიციპალური განაკვეთებისაგან.
  12. ნატოს უფლება აქვს უბაჟოდ და შეუზღუდავად შემოიტანოს და გაიტანოს ოპერაციისათვის აუცილებელი ქონება, სანოვაგე და მომარაგების საგნები, თუ ასეთი გათვალისწინებულია ნატოს მიერ ოფიციალური გამოყენებისთვის ან სამხედრო მალაზიების ან სასადილოების მეშვეობით გასაყიდად, რომლებიც მოწყობილია ნატოს პერსონალისათვის. გასაყიდი საქონელი გათვალისწინებულია მხოლოდ ნატოს პერსონალისთვის და არ ექვემდებარება სხვა მხარისათვის გადაცემას.
  13. ნატოს უფლება აქვს ჰქონდეს საკუთარი შიდა ფოსტა და ტელეკომუნიკაციის სამსახურები, მათ შორის, საერთაშორისო მასშტაბისა. სატელეკომუნიკაციო არხები და კავშირის სხვა საშუალებები, რომლებმაც, შეიძლება, დაბრკოლება შეუქმნან ხორვატიის ტელეკომუნიკაციის სამსახურებს, კოორდინირებულად მუშაობენ ხორვატიის შესაბამის ორგანოებთან, ოღონდ აუნაზღაურებლად. ხორვატიის მთავრობა აღიარებს, რომ საკომუნიკაციო არხების გამოყენება აუცილებელია ოპერაციისთვის.
  14. ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა უგადახდოდ უზრუნველყოფს ნატოს ისეთი ობიექტებით, რომლებიც აუცილებელია ოპერაციის მომზადებისა და განხორციელებისთვის. ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა ნატოს უწევს დახმარებას ყველაზე დაბალი განაკვეთით ისეთი აუცილებელი კომუნალური მომსახურების მიღებაში, როგორიცაა ელექტროენერგია, წყალი და

სხვა რესურსები, რაც აუცილებელია ოპერაციისათვის.

15. ხორვატიის რესპუბლიკის კერძო პირების ან ქონებისათვის, სამთავრობო მოსამსახურეებისა ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის ან ზარალის გამო პრეტენზიები სამთავრობო ორგანოს მეშვეობით წარედგინება ნატოს მიერ დანიშნულ წარმომადგენლებს.
16. ნატოს უფლება აქვს დაამყაროს პირდაპირი კავშირი მომსახურებისა და მომარაგების საგნების მიმწოდებლებთან ხორვატიის რესპუბლიკაში გადასახადის გადაუხდელად. მას შეუძლია დაიქირავოს ადგილობრივი პერსონალი, რომლის მიმართაც მოქმედებს ადგილობრივი კანონები, თუმცა ნატოს მიერ დაქირავებული ადგილობრივი პერსონალი:
  - (ა) არ ექვემდებარება სასამართლო პასუხისმგებლობას მის მიერ თქმულსა ან დაწერილზე და ყველა იმ ქმედებაზე, რომელიც მის მიერ ჩადენილ იქნა თანამდებობის პირების სახით;
  - (ბ) თავისუფლდება სახელმწიფო სამხედრო სამსახურისგან;
  - (გ) ნატოს მიერ თავისუფლდება მისთვის ანაზღაურებული სარგოსა და ხელფასის დაბეგვრისაგან.
17. ნატო ოპერაციის პროცესში შეიძლება დადგეს ხორვატიის რესპუბლიკის ინფრასტრუქტურის, მაგალითად: გზების, კომუნალური სისტემების, ხიდების, გვირაბების, შენობებისა და ა.შ. მოდერნიზაციის ან ცვლილების აუცილებლობის წინაშე. ნებისმიერი ობიექტი, რომელის მიმართ ხორციელდება ასეთი მოქმედება, ხდება საერთო ინფრასტრუქტურის ნაწილი და გადადის იმავე საკუთრებაში, რომელშიც ეს ინფრასტრუქტურა. დროებითი ხასიათის ცვლილება ან მოდერნიზაცია შეიძლება აღმოიფხვრეს ნატოს მეთაურის სურვილისამებრ, ხოლო, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ობიექტი შეიძლება დაუბრუნდეს მის თავდაპირველ მდგომარეობას.
18. წინამდებარე შეთანხმების გამოყენების ან განმარტების მხრივ დავის რაიმე წინასწარი დარეგულირებისას ნებადართულია ხორვატიის რესპუბლიკისა და ნატოს წარმომადგენლებს შორის მისი

დიპლომატიური საშუალებებით გადაჭრა.

19. წინამდებარე შეთანხმება, ასევე, გამოიყენება სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის, ნატოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული ნაწილების/ქვედანაყოფების აქტივებისა და ქონების მიმართ, რომლებსაც აქვთ შემხებლობა ოპერაციის განხორციელებას ან სამოქალაქო მოსახლეობისათვის საგანგებო დახმარების განეწესთან და იმავდროულად, რჩებიან ნაციონალური ხელმძღვანელობის გაკონტროლების ობიექტებად.
20. არის შესაძლებლობა, დაიდოს დამატებითი შეთანხმება ოპერაციის დეტალების შესამუშავებლად.
21. ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ნატოს წევრი ქვეყნები, და მათ პერსონალს, ოპერაციაში რომ მონაწილეობს, იმავე პრივილეგიებსა და იმუნიტეტს სთავაზობს, რასაც მოცემული შეთანხმება - ნატოს წევრ სახელმწიფოებსა და პერსონალს.
22. წინამდებარე შეთანხმების დებულებები ძალაში რჩება ოპერაციის დასრულებამდე ან მხარეების მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
23. მოცემული შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

შესრულებულია რაიტ-პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაზე, ოჰაიოში, 1995 წლის 21 ნოემბერს და 1995 წლის -----.

ხორვატიის რესპუბლიკის  
სახელით

ჩრდილოატლანტიკური  
ხელშეკრულების ორგანიზაციის  
სახელით

**For the Republic of Croatia:**

**For the North Atlantic Treaty Organisation:**





# შეთანხმება იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (ნატო) შორის სამშვიდობო გეგმის ოპერაციისთვის სატრანზიტო ღონისძიებების შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია ახორციელებს მრავალმხრივ დაგეგმვას გაეროსთან კოორდინაციის მიზნით, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში სამშვიდობო გეგმის განხორციელების ან ყოფილი იუგოსლავიიდან გაეროს შეიარაღებული ძალების შესაძლო გაყვანის უზრუნველსაყოფად, აქვს შესაძლებლობა მიმართოს მას თხოვნით შემდეგი სახის ოპერაციის შესრულების შესახებ;

ადეკვატური სატრანზიტო მექანიზმების შექმნის აუცილებლობის გათვალისწინებით ამ ოპერაციის შესრულება/განხორციელებისთვის მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ:

1. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის შემდეგ გამონათქვამებს აქვსმათთვის მიკუთვნებული ქვემოთ მოყვანილი მნიშვნელობები:
  - „ოპერაცია“ ნიშნავს ნატოსა და ნატოს პერსონალის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სამშვიდობო გეგმისადმი მხარდაჭერასა და მის რეალიზაციაში მონაწილეობას ან ყოფილი იუგოსლავიიდან გაეროს ძალების გაყვანის საქმეში მხარდაჭერას;
  - „ნატოს პერსონალი“ ნიშნავს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამოქალაქო და სამხედრო პერსონალს, ადგილზე დაქირავებული პერსონალის გარდა;

- „ნატო“ არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია თავისი დამხმარე ორგანოებით, სამხედრო შტაბითა და მის შემადგენლობაში შემავალი ნაციონალური ქვედანაყოფებით, რომლებიც ამზადებენ და ატარებენ ოპერაციებს;
2. იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა იძლევა ნებართვას, ოპერაციის შესრულების მიზნით ნატომ განახორციელოს პერსონალის, ტვირთის, აღჭურვილობის, საქონლის, ნებისმიერი სახის მატერიალური საშუალებების, მათ შორის, ოპერაციის განსახორციელებლად საჭირო საბრძოლო მასალის თავისუფალი ტრანზიტი ხმელეთზე, რკინიგზაზე, საავტომობილო გზებზე, წყალზე და ჰაერში იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით, მათ შორის, იუგოსლავიის რესპუბლიკის საჰაერო სივრცისა და ტერიტორიული წყლების ჩათვლით.
  3. იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა უზრუნველყოფს, ნატომ ყველაზე დაბალი განაკვეთით მიიღოს ისეთი ობიექტები ან/და მომსახურება, რომელიც ტრანზიტის აუცილებლობითაა განპირობებული.
  4. ნატო თავისუფალია იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე პერსონალის, ქონების, მომარაგების საგნების და სურსათის შესახებ შესაყვანი ან შესატანი დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენისაგან. იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლება ყველა აუცილებელი საშუალებით ხელს უწყობს პერსონალის, სატრანსპორტო საშუალებების ან/და მომარაგების საგნების გადაადგილებას პორტის, აეროპორტის ან საავტომობილო გზების მეშვეობით. სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები არ ექვემდებარება არც ლიცენზირებას, არც რეგისტრაციის მოთხოვნებს და არც კომერციულ დაზღვევას. ნატოსთვის ნებადართულია გამოიყენოს აეროპორტები, საავტომობილო გზები და პორტები ბაჟის,

გადასახადების და საგზაო მოსაკრებლის გადაუხდელად. ნატო არ მოითხოვს განთავისუფლდეს მოთხოვნილი და მიღებული მომსახურების გონივრული გადასახადებისგან, მაგრამ ტრანზიტი არ შეიძლება შეყვინდეს ასეთი მომსახურების ანაზღაურების შესახებ შეთანხმების მიღწევის პროცესის გამო. ნატო წინასწარ შეატყობინებს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას ტრანსპორტის სახეობათა შესახებ; მარშრუტები შეთანხმდება ერთობლივი მოლაპარაკებების საფუძველზე.

5. გაეროს 1946 წლის 13 თებერვლის პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ კონვენციის დებულებები, რომლებიც ეხება მისიებში მივლინებულ ექსპერტებს, გამოიყენება ნატოს პერსონალის მიმართ, რომელიც მონაწილეობს ტრანზიტში, იმ შემთხვევების გარდა, თუ წინამდებარე შეთანხმებაში სხვა რამ არის გათვალისწინებული. გარდა ამისა, ნატოს, ქონება და აქტივები სარგებლობს პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, რაც შეთანხმებულია ამ კონვენციაში და მითითებულია წინამდებარე შეთანხმებაში.
6. პერსონალი, რომელიც, ამ შეთანხმების შესაბამისად, სარგებლობს პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, იცავს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონებს იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რა დონეზეც მათი დაცვა შეთავსებადია, მასზე დაკისრებული ამოცანებიდან/მანდატიდან გამომდინარე.
7. იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა აუცილებლობად მიიჩნევს ნატოს პერსონალისთვის გასვლისა და შესვლის დაჩქარებულ პროცედურას. ის თავისუფლდება საპასპორტო და სავიზო ფორმალობებისა და რეგისტრაციის მოთხოვნებისგან, რომლებიც ვრცელდება უცხოელებზე. ნატოს პერსონალი ატარებს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, რომელიც შეიძლება მოითხოვოს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ, მაგრამ აღნიშნულმა მოთხოვნამ არ შეიძლება ხელი შეუშალოს ტრანზიტს ან მის დაკავებას.

8. ნატოს სამხედრო პერსონალი ჩვეულებრივ ატარებს სამხედრო ფორმას. მას შეუძლია იქონიოს და ატაროს იარაღი, თუ ამის უფლებამოსილება აქვს, ბრძანების თანახმად. იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლება გადასახადისა და მოსაკრებლის გარეშე გასცემს მძღოლის ლიცენზიასა და მართვის უფლებას ნატოს პერსონალისთვის შესაბამისი ნაციონალური ორგანოების მეშვეობით.
9. ნატოსა და მის ქვედანაყოფებს აქვთ უფლება სამოსზე, სატრანსპორტო საშუალებასა თუ ობიექტებზე ჰქონდეთ ნატოს დროშა ან სხვა შესაბამისი ნიშანი.
10. ნატოს სამხედრო პერსონალი ნებისმიერი გარემოების დროს მუდმივად იმყოფება მისი შესაბამისი ნაციონალური ქვედანაყოფის განსაკუთრებულ იურისდიქციაში ნებისმიერი სახის სისხლის სამართლებრივ ან დისციპლინარულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება მის მიერ იქნეს ჩადენილი იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ნატო და იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლება ერთმანეთს ეხმარებიან შესაბამისი იურისდიქციის განხორციელებაში.
11. ექსპერტის სტატუსის მქონე ნატოს პერსონალი მივლინებაში სარგებლობს დაკავებისა თუ დაპატიმრების იმუნიტეტით. შეცდომით დაკავებული ან დაპატიმრებული ნატოს პერსონალი დაუყოვნებლივ გადაეცემა ნატოს ორგანოებს.
12. ნატოს პერსონალი და მისი მოძრავი ქონება, რომელიც ტრანზიტით სარგებლობს იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, თავისუფლდება იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ყველა გადასახადისაგან.
13. ნატოსთვის ნებადართულია ტელეკომუნიკაციის კავშირის საკუთარი სამსახურების ქონა. ეს მოიცავს ისეთი საშუალებებისა და სამსახურების გამოყენების უფლებას, რომელიც გულისხმობს

მთელი ელექტრომაგნიტური სპექტრის აუნაზღაურებელი გამოყენების საჭიროებას. ამ უფლების განხორციელებისას ნატო სრულად ითვალისწინებს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლების მოთხოვნებს, მათი შეთანხმებისა და აღირცხვის თვალსაზრისით.

14. იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის კერძო პირებისა ან ქონებისათვის, სამთავრობო მოსამსახურეებისა ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის ან ზარალის გამო პრეტენზიები სამთავრობო ორგანოების მეშვეობით წარედგინება ნატოს მიერ დანიშნულ წარმომადგენლებს.
15. წინამდებარე შეთანხმების გამოყენების ან განმარტების მხრივ წამოჭრილი დავის გადაწყვეტა მისი წინასწარი დარეგულირების საშუალების არარსებობისას ხდება იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ნატოს წარმომადგენლებს შორის დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით.
16. წინამდებარე შეთანხმება, ასევე, გამოიყენება სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის, ნატოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული ნაწილების/ქვედანაყოფების აქტივებისა და ქონების მიმართ, რომლებსაც აქვთ შემხებლობა ოპერაციის განხორციელებასა ან სამოქალაქო მოსახლეობისათვის საგანგებო დახმარების განწევასთან და იმავდროულად, რჩებიან ნაციონალური ხელმძღვანელობის კონტროლირებად ობიექტებად.
17. არის შესაძლებლობა, დაიდოს დამატებითი შეთანხმება ტრანზიტის სხვა დეტალების შესამუშავებლად.
18. იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ნატოს წევრი ქვეყნები, და მათ პერსონალს, ოპერაციაში რომ მონაწილეობს, იმავე პრივილეგიებსა და იმუნიტეტს სთავაზობს, რასაც მოცემული შეთანხმება - ნატოს წევრ სახელმწიფოებსა და პერსონალს.
19. წინამდებარე შეთანხმების დებულებები ძალაში რჩება ოპერაცი-



ის დასრულებამდე ან მხარეების მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

20. მოცემული შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შესრულებულია რაიტ-პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაზე, ოჰაიოში, 1995 წლის 21 ნოემბერს და 1995 წლის ----  
-----.

იუგოსლავიის ფედერაციული  
რესპუბლიკის სახელით

ჩრდილოატლანტიკური  
ხელშეკრულების ორგანიზაცი-  
ის სახელით

<b>For the Federal Republic of Yugoslavia:</b> 	<b>For the North Atlantic Treaty Organisation:</b>  /...
---	---

## შეთანხმება რეგიონის სტაბილიზაციის

### შესახებ

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და რესპუბლიკა სრპსკა (შემდგომში „მხარეები“) შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი I

#### ზოგადი ვალდებულებები

მხარეები თანხმდებიან, რომ წინსვლა რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფისა და შეიარაღების კონტროლის თაობაზე არსებითად მნიშვნელოვანია რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად. ამ მიზნის გათვალისწინებით, ისინი ეთანხმებიან თანამშრომლობის ახალი ფორმების შემუშავების მნიშვნელობას უსაფრთხოების სფეროში, რომელიც მიმართულია გამჭვირვალობისა და ნდობის განტკიცებისაკენ. ასევე, აცხადებენ თანხმობას დაბალანსებული და სტაბილური თავდაცვის ძალების არსებობაზე მინიმალური რაოდენობით მხარეების უსაფრთხოების მიზნით და რეგიონში გამაღებელი შეიარაღების თავიდან არიდების აუცილებლობის გათვალისწინებით. სტაბილურობისა და რეგიონული სტრუქტურის უზრუნველსაყოფად მხარეებმა მოიწონეს ქვემოთ მოყვანილი გადაწყვეტილებები.

## მუხლი II

### უსაფრთხოებისა და ნდობის გამყარების

### ლონისძიებები ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში

მოცემული შეთანხმების (შემდგომში „დანართი“) ძალაში შესვლიდან შვიდი დღის განმავლობაში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და რესპუბლიკა სრპსკა მაღალ პოლიტიკურ დონეზე იწყებენ მოლაპარაკებებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (შემდგომში „ეუთო“) ეგიდით, ორმხრივი ნდობის განმტკიცების ღონისძიებების შეთანხმების და კონფლიქტის წარმოქმნის საშიშროების მინიმუმამდე დაყვანის შესახებ; სრულად ეყრდნობიან 1992 წლის ეუთოს ნდობისა და უშიშროების განმტკიცების ღონისძიებებზე მოლაპარაკებების შესახებ ვენის დოკუმენტს. მოლაპარაკებების მიზანია ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორმოცდახუთი (45) დღის განმავლობაში შეთანხმდეს პირველი რიგის ღონისძიებები, მათ შორისაა:

- ა) სამხედრო განლაგებისა და წვრთნების შეზღუდვები გარკვეულ გეოგრაფიულ რეგიონში;
- ბ) ზოგადი ჩარჩო შეთანხმების 1-ა დანართის III მუხლის თანახმად, უცხო ძალების განმეორებითი შეყვანის აკრძალვები;
- გ) მძიმე შეიარაღების ადგილმდებარეობის შეზღუდვები;
- დ) ძალებისა და მძიმე შეიარაღების გაყვანა შეკრების/ყაზარმის ტერიტორიაზე და სხვა შეთანხმებულ ადგილებში, როგორც ეს გათვალისწინებულია 1-ა დანართის IV მუხლში;
- ე) შეტყობინება სპეციალური დანიშნულებისა და შეიარაღებული სამოქალაქო პირების ჯგუფების დაშლის თაობაზე;
- ვ) შეტყობინება დაგეგმილი სამხედრო საქმიანობის შესახებ,



- მათ შორის საერთაშორისო სამხედრო დახმარების განწვეისა და სწავლების პროგრამების თაობაზე;
- ზ) შეიარაღების წარმოების პოტენციალის განსაზღვრა და მონიტორინგი;
  - თ) ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების (შემდეგში „ეჩმძ“) შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეიარაღების ხუთი კატეგორიის მარაგის შესახებ მონაცემების დაუყოვნებლივი გაცვლა, იმის დამატებით, რომ საარტილერიო ერთეულებად განისაზღვრება, როგორც 75 მმ და მეტი კალიბრის მქონე ერთეულები;
  - ი) სამხედრო მისიების დაუყოვნებლივი შექმნა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის და რესპუბლიკა სრპსკის შეიარაღებული ძალების მეთაურებს შორის კავშირის მიზნით.

### მუხლი III

## რეგიონში ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ღონისძიებები

II მუხლში თანახმად, მხარეები თანხმდებიან შეუდგნენ მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ღონისძიებების შესახებ რეგიონული შეთანხმების შემუშავებაზე. მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

- ა) არ შეიტანონ რეგიონში არანაირი შეიარაღება მოცემული დანართის ძალაში შესვლიდან ოთხმოცდაათი (90) დღის განმავლობაში;
- ბ) მოცემული დანართის ძალაში შესვლიდან 180 დღის განმავლობაში ან ქვემოთ IV მუხლში ხსენებული შეიარაღება-

ზე კონტროლის შესახებ შეთანხმების ამოქმედებამდე რეგონში არ შეიტანონ მძიმე შეიარაღება ან/და საბრძოლო მასალები მძიმე შეიარაღებისთვის, ნაღმები, სამხედრო თვითმფრინავები და ვერტიკალური ლანჩები. მძიმე შეიარაღებებს განეკუთვნება ყველა სახის ტანკი და ჯავშანმანქანა, 75 მმ და მეტი კალიბრის არტილერია, 81 მმ და მეტი კალიბრის ნაღმმტყორცნები და 20 მმ და მეტი კალიბრის ყველა საზენიტო იარაღი.

## მუხლი IV

### შეიარაღებებზე ქვერეგიონული კონტროლის ღონისძიებები

1. აღიარებენ რა დაბალანსებული და სტაბილური თავდაცვის ძალების მიღწევების მნიშვნელობას და აცნობიერებენ რა სტაბილურ სამხედრო ბალანსს, დაფუძნებულს შეიარაღების ყველაზე დაბალ დონეზე, როგორც კონფლიქტის თავიდან აცილების მთავარ ელემენტს, მხარეები ეუთოს ეგიდით წინამდებარე დანართის ძალაში შესვლიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში იწყებენ მოლაპარაკებებს შეიარაღების დონეებთან მიმართებით შეთანხმების მიღწევის მიზნით. წინამდებარე დანართის ძალაში შესვლიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში მხარეები, ასევე, იწყებენ მოლაპარაკებებს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რაოდენობის ზღვრული დონეების დადგენის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით.
2. მხარეები თანხმდებიან, რომ შეთანხმება შეიარაღების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ კრიტერიუმებს: მოსახლეობის რაოდენობა, შეიარაღების ამჟამინდელი მარაგი შეიარაღებულ და-

ლებში, თავდაცვის საჭიროებები და რეგიონში ძალთა დონეების თანაფარდობა.

- (ა) შეთანხმება ადგენს ტანკების, არტილერიის, საბრძოლო ჯავშანმანქანების, საბრძოლო თვითმფრინავებისა და საბრძოლო ვერტიკალური რაოდენობრივ ზღვრულ დონეებს, როგორც ეს განსაზღვრულია ეუთოს ხელშეკრულების შესაბამის ნაწილებში, ამასთანავე, საარტილერიო ერთეულებად განისაზღვრება, 75 მმ და მეტი კალიბრის მქონე ერთეულები;
  - (ბ) სანჯისი დონის დადგენის მიზნით მხარეები თანხმდებიან, მოცემული დანართის ძალაში შესვლიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში წარმოადგინონ ცნობები თავიანთ მარაგზე, როგორც ეს მითითებულია ა ქვეპუნქტში, ეუთოს 1992 წლის ვენის დოკუმენტში მითითებული ფორმატის შესაბამისად;
  - (გ) აღნიშნული შეტყობინების ფორმატი შეივსება რეგიონის განსაკუთრებული მოსაზრებების გათვალისწინებით.
3. მხარეები თანხმდებიან, წინამდებარე დანართის ძალაში შესვლიდან 180 დღის განმავლობაში დაასრულონ ზემოაღნიშნული მოლაპარაკებები შეთანხმებული რაოდენობრივი ზღვრული დონეების შესახებ იმ კატეგორიაზე, რომელიც ნახსენებია მოცემული მუხლის 2ა პუნქტში. თუ მოცემული დანართის ძალაში შესვლიდან 180 დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან ასეთ ზღვრულ დონეებზე, გამოიყენებენ თანაფარდობას 5:2:2, რომელიც ეფუძნება მხარეთა მოსახლეობის სავარაუდო რაოდენობას:
- ა) სანჯის დონეს წარმოადგენს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის დადგენილი მარაგი (შემდეგში წოდებული „სანჯის დონედ“);
  - ბ) იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის ზღვრულ დონეს შეადგენს სანჯისი დონის სამოცდათხუთმეტი (75) პროცენტი;
  - გ) ხორვატიის რესპუბლიკისთვის ზღვრულ დონეს შეადგენს სანჯისი დონის ოცდაათი (30) პროცენტი;

- დ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინისთვის ზღვრულ დონეს შეადგენს სანჯისი დონის ოცდაათი (30) პროცენტი;
  - ე) ბოსნიისა და ჰერცეგოვინისთვის დადგენილი დონე განაწილება წარმონაქმნებს შორის თანაფარდობით: ორი (2) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციისა და ერთი (1) რესპუბლიკა სრპსკისთვის.
4. წინამდებარე დანართის II და IV მუხლების შესაბამისად, ეუთო მხარეებს ეხმარება მოლაპარაკებების წარმართვაში, ასევე, შეთანხმებათა განხორციელებასა და მოლაპარაკებების შედეგის შემოწმებაში (მათ შორისაა დეკლარაციების შემოწმება).

## მუხლი V

### რეგიონული შეთანხმება შეიარაღების კონტროლის შესახებ


ყოფილ იუგოსლავიაში და მის ირგვლივ რეგიონული წონასწორობის დამყარების მიზნით ეუთო, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, მხარეებს ეხმარება ეუთოს უსაფრთხოების შესახებ თანამშრომლობის ფორუმის ეგიდით მოლაპარაკებების ორგანიზებასა და ჩატარებაში. მხარეები ვალდებულიებას იღებენ, სრულად ითანამშრომლონ ეუთოსთან ამ მიზნის მისაღწევად და სხვა მხარეების მიერ რეგულარული ინსპექციების ჩატარების ხელშესაწყობად. გარდა ამისა, მხარეები თანხმდებიან შექმნან კომისია ეუთოს წარმომადგენლებთან ერთად ნებისმიერი იმ დავის გადაწყვეტის ხელშეწყობის მიზნით, რომელიც, შეიძლება, წარმოიშვას.

# მუხლი VI

## ძალაში შესვლა

მოცემული დანართი ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

**ხელს აწერენ:** ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, სორვატიის რესპუბლიკა, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რესპუბლიკა სრპსკა.



### შეთანხმება წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზისა და ამასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და რესპუბლიკა სრპსკა (შემდეგში „მხარეები“) შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი I

#### წარმონაქმნებს შორის გაყოფის ხაზები

საზღვარი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციასა და რესპუბლიკა სრპსკას შორის (შემდეგში „წარმონაქმნებს შორის გამიჯვნის ხაზი“) ნაჩვენებია რუკაზე, რომელიც შეთანხმებას თან ერთვის.

#### მუხლი II

#### შესწორების შეტანა მხარეთა მიერ

მხარეებს შეუძლიათ წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზის კორექტირება მხოლოდ ორმხრივი თანხმობის საფუძველზე. იმ პერიოდის განმავლობაში, როცა, ზოგადი ჩარჩო შეთანხმების 1-ა დანართის დებულებების თანახმად, მრავალეროვნული სამხედრო ძალები (მსძ) ასრულებენ მოვალეობას, სანამ მხარეები რაიმე სახის შეთანხმებულ კორექტირებას განახორციელებდნენ, კონსულტაციას გადიან მსძ-ის მეთაურთან და ატყობინებენ მას ამ კორექტირების თაობაზე.

## მუხლი III

### მდინარეები

1. თუ არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება, წარმონაქმნებს შორის გამიჯვნის ხაზი გადის მდინარეზე. იგი მისდევს მდინარის კალაპოტის ბუნებრივ ცვლილებებს (აკრეცია ან ეროზია). ბუნებრივი ცვლილებები მდინარის კალაპოტში გავლენას არ ახდებს წარმონაქმნებს შორის გამიჯვნის ხაზის მდებარეობაზე, თუ სხვა სახის შეთანხმება არ არის მიღწეული. ნებისმიერი სახის ხელოვნური ცვლილება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეებს შორის შეთანხმებით.
2. მდინარის კალაპოტის მოულოდნელი ბუნებრივი ცვლილებების შემთხვევაში (ავულსია ან ახალი კალაპოტის გაჭრა) საზღვარი განისაზღვრება მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით. თუ ასეთი ფაქტი ხდება მსძ-ის მუშაობის პერიოდში, საკითხი უნდა დაამტკიცოს მსძ-ის მეთაურმა.

## მუხლი IV

### დემარკაცია და აღნიშვნა

1. ხაზი 1:50 000 მასშტაბის რუკაზე, რომელიც შედის წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზის დემარკაციის შესახებ დანართში და ხაზები 1:50 000 მასშტაბის რუკაზე, რომელიც შედის 1-ა დანართის ა დამატებაში წარმონაქმნებს შორის გამიჯვნის ზონის და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებული ხაზის და მისი გამიჯვნის ზონის დემარკაციასთან მიმართებით, რომლებიც მიღებულია მხარეების მიერ საკონტროლო და საბოლოო სახით, აღნიშნულია დაახლოებით 50 მეტრამდე სიზუსტით. იმ პერიოდის განმავლობაში, როცა მსძ არსულებს მოვალეობას, მსძ-ის

მეთაურს უფლება აქვს მხარეებთან კონსულტაციის შედეგად მოახდინოს ასეთი ხაზებისა და ზონების ზუსტი დემარკაცია იმ პირობით, რომ აუცილებლობის შემთხვევაში სარაევოსთან მიმართებით მსძ-ს მეთაურს უფლება აქვს მოახდინოს გამიჯვნის ზონების კორექტირება.

2. ზემოაღნიშნული ხაზები და ზონები შეიძლება დემარკირებულ იქნეს საჭიროების მიხედვით მხარეების წარმომადგენლების მიერ მსძ-სთან შეთანხმებით და მათი დაკვირვების შემთხვევაში. საბოლოო გადაწყვეტილებას ამ ნიშნების განლაგებასთან დაკავშირებით იღებს მსძ. აღნიშნული ხაზები და ზონები განისაზღვრება მხარეების მიერ შეთანხმებული რუკებითა და დოკუმენტებით და არა ნიშნების ფიზიკური ადგილმდებარეობით.
3. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც შედგება თითოეული მხარის წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობისგან წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზის ზუსტი აღწერის შესახებ შეთანხმებული ტექნიკური დოკუმენტის მომზადების მიზნით. ნებისმიერი ასეთი დოკუმენტი, რომელიც მომზადდება მსძ-ის საქმიანობის პერიოდში, დაექვემდებარება მსძ-ის მეთაურის მხრიდან დამტკიცებას.

## მუხლი V

### ბრჩკოს ტერიტორიის არბიტრაჟი

1. მხარეები თანხმდებიან სადავო ნაწილების სავალდებულო არბიტრაჟის შესახებ წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზების სადავო ნაწილთან დაკავშირებით ბრჩკოს ტერიტორიაზე, რომელიც აღნიშნულია დანართის სახით წარმოდგენილ რუკაზე.
2. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში, თავის მხრივ, ფედერაცია და, თავის მხრივ,



რესპუბლიკა სრპსკა ნიშნავს თითო არბიტრს. მესამე არბიტრი შეირჩევა მხარეთა თანხმობის ხელშეკრულებით 30 დღის განმავლობაში. თუ აღნიშნულ საკითხზე ვერ მიიღწევა თანხმობა, მესამე არბიტრი ინიშნება იუსტიციის საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტის მიერ. მესამე არბიტრი ასრულებს ხელმძღვანელის ფუნქციას საარბიტრაჟო ტრიბუნალზე.

3. თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არაა შეთანხმებული, სამართალწარმოება ხორციელდება UNCITRAL-ის (გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია) წესების შესაბამისად. არბიტრები ხელმძღვანელობენ შესაბამისი სამართლებრივი და თანაბარი პრინციპებით.
4. თუ სხვა რამ არაა შეთანხმებული 1-ელ პუნქტში, აღნიშნული ტერიტორიის მართვა გრძელდება ისე, როგორც ამჟამად იმართება.
5. არბიტრები იღებენ გადაწყვეტილებებს მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. მათი გადაწყვეტილება არის საბოლოო და სავალდებულო ხასიათის, მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეასრულონ ის.

## მუხლი VI

### გადაცემა

ისეთი ტერიტორიებისათვის, რომლებიც გადაეცემა ერთი წარმონაქმნისაგან მეორეს, წინამდებარე დოკუმენტში აღწერილი დემარკაციის შესაბამისად, არსებობს გარდამავალი პერიოდი უფლებამოსილებების ორგანიზებული გადაცემის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული უფლებამოსილების გადაცემა დასრულდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავდაცვის ძალების მეთაურის უფლებამოსილებების მსძ-ის მეთაურისათვის გადაცემიდან ორმოცდახუთი (45) დღის შემდეგ, როგორც ეს განსაზღვრულია 1-ა დანართში.

## მუხლი VII

### დანართის სტატუსი

დანართი მოცემული შეთანხმების განუყოფელი ნაწილია.






## მუხლი VIII

### ძალაში შესვლა

მოცემული შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

**ხელს აწერენ:** ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რესპუბლიკა სრპსკა.

**ინონებენ:** ხორვატიის რესპუბლიკა, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა.

For the Republic of Bosnia and Herzegovina	
	
For the Federation of Bosnia and Herzegovina	For the Republika Srpska
	
Endorsed:	Endorsed:
For the Republic of Croatia	For the Federal Republic of Yugoslavia
	

## დანართი 2-ის დამატება

დანართი 2-ის დამატება შეიცავს ამ დოკუმენტთან ერთად:


- ა) UNCITRAL-ის (გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია) გზების რუკას მასშტაბით 1:600 000, რომელიც თანდართულია ერთ ფურცლად, და
- ბ) ტოპოგრაფიულ პლანიმეტრიულ რუკას მასშტაბით 1:50 000.

1:600 000 მასშტაბის თანდართული რუკის საფუძველზე მხარეები ითხოვენ, რომ შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტმა მოამზადოს 1:50 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული პლანიმეტრიული რუკა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წარმონაქმნებს შორის გამიჯვნის ხაზის უფრო ზუსტი დემარკაცია. აღნიშნული რუკა წარმოადგენს დანართის განუყოფელ ნაწილს და მხარეები თანხმდებიან, მიზნის მისაღწევად აღნიშნული რუკა სახელმძღვანელოდ გაიხადონ.

**ხელს აწერენ:** ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რესპუბლიკა სრპსკა.

**იწონებენ:** ხორვატიის რესპუბლიკა და იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა.

For the Republic of Bosnia and Herzegovina  _____ / /	
For the Federation of Bosnia and Herzegovina  _____ / /	For the Republika Srpska  _____ / /
Endorsed:  For the Republic of Croatia  _____ / /	Endorsed:  For the Federal Republic of Yugoslavia  _____ / /



### Proximity Peace Talks Representative Map

This map represents the demarcation of inter-ethnic boundaries agreed by the Parties at Wright-Patterson AFB, Ohio on Nov 21, 1995. The authoritative maps are reproduced at scale 1:50,000 and distributed separately.

## არაკირლავირი სამშვიდობო

### მოლაპარაკებები რეპრეზენტაციული რუკა

რუკა გვიჩვენებს წარმონაქმნებს შორის გამიჯვნის ხაზის დემარკაციას, რომელიც შეთანხმებულია მხარეების მიერ რაიტ-პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაზე, ოჰაიოში, 1995 წლის 21 ნოემბერს. ოფიციალური რუკები შედგენილია 1:50 000 მასშტაბით.

## შეთანხმება არჩევნების შესახებ

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნებისადმი ხელშეწყობის, წარმომადგენლობითი მთავრობის შექმნისა და დემოკრატიული მიზნების თანდათანობითი მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) შესაბამისი დოკუმენტების თანახმად, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკამ, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციამ და რესპუბლიკა სრპსკამ („მხარეებმა“) მოილაპარაკეს შემდეგზე:

### მუხლი I

#### დემოკრატიული არჩევნების პირობები

1. მხარეები უზრუნველყოფენ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ორგანიზებისათვის შესაბამისი პირობების ჩამოყალიბებას, კერძოდ კი, პოლიტიკურად ნეიტრალური გარემოს შექმნას, უზრუნველყოფენ უშიშრად და დაუშინებლად ფარული კენჭისყრის უფლების დაცვას, ხელს შეუწყობენ აზრის გამოხატვისა და პრესის თავისუფლებას, მხარს დაუჭერენ ასოციაციის (მათ შორის, პოლიტიკური პარტიების) თავისუფლებას და უზრუნველყოფენ გადაადგილების თავისუფლებას.
2. მხარეები სთხოვენ ეუთოს, დაადასტუროს, შესაძლებელია თუ არა ორივე წარმონაქმნში არსებული სოციალური გარემოს პირობებში არჩევნები ჩატარდეს ეფექტურად და ასეთის არ არსებობის შემთხვევაში დახმარება გაუწიოს მხარეებს შესაფერისი პირობების შექმნაში.

3. მხარეები სრულად ასრულებენ ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის მე-7 და მე-8 მუხლებს, რომლებიც თან ერთვის წინამდებარე შეთანხმებას.

## მუხლი II

### ეუთოს როლი

1. **ეუთო.** მხარეები სთხოვენ ეუთოს, პრაქტიკულად განახორციელოს არჩევნების პროგრამა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე შეთანხმებაში.
2. **არჩევნები.** მხარეები ითხოვენ, ეუთომ ზედამხედველობა გაუწიოს, თუ საჭიროდ მიიჩნევს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთადაც, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის წარმომადგენელთა პალატის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტის; ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის წარმომადგენელთა პალატის; რესპუბლიკა სრპსკის ეროვნული ასამბლეის; რესპუბლიკა სრპსკის პრეზიდენტის და, თუ შესაძლებელია, კანტონური საკანონმდებლო ორგანოებისა და მუნიციპალური მართვის ორგანოების არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას.
3. **კომისია.** ამ მიზნით მხარეები სთხოვენ ეუთოს, შექმნას დროებითი საარჩევნო კომისია („კომისია“).
4. **ვადები.** არჩევნები ჩატარდება შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან ექვს თვის ვადაში („არჩევნების დღეს“), ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ეუთო გადაწყვეტს არჩევნების თარიღის გადავადებას, არაუგვიანეს ცხრა თვეში შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ.

## მუხლი III

### დროებითი საარჩევნო კომისია

1. **წესები და დებულებები.** კომისია ღებულობს წესებსა და დებულებებს არჩევნების შესახებ, რომლებიც ეხება: პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების რეგისტრაციას, კანდიდატებისა და კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩევლების უფლებებს, არჩევნებზე ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების როლს, ღია და პატიოსანი წინასაარჩევნო კამპანიის უზრუნველყოფას და არჩევნების საბოლოო შედეგების დადგენას, გამოქვეყნებასა და დადასტურებას. მიუხედავად შიდა კანონებისა და რეგულაციებისა, მხარეები სრულად იცავენ წესებსა და დებულებებს არჩევნების შესახებ.
2. **კომისიის მანდატი.** კომისიის ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია წესებსა და დებულებებში არჩევნების შესახებ, მოიცავს:
  - (ა) დაკვირვებას არჩევნების პროცესის ყველა ასპექტზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტრუქტურები და ორგანიზაციული ჩარჩო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის;
  - (ბ) ამომრჩევლთა რეგისტრაციის დებულებების განსაზღვრას;
  - (გ) წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად დადგენილი არჩევნების შესახებ დებულებებისა და წესების დაცვის უზრუნველყოფას;
  - (დ) ამ შეთანხმების დებულებების ან მის შესაბამისად დადგენილი არჩევნების შესახებ წესებისა და დებულებების ნებისმიერი დარღვევის აღმოსაფხვრელად დამრღვევი ნებისმიერი პირის ან ორგანოს მიმართ ზომების მიღების უზრუნველყოფას, სანქციების დადების ჩათვლით;
  - (ე) დამკვირვებლების აკრედიტაციას, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოური და ადგილობრივი არასამთავ-

რობო ორგანიზაციების თანამშრომელთა ჩათვლით და იმის უზრუნველყოფას, რომ მხარეები აკრედიტებულ დამკვირვებლებს ანიჭებდნენ დაუბრკოლებრივი წვდომისა და გადაადგილების უფლებას.

3. **კომისიის შემადგენლობა და ფუნქციები.** კომისიის შემადგენლობაშია ეუთოს მისიის ხელმძღვანელი, უმაღლესი წარმომადგენელი ან მის მიერ დანიშნული პირი, მხარეების წარმომადგენლები და სხვა ისეთი პირები, რომელთა მხარეებთან კონსულტაციებში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს ეუთოს მისიის ხელმძღვანელმა. ეუთოს მისიის ხელმძღვანელი ასრულებს კომისიის თავმჯდომარის ფუნქციას. კომისიის შიდა დავების შემთხვევაში თავმჯდომარის გადაწყვეტილება საბოლოოა.
4. **პრივილეგიები და იმუნიტეტები.** თავმჯდომარე და კომისია სარგებლობს კომუნიკაციის საშუალებების დაარსებისა და ადგილობრივი და ადმინისტრაციული პერსონალის დაქირავების უფლებით, აგრეთვე სტატუსით, პრივილეგიებით და იმუნიტეტებით, რომლებიც ენიჭება დიპლომატიურ აგენტს და მისიას დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის თანახმად.

## მუხლი IV

### საარჩევნო უფლება

**ამომრჩევლები.** არჩევნების შესახებ წესებისა და დებულებების შესაბამისად ხმის უფლება აქვს 18 წლის ან უფროსი ასაკის ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ნებისმიერ მოქალაქეს, რომლის სახელი რეგისტრირებულია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოსახლეობის აღწერის 1991 წლის მასალებში. მოქალაქე, რომელიც



აღარ ცხოვრობს მუნიციპალიტეტში, რომელშიც ის ცხოვრობდა 1991 წელს, როგორც წესი, ხმას აძლევს პირადად ან ამ მუნიციპალიტეტში არმყოფებისათვის განკუთვნილი ბიულეტენის საშუალებით იმ პირობით, რომ ეს პიროვნება რეგისტრირებული იყო ამ მუნიციპალიტეტში, რასაც დაადასტურებს ადგილობრივი საარჩევნო კომისია და დროებითი საარჩევნო კომისია. ასევე, ამ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს კომისიას თხოვნით, რათა მისცეს მას უფლება არჩევანი გააკეთოს სხვა ადგილას. ლტოლვილების მიერ საარჩევნო უფლების განხორციელება განმარტებულია როგორც მათი განზრახვის დადასტურება, დაბრუნდნენ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. არჩევნების შესახებ წესებსა და დებულებებში კომისიამ შეიძლება გაითვალისწინოს ხმის მიცემის უფლება იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული მოსახლეობის აღწერის 1991 წლის მასალებში.

## მუხლი V

### მუდმივი საარჩევნო კომისია

მხარეები თანახმა არიან, შექმნან მუდმივი საარჩევნო კომისია, რომლის ვალდებულება იქნება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მომავალი არჩევნების ჩატარება.

## მუხლი VI

### ძალაში შესვლა

ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

ხელს აწერენ: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რესპუბლიკა სრპსკა.

For the Republic  
of Bosnia and Herzegovina

*A. J.*

For the Federation of  
Bosnia and Herzegovina

*JF*

For the Republika Srpska

*M. M.*

## არჩევნების შესახებ მე-3 დანართის დამატება

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ადამიანისეული საზომის შესახებ კონფერენციის მეორე შეხვედრის დოკუმენტი, კოპენჰაგენი, 1990 წელი.

### მუხლები 7 და 8:

7. იმისათვის, რათა ხალხის ნება წარმოადგენდეს მთავრობის ძალაუფლების საფუძველს, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ:
  - 7.1. თავისუფალი არჩევნების ჩატარებას გონივრული პერიოდულობით, როგორც ეს დადგენილია კანონით;
  - 7.2. ყველა მანდატი, მინიმუმ ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს ერთ პალატაში მაინც უნდა იყოს საყოველთაო არჩევნების დროს კანდიდატების თავისუფალი შეჯიბრებითობის ობიექტი;
  - 7.3. ზრდასრული მოქალაქეებისათვის საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების მინიჭებას;
  - 7.4. ფარულად ხმის მიცემას ან თავისუფალი კენჭისყრის ტოლფას პროცედურას, სინდისიერი ხმების დათვლის პროცესს და ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებას;
  - 7.5. მოქალაქეების უფლების პატივისცემას, რათა აღწევდნენ ისინი პოლიტიკურ ან სახელმწიფო თანამდებობებს პირადად ან პოლიტიკური პარტიების ან ორგანიზაციების წარმომადგენელთა სახით, დისკრიმინაციის გარეშე;
  - 7.6. ცალკეული პირების და პირთა ჯგუფების უფლების პატივისცემას სრული თავისუფლების პირობებში შექმნან თავიანთი პოლიტიკური პარტიები ან სხვა პოლიტიკური

ორგანიზაციები და მიენიჭოს მათ საჭირო იურიდიული გარანტიები, რომლებიც საშუალებას აძლევენ, კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს კანონისა და ხელისუფლების ორგანოების წინაშე, თანასწორობის საფუძველზე;

- 7.7. კანონისა და საჯარო პოლიტიკის შესაბამისად პოლიტიკური კამპანიების ჩატარებას თავისუფლებისა და სამართლიანობის ატმოსფეროში, სადაც არანაირი ადმინისტრაციული მოქმედებები, ძალადობა ან დაშინება არ შეაჩერებდნენ პარტიებს და კანდიდატებს თავიანთი შეხედულებებისა და შეფასებების თავისუფალი ჩამოყალიბებისაგან, აგრეთვე, ხელს არ შეუშლიან ამომრჩევლებს გაეცნონ მათ და ხმა მისცენ თავისუფლად, ისე, რომ არ შეეშინდეთ დასჯისა;
- 7.8. არ წარმოიქმნეს სამართლებრივი ან ადმინისტრაციული შეფერხებები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაუბრკოლებელი წვდომისთვის ყველა პოლიტიკური დაჯგუფებისა და ცალკეული ადამიანისთვის, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო პროცესში;
- 7.9. კანდიდატებმა, რომლებმაც მიიღეს კანონით განსაზღვრული ხმათა საჭირო რაოდენობა, სათანადოდ დაიკავონ თანამდებობა და შეძლონ თანამდებობაზე დარჩენა თავიანთი უფლებამოსილებების ვადის ამონურვამდე ან სხვაგვარად მათ შეწყვეტამდე, რაც რეგულირდება კანონით დემოკრატიული და საკონსტიტუციო პროცედურების შესახებ.
8. მონაწილე სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ როგორც უცხოელი, ისე ეროვნული დამკვირვებლების ყოფნამ შეიძლება გაზარდოს საარჩევნო პროცესის ავტორიტეტულობა იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებშიც ტარდება არჩევნები. ამიტომ ისინი მოიწვევენ დამკვირვებლებს ეუთოს მონაწილე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოდან და ნებისმიერი შესაბამისი კერძო დაწესებულებიდან და ორგანიზაციიდან სურვილისამებრ, რათა დააკვირდნენ

ეროვნული არჩევნების მსვლელობას იმ მოცულობით, რომელიც დაშვებულია კანონით. ისინი, ასევე, შეეცდებიან, ხელი შეუწყონ ეროვნულ დონეზე ჩატარებული საარჩევნო პროცესის მსგავს ხელმისაწვდომობას. ეს დამკვირვებლები აიღებენ ვალდებულებას, არ ჩაერიონ საარჩევნო პროცესში.

## შეთანხმება არბიტრაჟის შესახებ

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და სრპსკის რესპუბლიკა თანხმდებიან შეასრულონ შეთანხმებულ ძირითად პრინციპებში გადმოცემული შემდეგი ვალდებულებები, რომლებიც მიღებულია ჟენევაში 1995 წლის 8 სექტემბერს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის, ხორვატიის რესპუბლიკის და იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, რომელიც, ასევე, წარმოადგენს სრპსკის რესპუბლიკას.

**პუნქტი 2.4.** „ორივე წარმონაქმნი საკუთარ თავზე აიღებს ორმხრივ ვალდებულებას, გამოიყენოს სავალდებულო არბიტრაჟის პროცედურა ერთმანეთში დავების გადასაწყვეტად“.

**პუნქტი 3.** „წარმონაქმნები პრინციპში შეთანხმდნენ ქვემოთ მოყვანილზე... 3.5. არბიტრაჟის სისტემის შემუშავება და დანერგვა ორ წარმონაქმნს შორის დავების გადასაწყვეტად“.

### ხელს აწერენ:

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის სახელით

სრპსკის რესპუბლიკის სახელით

For the Federation of  
Bosnia and Herzegovina



For the Republika Srpska



## **შეთანხმება ადამიანის უფლებების შესახებ**

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და რესპუბლიკა სრპსკა („მხარეები“) შეთანხმდნენ შემდეგზე:

### **თავი პირველი**

#### **ადამიანის უფლებების პატივისცემა**

#### **მუხლი I**

#### **ძირითადი უფლებები და თავისუფლებები**

მხარეები საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ყველა პირის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მაღალ დონზე, მათ შორის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი უფლებების დაცვის შესახებ ევროპულ კონვენციასა და მის პროტოკოლებში და, ასევე, სხვა საერთაშორისო შეთანხმებებში გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც ჩამოთვლილია შეთანხმების დანართის დამატებაში. მათ განეკუთვნება:

- 1) სიცოცხლის უფლება.
- 2) უფლება, არ განიცადოს წამება, არაადამიანური მოპყრობა, ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა.
- 3) უფლება, არ იყოს მონობაში ან არ განიოს იძულებითი შრომა.
- 4) თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.
- 5) სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების სამარ-

- თლიანი განხილვის უფლება და სისხლის სამართლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები.
- 6) პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და კორესპონდენციის ხელშეუხებლობის უფლება.
  - 7) აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.
  - 8) გამოხატვის თავისუფლება.
  - 9) მშვიდობიანი შეკრების უფლება.
  - 10) ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება.
  - 11) ქონების უფლება.
  - 12) განათლების უფლება.
  - 13) თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევანის უფლება.
  - 14) ამ მუხლსა და საერთაშორისო შეთანხმებებში გათვალისწინებული, კონსტიტუციის დანართში ჩამოთვლილი ყველა უფლებითა და თავისუფლებით სარგებლობა, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა მრწამსი, ნაციონალური ან სოციალური წარმომავლობა, ეროვნული უმცირესობების კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება ან სხვა გარემოება. აღნიშნული უფლებებით სარგებლობა თავისუფალია ყოველგვარი დისკრიმინაციისგან.



# თავი მეორე

## ადამიანის უფლებათა კომისია

### ნაწილი ა: ზოგადი დებულებანი

#### მუხლი II

#### კომისიის დაფუძნება

1. წინამდებარე შეთანხმების ყველა ვალდებულების შესრულების მიზნით მხარეები აფუძნებენ ადამიანის უფლებათა კომისიას („კომისია“). იგი შედგება ორი ნაწილისგან: ომბუდსმენის ოფისისა და ადამიანის უფლებების პალატისაგან.
2. ომბუდსმენის ოფისი და ადამიანის უფლებების პალატა განიხილავენ შემდეგ საკითხებს:
  - (ა) ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპულ კონვენციასა და მის პროტოკოლებში გათვალისწინებული ადამიანის უფლებების სავარაუდო ან აშკარა დარღვევები;
  - (ბ) დისკრიმინაციის სავარაუდო ან აშკარა შემთხვევები რაიმე ნიშნით, იქნება ეს სქესი, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა მრწამსი, ნაციონალური ან სოციალური წარმოშობა, ნაციონალური უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება ან სხვა გარემოება უფლებების ან თავისუფლებების განხორციელების დროს. ასევე, როცა ასეთი დარღვევები, ცალსახად ან სავარაუდოდ, ხორციელდება მხარეების მიერ, მათ შორის, ნებისმიერი თანამდებობის პირის ან მხარეთა ორგანოების, კანტონების,

მუნიციპალიტეტების ან ნებისმიერი კერძო პირის მიერ.

3. მხარეები აღიარებენ ადამიანის უფლებას, მიანოდოს კომისიას ან ადამიანის უფლებების სხვა ორგანოებს განცხადებები ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით მოცემული დანართის და ასეთი ორგანოების მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად. მხარეები არ იღებენ სასჯელის არანაირ ზომას ისეთი პირების მიმართ, რომელთაც განზრახული აქვთ მიმართონ ან უკვე აქვთ მიმართული ასეთი განცხადებით.

## **მუხლი III**

### **უძრავი ქონება, პერსონალი და ხარჯები**

1. კომისიას აქვს უძრავი ქონება და პროფესიულად დაკომპლექტებული პერსონალი. იქმნება აღმასრულებელი ოფიცრის თანამდებობა, რომელიც ერთობლივად ინიშნება ომბუდსმენისა და პალატის პრეზიდენტის მიერ იგი პასუხისმგებელია ყველა ადმინისტრაციული ზომის მიღებაზე უძრავ ქონებასა და პერსონალთან მიმართებით. აღმასრულებელი ოფიცერი ექვემდებარება ომბუდსმენსა და პალატის პრეზიდენტს იმდენად, რამდენადაც საკითხი ეხება მათ შესაბამის ადმინისტრაციულ პერსონალსა და სპეციალისტების შტატს.
2. კომისიის, მისი პერსონალის სარგო და ხარჯები განისაზღვრება ერთობლივად მხარეების მიერ და დაიფარება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მიერ. სარგო და ხარჯები იქნება კომისიის მანდატის შესრულების ადეკვატური.
3. კომისიის შტაბბინა მდებარეობს სარაევოში, მათ შორის, ომბუდსმენის ოფისი და პალატის შენობები. ომბუდსმენს უფლება

აქვს ჰქონდეს დამატებით სულ ცოტა ერთი ოფისი ფედერაცია-სა და რესპუბლიკა სრპსკის ტერიტორიაზე და სხვა ადგილებში, სადაც ის ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს. პალატას შეკრება შეუძლია სხვა ადგილზეც, თუ, მისი აზრით, ამას მოითხოვს საქმის რაიმე კონკრეტული გარემოება და, ასევე, შეუძლია იმუშაოს ნებისმიერ ადგილას, რომელსაც ის მიზანშეწონილად მიიჩნევს, საკუთრების, დოკუმენტების ან სხვა საგნების შემონ-მების მიზნით.

4. ომბუდსმენი და პალატის ყველა წევრი არ იღებენ არც სისხლის სამართლის, არც სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ქმედებაზე, რომელსაც ჩაიდენენ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. თუ ომბუდსმენი ან პალატის წევრი არ არის ბონსიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქე, ის და მისი ოჯახი სარგებლობენ იმავე პრივილეგიითა და იმუნიტეტით, როგორც დიპლომატიური აგენტები და მათი ოჯახები, დიპლომატიური კავშირების შესახებ ვენის კონვენციის შესაბამისად.
5. მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის აუცილებლობის სრული გათვალისწინებით, კომისიას შეუძლია ნებისმიერი სამთავრობო, საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციისგან მიიღოს ნებისმიერი დახმარება, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევს.

## **ნაწილი ბ: ომბუდსმენი**

### **მუხლი IV**

#### **ომბუდსმენი**

1. მხარეები აფუძნებენ ომბუდსმენის კანცელარიას.
2. ომბუდსმენი ინიშნება მხოლოდ ერთი ხუთწლიანი ვადით ევრო-პაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო)

მოქმედი თავმჯდომარის მიერ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად. ის დამოუკიდებლად აგებს პასუხს საკუთარი პერსონალის შერჩევაზე. უფლებამოსილების გადაცემამდე, რომელზეც საუბარია XIV მუხლში, ომბუდსმენი არ შეიძლება იყოს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ან სხვა მეზობელი სახელმწიფოს მოქალაქე. ომბუდსმენი, რომელიც განმნესდება უფლებამოსილების გადაცემის შემდეგ, ინიშნება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტის მიერ.

3. ომბუდსმენის ოფისის თანამშრომლები უნდა ფლობდნენ მაღალ მორალურ თვისებებს და იყვნენ კომპეტენტურები ადამიანის საერთაშორისო უფლებათა დარგში.
4. ომბუდსმენის ოფისი დამოუკიდებელი დანესებულებაა. არც ერთი პირი და მხარეთა არც ერთი ორგანო არ შეიძლება ჩაერიოს მის საქმიანობაში მისი მანდატის შესრულებისას.

## **მუხლი V**

### **ომბუდსმენის იურისდიქცია**

1. კომისიის მიერ მიღებული განცხადებები ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ, როგორც წესი, იგზავნება ომბუდსმენის ოფისში, თუკი განმცხადებელი არ მიუთითებს კონკრეტულ პალატას.
2. ომბუდსმენს საკუთარი ინიციატივით ან ერთ-ერთი მხარის, ან ნებისმიერი პირის, არასამთავროო ორგანიზაციის, ან პირთა ჯგუფის განცხადებაზე პასუხად, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი წარმოადგენენ ნებისმიერი მხარის მიერ ჩადენილი დარღვევის მსხვერპლს ან რომლებიც მოქმედებენ დარ-

ღვევის სავარაუდო მსხვერპლის სახელით, ან დაილუპნენ, ან უგზოუკვლოდ დაიკარგნენ, ანარმოებს გამოძიებას ადამიანის უფლებების სავარაუდო ან აშკარა დარღვევებზე II მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების მიხედვით. მხარეები ვალდებული არიან, არ შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტურად განხორციელებას.

3. ომბუდსმენი განსაზღვრავს, რომელი განცხადება ექვემდებარება გამოძიებას და რა თანამიმდევრობით. განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება განსაკუთრებით სერიოზული და სისტემატური დარღვევების შესახებ განცხადებებს, რომელთაც საფუძვლად უფევს დაუშვებელი დისკრიმინაცია.
4. ომბუდსმენი გამოძიების დასრულებისთანავე აქვეყნებს თავის დასკვნებს. მხარე, რომლის დანაშაულიც დადგინდება ადამიანის უფლებათა დარღვევაში, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში წერილობითი ფორმით წარმოადგენს განმარტებებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეასრულებს აღნიშნულ დასკვნებს.
5. განცხადების მიღების შემთხვევაში, რომელიც ადამიანის უფლებების პალატის კომპეტენციაში შედის, ომბუდსმენს ნებისმიერ სტადიაზე შეუძლია მისი პალატისთვის გადაცემა.
6. ომბუდსმენს შეუძლია ნებისმიერ დროს წარუდგინოს სპეციალური მოხსენება ნებისმიერ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირს. ისინი, ვინც ასეთ მოხსენებას იღებს, ომბუდსმენის მიერ განსაზღვრული დროის განმავლობაში წარმოადგენენ თავიანთ პასუხს, მათ შორის, კონკრეტულ პასუხს ომბუდსმენის მიერ გაკეთებულ დასკვნებზე.
7. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი პირი ან წარმონაქმნი არ ასრულებს ომბუდსმენის მითითებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, ომბუდსმენი აქვეყნებს მოხსენებას, რომელიც გადაეცემა უმაღლეს წარმომადგენელს, როგორც ეს ზოგადი ჩარჩო-მე-

თანხმების მე-10 დანართშია გათვალისწინებული და, ასევე, წარედგინება შესაბამის მხარეს შემდგომი ზომების მისაღებად. ომბუდსმენს შეუძლია ასეთი სახის მოხსენების საფუძველზე დაიწყოს განხილვა ადამიანის უფლებათა პალატაში. მას, ასევე, შეუძლია ჩაერთოს პალატაში მიმდინარე ნებისმიერ პროცესში.

## **მუხლი VI**

### **უფლებამოსილებაები**

1. ომბუდსმენს აქვს წვდომა ყველა ოფიციალურ დოკუმენტზე, მათ შორის, საიდუმლო დოკუმენტებსა და, ასევე, სასამართლო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მათი შესწავლის მიზნით. მას შეუძლია ნებისმიერ პირს, მათ შორის, სახელმწიფო თანამდებობის პირს, სთხოვოს დახმარება შესაბამისი ინფორმაციის, დოკუმენტებისა და დოსიეს მოპოვების მიზნით. ომბუდსმენს შეუძლია დაესწროს მოსმენებსა და თათბირებს ადმინისტრაციულ საკითხებზე, რომლებიც ტარდება სხვა ორგანოების მიერ და შეუძლია მოინახულოს და ინსპექტირება გაუწიოს თავისუფლებააღკვეთილ პირებს დაკავებისა და სამუშაო ადგილებში.
2. ომბუდსმენმა და მისმა პერსონალმა უნდა დაიცვან მათ მიერ მიღებული ნებისმიერი საიდუმლო ინფორმაციის კონფიდენციალური ხასიათი, თუ პალატის ბრძანებით არაა მიღებული სხვა გადანყვებილება და ყველა დოკუმენტსა და დოსიესზე მუშაობის დროს დაიცვან შესაბამისი წესები.

## ნაწილი B: ადამიანის უფლებათა პალატა

### მუხლი VII

#### ადამიანის უფლებათა პალატა

1. ადამიანის უფლებათა პალატა შედგება თოთხმეტი წევრისგან.
2. მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლიდან 90 დღის განმავლობაში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია ნიშნავს პალატის ოთხ წევრს, ხოლო რესპუბლიკა სრპსკა – ორ წევრს. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი, თავისი 6(93) რეზოლუციის შესაბამისად, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ ნიშნავს პალატის დანარჩენ წევრებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ან რომელიმე მეზობელი სახელმწიფოს მოქალაქეებს. მათგან ერთ-ერთი ინიშნება პალატის თავმჯდომარედ.
3. პალატის ყველა წევრი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს, რომლებიც წაეყენება სასამართლოში მაღალ თანამდებობებზე დასანიშნავად ან უნდა წარმოადგენდეს მაღალი ავტორიტეტის მქონე იურისტს. პალატის წევრები ინიშნებიან ხუთწლიანი ვადით, შესაძლებელია განმეორებითი ვადით დანიშვნა.
4. უფლებამოსილების გადაცემის შემდეგ პალატის წევრები, რომელზეც საუბარია ქვემოთ, XIV მუხლში, ინიშნებიან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტის მიერ.

## მუხლი VIII

### პალატის იურისდიქცია

1. პალატა იღებს ომბუდსმენის მიერ განმცხადებლის სახელით ან უშუალოდ ერთ-ერთი მხარის ან ნებისმიერი პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან პირთა ჯგუფის სახელით გაგზავნილ განცხადებებს, სადაც მითითებულია, რომ ისინი წარმოადგენენ რომელიმე მხარის მიერ ჩადენილი დარღვევის მსხვერპლს ან მოქმედებენ დარღვევის სავარაუდო მსხვერპლის სახელით, რომლებიც გარდაიცვალნენ ან უგზოუკვლოდ დაიკარგნენ, II მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების მიხედვით მათზე რეზოლუციის ან გადანყვეტილების მისაღებად.
2. პალატა წყვეტს, რა სახის განცხადება მიიღოს და რა რიგითობით განიხილოს. ამასთანავე, ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:
  - ა) არსებობს თუ არა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები და დაადასტურა თუ არა განმცხადებელმა, რომ ყველა მათგანი ამონურულია, რომ განცხადება კომისიას საბოლოო გადანყვეტილების მიღების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში გადაეცა;
  - ბ) პალატა არ განიხილავს განცხადებებს, რომლებიც არსებითად იგივეა, რაც უკვე განიხილა ან უკვე იყო წარმოდგენილი, სხვა პროცედურების შესაბამისად;
  - გ) პალატა უარს ამბობს ნებისმიერ განცხადებაზე, რომელსაც ის წინამდებარე შეთანხმების დებულებებთან შეუთავსებლად და ამკარად დაუსაბუთებულად მიიჩნევს.
  - დ) პალატას შეუძლია უარყოს განცხადება ან გადადოს მისი განხილვა, თუ ის უკვე იმყოფება ადამიანის უფლებათა ნებისმიერ სხვა საერთაშორისო ორგანოში ან სხვა კომისიაში განხილვაზე, რომელიც პასუხისმგებელია განცხადებების



განხილვასა და გადაწყვეტილებების გამოტანაზე ზოგადი ჩარჩო-შეთანხმების დანართების შესაბამისად.

- ე) პალატა ისწრაფის, რომ მიიღოს და განსაკუთრებული პრიორიტეტი მიანიჭოს სერიოზული ან სისტემატური დარღვევების შესახებ განცხადებებს და მათ, რომლებიც ეხება დაუშვებელ საფუძველზე დისკრიმინაციას;
  - ვ) განცხადებები, რომლებიც შეიცავს თხოვნებს დროებითი ზომების მიღების თაობაზე, ექვემდებარება პირველი რიგის განხილვას, რათა განისაზღვროს:
    - 1). საჭიროა თუ არა მათი მხედველობაში მიღება და, თუ კი,
    - 2) დასაბუთებულია თუ არა დროებითი ზომების მიღების შესახებ თხოვნის უწინარესად განხილვა.
3. პალატას შეუძლია განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიიღოს გადაწყვეტილება, რომ შეაჩეროს ამა თუ იმ განცხადების განხილვა, უარყოს ან ამოიღოს ის წარმოებიდან იმ საფუძველზე, რომ ა) განმცხადებელი არ აპირებს შემდგომი მსვლელობა მისცეს თავის განცხადებას; ბ) საკითხი უკვე გადაწყვეტილია; გ) ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო, რომელიც დადგენილია პალატის მიერ და არ მიიჩნევა დასაბუთებულად განცხადების შემდგომი განხილვა.

## **მუხლი IX**

### **მეგობრული მორიგება**

- 1. ამა თუ იმ საქმის განხილვის დასაწყისში ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე პალატას შეუძლია ხელი შეუწყოს საკითხის მშვიდობიანად დასრულებას წინამდებარე შეთანხმებაში მითითებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემის საფუძველზე.
- 2. თუ პალატა ვერ ახერხებს საკითხის მშვიდობიანად გადაწყვე-

ტას, ის ამზადებს მოხსენებას და უგზავნის მას უმაღლეს წარმომადგენელს (აღნიშნული თანამდებობის არსებობის ვადა განსაზღვრულია ზოგადი ჩარჩო შეთანხმების მე-10 დანართში) და, ასევე, ეუთოსა და ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს. ასეთი მოხსენება უნდა მოიცავდეს ფაქტების მოკლე აღწერას და მიღებულ გადაწყვეტილებას. თუმცა მოხსენება ამა თუ იმ საქმის შესახებ შეიძლება ატარებდეს სრულად ან ნაწილობრივ კონფიდენციალურ ხასიათს, თუ ეს აუცილებელია ადამიანის უფლებათა დასაცავად ან თუ ამაზე არსებობს პალატისა და შესაბამისი მხარეების შეთანხმება.

## **მუხლი X**

### **საქმის წარმოება პალატაში**

1. პალატა ახორციელებს განცხადებების განხილვის სამართლიან და ეფექტურ პროცედურებს. ასეთი პროცედურები ითვალისწინებს შესაბამის წერილობით განცხადებებს და პალატის გადამწყვეტილებით ზეპირი გამოსვლების მოსმენასა და მტკიცებულებების წარმოდგენას. პალატა უფლებამოსილია, გასცეს განკარგულებები დროებითი ღონისძიებების შესახებ, დანიშნოს ექსპერტები და მოითხოვოს მონმეებისა და მტკიცებულებების წარმოდგენა.
2. პალატა, როგორც წესი, ატარებს სხდომებს შვიდი წევრის შემადგენლობით, მათ შორის, ორი წევრია ფედერაციიდან, ერთი - სრპსკის რესპუბლიკიდან და ოთხი წევრი, რომელიც არ არის არც ბოსნიისა და ჰერცეგოვინის და არც სხვა რომელიმე მეზობელი სახელმწიფოს მოქალაქე. თუ სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღეს ამა თუ იმ განცხადების თაობაზე, ის შეიძლება გადაიხედოს პალატის სრული შემადგენლობით საქმის

ერთ-ერთი მხარის ან ომბუდსმენის შუამდგომლობით; პალატის მიერ გადაწყვეტილების მიიღების შემთხვევაში განმეორებითი მსჯელობა შეიძლება მოითხოვდეს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენასაც.

3. გამონაკლისი შემთხვევების გარდა, პალატა ატარებს ღია მოსმენებს.
4. განხილვის დროს განმცხადებლების წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ ადვოკატები ან სხვა პირები, მათი სურვილის შესაბამისად. თუმცა, განმცხადებლები ვალდებული არიან, დაესწრონ სხდომას პირადად, თუ პალატა არ ათავისუფლებს მათ დასაბუთებული მიზეზის გამო.
5. მხარეები ვალდებული არიან პალატას წარმუდგინონ სრულყოფილი ინფორმაცია და ითანამშრომლონ მასთან.

## **მუხლი XI**

### **გადანყვეტილებები**

1. განხილვის დასრულების შემდეგ პალატას გამოაქვს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ, სადაც მითითებულია:
  - ა) დასტურდება თუ არა ფაქტები მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შესახებ წინამდებარე შეთანხმების მიხედვით; და, თუ ასეა,
  - ბ) რა ზომები უნდა მიიღოს აღნიშნულმა მხარემ დაშვებული დარღვევის გამოსასწორებლად, მათ შორის ბრძანება უსამართლო მოქმედების გაგრძელების აკრძალვაზე, ფულადი კომპენსაცია (მატერიალური და არამატერიალური ზიანის გამო) და დროებითი ზომები.

2. პალატა გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, პალატის სრული შემადგენლობის პირობებში, გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის პალატის თავმჯდომარეს.
3. X მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გადახედვის საკითხზე პალატის გადაწყვეტილებები საბოლოო და სავალდებულოა.
4. პალატის ყველა წევრს უფლება აქვს განხილვისას წარმოადგინოს საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხზე.
5. პალატა აქვეყნებს მიზეზებს, რომლებიც საფუძლად უდევს მიღებულ გადაწყვეტილებებს. მისი გადაწყვეტილებები ქვეყნდება და ეგზავნება შესაბამის მხარეებს, უმაღლეს წარმომადგენელს (აღნიშნული თანამდებობის არსებობის ვადა განსაზღვრულია ზოგადი ჩარჩო შეთანხმების მე-10 დანართში), ევროსაბჭოს გენერალურ მდივანსა და ეუთოს.
6. მხარეები სრულყოფილად ასრულებენ პალატის გადაწყვეტილებებს.

## მუხლი XII

### წესები და დებულებები

პალატა იღებს ისეთ წესებსა და დებულებებს წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, რომლებიც შეიძლება აუცილებელი იყოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად, მათ შორისაა დებულებები, რომლებიც ეხება წინასწარ მოსმენებს, დროებითი ზომების შესახებ გადაწყვეტილებების დაჩქარებულად მიღებას, პალატის სხდომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ნებისმიერი ასეთი სხდომის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადახედვას.

# თავი მესამე

## ზოგადი დებულებები

### მუხლი XIII

## ადამიანის უფლებათა დამცველი

### ორგანიზაციები

1. მხარეები ხელს უწყობენ და მხარდაჭერას უცხადებენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვითა და ნახალისებით არიან დაკავებული.
2. მხარეები ერთობლივად მოუწოდებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიას, ეუთოს, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს, სხვა სამთავრობოთაშორისო ან რეგიონულ მისიებსა და ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს, მონიტორინგი გაუწიონ ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ მდგომარეობას ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, რაც გულისხმობს იქ ადგილობრივი ოფისებისა და დამკვირვებლების, მომხსენებლების ან სხვა შესაბამისი პირების არსებობას მუდმივად ან მისიების მეშვეობით და მათ უზრუნველყოფას ყოველმხრივი და ეფექტური დახმარებითა და ხელშეწყობით.
3. მხარეები არასამთავრობო ორგანიზაციებს სთავაზობენ სრულ და ეფექტურ წვდომას გამოძიების ჩატარებისას და მონიტორინგისას ადამიანის უფლებათა შესახებ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ასევე, თავს იკავებენ შეუქმნან მათ დაბრკოლებები ამ ფუნქციების შესრულებაში.
4. ყველა კომპეტენტური ორგანო ბოსნიასა და ჰერცეგოვინა-

ში ხელს უწყობს და შეუზღუდრდავ წვდომას სთავაზობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ორგანიზაციებს, ასევე, ნებისმიერ საერთაშორისო მექანიზმს ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, რომლებიც შექმნილია ბოსნიისა და ჰერცეგოვინისათვის; ზედამხედველობის ორგანოებს, რომლებიც დაფუძნებულია საერთაშორისო შეთანხმებით და შეტანილია დანართში; ყოფილი იუგოსლავიის შესახებ საერთაშორისო ტრიბუნალს; სხვა ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ უფლებამოსილია და აღჭურვილია მანდატით ადამიანის უფლებათა ან ჰუმანიტარული სამართლის სფეროში.

## **მუხლი XIV**

### **უფლებამოსილების გადაცემა**

წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ პასუხისმგებლობა კომისიის შემდგომ ფუნქციონირებაზე მხარეების მიერ გადაეცემა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაწესებულებებს, თუ მხარეების მიერ არ მოხდება სხვაგვარი შეთანხმება. გამონაკლის შემთხვევაში კომისია გააგრძელებს ფუნქციონირებას, როგორც ზემოთ არის აღნიშნული.

## **მუხლი XIV**

### **შეტყობინება**




მხარეები უზრუნველყოფენ, რომ მოცემული შეთანხმების პირობები დაუყოვნებლივ იქნეს ცნობილი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთელ ტერიტორიაზე.

# მუხლი XVI

## ძალაში შესვლა

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

**ხელს აწერენ:** ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რესპუბლიკა სრპსკა.

<b>For the Republic of Bosnia and Herzegovina</b>		
		
<b>For the Federation of Bosnia and Herzegovina</b>	<b>For the Republika Srpska</b>	
		

# შეთანხმებული ადამიანის უფლებათა

## შესახებ

## დანართი

1. 1948 წლის კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ.
2. 1949 წლის ჟენევის კონვენცია I-IV ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ და 1977 წლის ჟენევის ოქმები I- II.
3. 1950 წლის ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა დაცვის შესახებ და თანდართული ოქმები.
4. 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და 1966 წლის თანდართული ოქმი.
5. 1957 წლის კონვენცია დაქორწინებული ქალის ეროვნების შესახებ.
6. 1961 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონეთა შემცირების შესახებ.
7. 1965 წლის საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ.
8. 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ და მათ მიმართ 1966 და 1989 წლების ფაკულტატიური ოქმები.
9. 1966 წლის პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ.
10. 1979 წლის კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის შემცირების შესახებ.
11. 1984 წლის კონვენცია ნამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის შესახებ.
12. 1987 წლის ევროპული კონვენცია ნამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის თავიდან აცილების შესახებ.
13. 1989 წლის კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ.



14. 1990 წლის კონვენცია ყველა მშრომელი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების დაცვის შესახებ.
15. 1992 წლის ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობების ენების შესახებ.
16. 1994 წლის ჩარჩო-კონვენცია ნაციონალურ უმცირესობათა დაცვის შესახებ.

## შეთანხმება ლტოლვილებისა და

### იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ

რესპუბლიკა ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და რესპუბლიკა სრპსკა („მხარეები“) შეთანხმდნენ შემდეგზე:

### თავი პირველი: დაცვა

#### გუხლი 1

### ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა უფლებები

1. ყველა ლტოლვილსა და გადაადგილებულ პირს აქვს უფლება თავისუფლად დაბრუნდეს თავისი პირველსაწყისი ბინადრობის ადგილებში. მათ აქვთ უფლება, დაიბრუნონ ის ქონება, რომელიც დაკარგეს საომარ მოქმედებათა მსვლელობისას, დანყებული 1991 წლიდან და კომპენსაციის მიღების უფლება ნებისმიერ იმ ქონებაზე, რომელიც მათ ვერ უბრუნდებათ. ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა უსწრაფესი დაბრუნება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში კონფლიქტის დარეგულირების მთავარი მიზანია. მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი თანახმა არიან იმ პირთა დაბრუნებაზე, რომლებმაც დატოვეს თავიანთი ტერიტორია, იმ ადამიანთა ჩათვლით, ვისაც მესამე ქვეყნების მიერ დროებითი დაცვის უფლება მიეცათ.
2. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ლტოლვილებსა და გადაადგ-

იღებულ პირებს მიეცეთ დაბრუნების ნება უსაფრთხოების პირობებში, შემანუხებელი ქმედებების, დაშინების, დევნისა ან დისკრიმინაციის რისკის განუცდელად, განსაკუთრებით მათი ეთნიკური წარმომავლობის, სარწმუნოებისა ან პოლიტიკური მრწამსის მიზეზით.

3. მხარეები ყველა აუცილებელ ნაბიჯს გადადგამენ საკუთარ ტერიტორიაზე ისეთი საქმიანობის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც დაბრკოლებებს ან სხვა ხელისშემშლელ პრობლემას შეუქმნიდა ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ნებაყოფლობით დაბრუნებას, რათა აჩვენონ თავიანთი ერთგულება ყველა იმ პირთა სრული პატივისცემისა და ძირითად თავისუფლებათა უზრუნველყოფისადმი, რომლებიც მათი იურისდიქციის საზღვრებში იმყოფებიან, და ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დასაბრუნებლად შესაბამისი პირობების გადაუდებლად შექმნისადმი. მხარეები დაუყოვნებლივ მიმართავენ ნდობის განმტკიცების შემდეგ ზომებს:

- ა) შიდა კანონმდებლობისა და ისეთი ადმინისტრაციული პრაქტიკის გაუქმება, რომელსაც დისკრიმინაციული მიზნები ან შედეგები აქვს;
- ბ) ზეპირი თუ წერილობითი ფორმით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით ან სხვა გზით ეთნიკური და რელიგიური შუღლისა თუ სიძულვილის ნებისმიერი ნაქეზების თავიდან აცილება და დაუყოვნებლივ აღმოფხვრა;
- გ) სამხედრო, გასამხედროებული და საპოლიციო სამსახურების, ასევე, სხვა სახელმწიფო მოსამსახურეთა თუ კერძო პირთა მხრიდან შურისძიების აქტების წინააღმდეგ გაფრთხილებების გავრცელება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით და ასეთი აქტების დაუყოვნებლივ აღკვეთა.
- დ) ეთნიკური ჯგუფების და/ან უმცირესობების დაცვა, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებისა და დამკვირვებლებისათვის

მოცემულ ჯგუფებსა და უმცირესობებთან დაუყოვნებელი მისანვდომობის უზრუნველყოფა.

- ე) სამხედრო, გასამხედროებული ან საპოლიციო ორგანიზაციების სამსახურში მყოფ პირთა და, ასევე, იმ სხვა სახელმწიფო მოსამსახურეთა დევნა, დათხოვნა ან სხვა სამსახურში გადაყვანა, რომლებიც პასუხს აგებენ ეთნიკურ ჯგუფებსა და უმცირესობებს განკუთვნილ პირთა ძირითადი უფლებების სერიოზული დარღვევებისთვის.
4. დანიშნულების ადგილის შერჩევა კონკრეტული პირის ან ოჯახის ნება-სურვილით ხორციელდება ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების პრინციპის დაცვით. მხარეები არ ერევიან დაბრუნებულთა მიერ დანიშნულების ადგილის შერჩევაში და არ აიძულებენ მათ დარჩნენ ან გაემართონ იმ ადგილებში, სადაც სერიოზული საშიშროება არსებობს ან არ არის დაცული უსაფრთხოება, და, ასევე, იმ რაიონებში, სადაც არ არსებობს ელემენტარული ინფრასტრუქტურა, რაც აუცილებელია ნორმალური ცხოვრების დასაბრუნებლად. მხარეები ხელს უწყობენ ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას, რათა სრული წარმოდგენა შეიქმნას იმ რაიონებში არსებულ ადგილობრივ პირობებზე, სადაც მათ დაბრუნება სურთ.
5. მხარეები მოუწოდებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლეს კომისარს (UNHCR) თავშესაფრის შემომთავაზებელ ქვეყნებსა და, ასევე, მხარეებთან მჭიდრო კონსულტაციების შედეგად შეიმუშავოს რეპატრიაციის გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა უსწრაფესი, მშვიდობიანი, მონესრიგებული და ეტაპობრივი დაბრუნების განხორციელებას და შეძლებს პრიორიტეტების ჩართვას გარკვეული რაიონებისა და ლტილვილთა გარკვეული კატეგორიებისათვის. მხარეები თანახმა არიან შეასრულონ ასეთი გეგმა და მასთან შესაბამისობაში მოიყვანონ თავიანთი საერთაშორისო შეთანხმებები და შიდა კანონმდე-

ბლობა. ამასთან დაკავშირებით ისინი მოუწოდებენ ლტოლვილთა მიმღებ სახელმწიფოებს, ხელი შეუწყონ ლტილვილთა უსწრაფეს დაბრუნებას საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

## მუხლი II

### დაბრუნებისათვის შესაფერისი პირობების შექმნა

1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, თავიანთ ტერიტორიებზე შექმნან ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნებას და ჰარმონიულ რეინტეგრაციას, არ მიაჩვენებენ უპირატესობას რომელიმე ცალკეულ ჯგუფს. მხარეები ყველანაირ შესაძლო დახმარებას სთავაზობენ ლტოლვილებსა და გადაადგილებულ პირებს, იღებენ ზომებს მშვიდობიანი, მონესრიგებული და ეტაპობრივი გზით მათი ნებაყოფლობითი დაბრუნების გასაადვილებლად, UNHCR-ის რეპატრიაციის გეგმის შესაბამისად.
2. მხარეები არ ახდენენ დისკრიმინაციას დასაბრუნებელ ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა მიმართ სამხედრო სამსახურში განწევასთან დაკავშირებით და დადებითად განიხილავენ სამხედრო ან ნებისმიერი სხვა სავალდებულო სამსახურისგან გათავისუფლების შესახებ თხოვნებს, რათა ხელი შეუწყონ დასაბრუნებელ პირებს ნორმალური ცხოვრების დაბრუნებაში.

## მუხლი III

# თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო მონიტორინგთან

1. მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ UNHCR-ის წამყვან ჰუმანიტარულ როლს, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დააკისრა ყველა იმ დაწესებულების კოორდინაციის უზრუნველყოფა, რომლებიც ხელს უწყობენ რეპატრაციას და ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთათვის დახმარების განწევას.
2. მხარეები უზრუნველყოფენ UNHCR-ის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამისა (UNDP) და სხვა შესაბამისი საერთაშორისო, ეროვნული და არასამთავრობო ორგანიზაციების სრულ და შეუზღუდავ წვდომას ყველა ლტოლვილსა და გადაადგილებულ პირთან მოცემული ორგანიზაციების ისეთ საქმიანობაში ხელის შეწყობის მიზნით, რომელიც მიმართულია ასეთ პირთა ძიებაზე, სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფაზე, სურსათის განაწილებაზე, რეინტეგრაციაში დახმარების განწევაზე, დროებითი ან მუდმივი საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე და, ასევე, სხვა სახის საქმიანობაში, რომელსაც უკიდურესად დიდი მნიშვნელობა აქვს რაიმე ადმინისტრაციული დაბრკოლებების გარეშე მათი მანდატებისა და ოპერატიული ვალდებულებების შესასრულებლად. ამ სახის საქმიანობა მოიცავს ადამიანის ძირითად უფლებათა და ჰუმანიტარულ პირობათა სფეროში დაცვისა და მონიტორინგის ტრადიციულ ფუნქციებს, და ასევე წინამდებარე

თავის დებულებათა შესრულებას.

3. მხარეები უზრუნველყოფენ ამგვარი ორგანიზაციების მთელი პერსონალის უსაფრთხოებას.

## **მუხლი IV**

### **დახმარება რეპატრიაციაში**

UNHCR-სა და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, მხარეები ხელს უწყობენ სათანადო წესით გაკონტროლებულ, მოკლევადიან დახმარებას არადისკრიმინაციულ საფუძველზე რეპატრიაციასთან დაკავშირებით ყველა დაბრუნებული ლტოლვილისა და გადაადგილებული პირისთვის, რომლებიც საჭიროებენ ასეთ დახმარებას, რათა ოჯახებსა და ცალკეულ პირებს მიეცეთ შესაძლებლობა, დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას და ადგილობრივ თემებში უზრუნველყოფილ იქნენ საარსებო საშუალებებით.

## **მუხლი V**

### **უზოუკვლოდ დაკარგული პირები**

ICRC-ს საძიებო მექანიზმების მეშვეობით მხარეები იძლევიან ინფორმაციას ყველა უზოუკვლოდ დაკარგული პირის შესახებ. მხარეები, ასევე, სრული მოცულობით თანამშრომლობენ ICRC-თან მის მიერ წამოწყებულ ძალისხმევაში, რომელიც უზოუკვლოდ დაკარგულ პირთა პიროვნების, ადგილდებარეობისა და ბედის გამორკვევასთან არის დაკავშირებული.

## მუხლი VI

### ამნისტია

ნებისმიერი დაბრუნებული ლტოლვილი ან გადაადგილებული პირი, რომელსაც წაეყენა ბრალდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზული დარღვევისაგან (როგორც ისინი 1991 წლის 1 იანვრიდან განისაზღვრება ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდებით) განსხვავებული დანაშაულის ან საერთო სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომელსაც არა აქვს კავშირი მოცემულ კონფლიქტთან, დაბრუნებისას ლეზულობს ამნისტიას. არანაირ შემთხვევაში არ არის დაშვებული პოლიტიკური ან სხვა არაადეკვატური მიზეზების გამო დანაშაულის ჩადენას ან ამნისტიის გამოყენებისთვის თავის არიდების მცდელობაში ბრალდების წაყენება.

### თავი მეორე:

## გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა

### საქმეების კომისია

## მუხლი VII

### კომისიის დაფუძნება

წინამდებარე მუხლით მხარეები აფუძნებენ გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საქმეების დამოუკიდებელ კომისიას („კომისია“). კომისიის შტაბბინა განთავსდება სარაევოში და მას, შეიძლება, ჰქონდეს ოფისები სხვა ისეთ ადგილებში, სადაც ის ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.



## მუსლი VIII

### თანამშრომლობა

1. მხარეები თანამშრომლობენ კომისიასთან და დაუყოვნებლივ და კეთილსინდისიერად იცავენ და ახორციელებენ მის გად-ანყვეტილებებს ისეთ საერთაშორისო და არასამთავრობო ორ-განიზაციებთან თანამშრომლობით, რომლებიც პასუხს აგებენ ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნებასა და რეინტეგრაციაზე.

## მუსლი IX

### შემაღვენლობა

1. კომისია ცხრა ნევრისგან შედგება. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან 90 დღის განმავლობაში ბოსნიისა და ჰერცე-გოვინის ფედერაცია ნიშნავს ოთხ ნევრს, ორს — სამწლიანი და დანარჩენებს — ოთხწლიანი ვადით, ხოლო რესპუბლიკა სრპს-კა ნიშნავს ორ ნევრს, ერთს — სამწლიანი და ერთს — ოთხ-წლიანი ვადით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე ხუთწლიანი ვადით ნიშნავს კომისიის დანარჩენ ნევრებს, თანაც ერთ-ერთი მათგანი კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება. კომისიის ნევრები, შეიძლება, ხელმეორედაც დაინიშ-ნონ.
2. კომისიის ნევრებს უნდა ჰქონდეთ მაღალი მორალური თვისე-ბები.
3. კომისიამ შეიძლება ჩაატაროს სხდომები პანელებში, როგორც ეს მის წესებსა და დებულებებშია გათვალისწინებული. წინამდე-ბარე დებულებაში დაცული მითითებები კომისიაზე, შესაბამის

შემთხვევაში, ასეთ პანელებსაც მოიცავენ იმ გამონაკლისით, რომ წესებისა და დებულებების მიღების უფლებით მხოლოდ სრული შემადგენლობის კომისიაა აღჭურვილი.

4. კომისიის წევრები პასუხისმგებლობის გადაცემის შემდეგ (რომელზეც ნათქვამია ქვემოთ, XVI მუხლში) დაინიშნებიან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტის მიერ.

## **მუხლი X**

### **სამუშაო გარემო, პერსონალი და**

#### **ხარჯები**

1. კომისიას აქვს სათანადო სამუშაო პირობები და ჰყავს ადმინისტრაციულ, ფინანსურ, საბანკო და იურიდიულ სფეროში მუშაობის გამოცდილების მქონე, პროფესიონალი, კომპეტენტური პერსონალი მისი ფუნქციების განხორციელებაში დახმარების გასანევადა. პერსონალს სათავეში უდგას კომისიის მიერ დანიშნული ადმინისტრაციული მუშაკი.
2. კომისიისა და მისი პერსონალის გასამრჯელოები და ხარჯები ერთობლივად განისაზღვრება მხარეთა მიერ და მათ მიერვე თანაბარი წილით იფარება.
3. კომისიის წევრები არ აგებენ არც სისხლის სამართლის, არც სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხს რაიმე ქმედებებისთვის, რომლებიც ჩადენილი იყო მათ მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენციის თანახმად, კომისიის წევრები და მათი ოჯახები, რომლებიც არ არიან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეები, იმავე პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობენ, რითაც დიპლომატიური აგენტები და მათი ოჯახები.

4. კომისიას შეუძლია შესათანხმებელ პირობებზე მიიღოს დახმარება საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან მათი სპეციალური კომპეტენციის ფარგლებში, რომლებიც კომისიის მანდატის მოქმედების სფეროში შედის.
5. კომისია თანამშრომლობს საერთო ჩარჩო შეთანხმების თანახმად შექმნილ სხვა წარმონაქმნებთან, რომლებიც დათქმულია მხარეთა მიერ ან უფლებამოსილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უსაფრთხოების საბჭოს მიერ.

## **მუხლი XI**

### **მანდატი**

კომისია განსახილველად იღებს და გამოაქვს გადაწყვეტილებები ნებისმიერ განცხადებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში არსებულ უძრავ ქონებასთან იმ შემთხვევებში, როდესაც ეს საკუთრება არ იყო ნებაყოფლობით გაყიდული და რაიმე სხვა გზით გადაცემული 1992 წლის 1-ელი აპრილის შემდგომ პერიოდში და როდესაც განმცხადებელი ამჟამად არ ახორციელებს ამ საკუთრების ფლობის უფლებებს. განცხადებები შეიძლება მოიცავდნენ მოთხოვნებს საკუთრების დაბრუნებისა ან დაბრუნების ნაცვლად სამართლიანი კომპენსაციის გადახდის შესახებ.

## **მუხლი XII**

### **წარმოება კომისიაში**

1. განცხადების მიღებისას კომისია ადგენს საკუთრების კანონიერ მფლობელს, რომლის მიმართაც წარდგენილია განცხადება, და

ამ საკუთრების ღირებულებას. კომისიას, მისი პერსონალის სახით ან სათანადო წესით დანიშნული საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით აქვს წვდომის უფლება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში არსებულ ნებისმიერ ქონებრივ დოკუმენტებსა და ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მდებარე ნებისმიერ უძრავ ქონებასთან, განცხადების განხილვასთან დაკავშირებით ინსპექციის, შეფასებისა და ღირებულების დადგენის მიზნით.

2. ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც მიმართავს მას საკუთრების დაბრუნების მოთხოვნით, ვისაც კომისია ამ საკუთრების კანონიერ მფლობლად ჩათვლის, გამოიტანება საკუთრების დაბრუნების გადაწყვეტილება. ნებისმიერ პირს, რომელიც მიმართავს მას დაბრუნების ნაცვლად კომპენსაციის გადახდის შესახებ მოთხოვნით, ვისაც კომისია ამ საკუთრების კანონიერ მფლობელად ჩათვლის, ენიშნება სამართლიანი კომპენსაცია კომისიის მიერ განსაზღვრული ოდენობით. კომისიის გადაწყვეტილებები მისი წევრების ხმათა უმრავლესობით მიიღება.
3. ნებისმიერი საკუთრების კანონიერი მფლობლის განსაზღვრისას კომისია არ აღიარებს საკუთრებასთან შესრულებული უკანონო ოპერაციის (როგორც არ უნდა იყოს ის) ნამდვილობას, მათ შორის საკუთრების ნებისმიერი გადაცემისა, რომელიც შესრულებულ იქნა იძულებით, ქვეყანაში შესვლაზე ნებართვისა ან გასვლის დოკუმენტების მიცემის სანაცვლოდ, ან რომელიც რაიმე სხვა გზით იყო დაკავშირებული „ეთნიკურ წმენდასთან“. ნებისმიერ პირს, რომლის მიმართ გამოიტანება გადაწყვეტილება საკუთრების დაბრუნების შესახებ, შეუძლია დასთანხმდეს მისი იჯარით გაცემის დამაკმაყოფილებელ პირობებზე, იმის ნაცვლად, რომ ხელახლა გახდეს საკუთრების მფლობელი.
4. კომისია ადგენს მყარ განფასებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში არსებული მთელი იმ უძრავი ქონების ღირებულების დასადგენად, რომელიც წარ-

მოადგენს კომისიის განხილვაზე მყოფი განცხადების ობიექტს. ეს განფასებები დგინდება 1992 წლის 1-ელ აპრილამდე ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე ჩატარებული საკუთრების შეფასების ან გამოკვლევის შედეგების გათვალისწინებით, თუ ასეთები არსებობს, ან შეიძლება ეფუძნებოდეს კომისიის მიერ განსაზღვრულ სხვა გონივრულ კრიტერიუმებს.

5. კომისიას აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი ოპერაცია, რომელიც საჭიროა სამართლებრივი ტიტულის გადაცემისა ან მიცემის, დაგირავების, იჯარით გაცემისთვის ან იმ საკუთრების სხვაგვარად განკარგვისთვის, რომელთან მიმართებითაც შეტანილია განცხადება ან რომელიც მიტოვებულად არის მიჩნეული. კერძოდ, კომისიას შეუძლია კანონიერი წესით გაყიდოს, დააგირავოს ან იჯარით გასცეს უძრავი ქონება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ნებისმიერ მცხოვრებელსა ან მოქალაქეზე ან ნებისმიერ მხარეზე იმ შემთხვევებში, როდესაც კანონიერმა მფლობელმა დაბრუნების ნაცვლად კომპენსაციის გადახდის შესახებ თხოვნით მიმართა და მიიღო ის, ან როდესაც საკუთრება მიტოვებულად არის აღიარებული, ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად. კომისიას, ასევე, შეუძლია საკუთრების უფლებათა განხილვისა და საბოლოო დადგენამდე საკუთრება იჯარით გასცეს.
6. იმ შემთხვევებში, როდესაც განმცხადებელს საკუთრების დაბრუნების ნაცვლად კომპენსაცია ენიშნება, კომისიას შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ფულადი სუბსიდიის ან საკომპენსაციო სერტიფიკატის მიცემის შესახებ უძრავი საკუთრების სამომავლო შეძენის მიზნით. მხარეები მიესალმებიან ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში საცხოვრებლის მშენებლობასა და დაფინანსებაში დახმარების გამწვევი საერთაშორისო საზოგადოების მზაობას, მიიღოს კომისიის მიერ მინიჭებული (გაცემული) საკომპენსაციო სერტიფიკატები გადახდის საშუალების სახით და

გაცეს ასეთი საკომპენსაციო სერტიფიკატების მქონე პირებზე საცხოვრებლის მიღების პრიორიტეტული უფლებები.

7. კომისიის გადანყვეტილებები საბოლოო და ნებისმიერი სამართლებრივი ტიტული, ბეჭდვანი დოკუმენტი, გირავნობის სიგელი ან კომისიის მიერ მომზადებული და გაცემული სხვა იურიდიული დოკუმენტი აღიარებულია კანონიერად ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთელ ტერიტორიაზე.
8. ნებისმიერი მხარის ან კერძო პირის უარი კომისიასთან თანამშრომლობაზე ხელს უშლის კომისიას თავისი გადანყვეტილების გამოტანაში.

## **მუხლი XIII**

### **დაუკავებელი საკუთრების გამოყენება**

მხარეებს კომისიის შეტყობინების შემდეგ და UNHCR-სა და დახმარების განწევასა და აღდგენაში მონაწილე სხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაციით, შეუძლიათ ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დროებით განთავსება დაუკავებელ საკუთრებაში კომისიის მიერ საკუთრების უფლებათა საბოლოო დადგენის გათვალისწინებით და დროებითი იჯარის შესახებ ისეთი დებულებების თანახმად, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს.

## **მუხლი XIV**

### **საკუთრების ფონდი ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთათვის**

1. საკუთრების ფონდი ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთათვის („ფონდი“) იქმნება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცენტრალურ ბანკში და იმართება კომისიის მიერ. ფონდი ივსება იმ უძრავი ქონების შეძენის, გაყიდვის, იჯარით გაცემის ან დაგირავების ხარჯზე, რომელიც წარმოადგენს კომისიის განხილვაზე არსებული განცხადებების საგანს. ის, ასევე, შეიძლება ივსებოდეს მხარეთა პირდაპირი გადახდების ან სახელმწიფოთა თუ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების შენატანების ხარჯზე.
2. XII(6) მუხლის დებულებების შესაბამისად, გაცემული საკომპენსაციო სერტიფიკატები შეადგენენ ფონდის მომავალ ვალდებულებებს იმ პირობებზე, რომლებიც კომისიის მიერ იქნება განსაზღვრული.

## **მუხლი XV**

### **წესები და დებულებები**

წინამდებარე შეთანხმების თანახმად, კომისია ლებულობს ისეთ წესებსა და დებულებებს, რომლებიც შეიძლება აუცილებელი იყოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად. ასეთი წესებისა და დებულებების შემუშავებისას კომისია მხედველობაში იღებს ეროვნული კანონმდებლობების ნორმებს, რომლებიც საკუთრების უფლებას არეგულირებენ.

## **მუსლი XVI**

### **პასუხისმგებლობის გადაცემა**

წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ კომისიის ფინანსირებასა და საქმიანობაზე პასუხისმგებლობა მხარეთა მიერ გადაეცემა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთავრობას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. უკანასკნელ შემთხვევაში კომისია აგრძელებს თავის ფუნქციონირებას ისე, როგორც ეს ზემოთ არის გათვალისწინებული.

## **მუსლი XVII**

### **ინფორმაციის მიწოდება**

მხარეები უზრუნველყოფენ ეფექტიან შეტყობინებას წინამდებარე შეთანხმების პირობების შესახებ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთელ ტერიტორიაზე და, ასევე, ყველა იმ ქვეყანაში, სადაც, არსებული მონაცემების თანახმად, იმყოფებიან პირები, რომლებიც არიან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეები და მცხოვრებლები.

## **მუსლი XVIII**

### **ქალაქი ზესვლა**

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.



ხელს აწერენ: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ბოსნი-  
ისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რესპუბლიკა სრპსკა.

For the Republic of  
Bosnia and Herzegovina

A. J.

For the Federation of  
Bosnia and Herzegovina

JP

For the Republika Srpska

Se. Se.

## შეთანხმება ეროვნული კაბლუბის დაცვის კომისიის შესახებ

რესპუბლიკა ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და რესპუბლიკა სრპსკა („მხარეები“) შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი I

#### კომისიის დაფუძნება

წინამდებარე შეთანხმებით მხარეები აფუძნებენ ეროვნული ძეგლების დაცვის დამოუკიდებელ კომისიას („კომისია“). კომისიის შტაბბინა განთავსდება სარაევოში და მას შეიძლება ჰქონდეს ოფისები სხვა ადგილებში, სადაც ის ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

### მუხლი II

#### შეადგენლობა

1. კომისია ხუთი წევრისაგან შედგება. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ 90 დღის განმავლობაში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია ნიშნავს ორ წევრს, ხოლო რესპუბლიკა სრპსკა — ერთ წევრს სამი წლის ვადით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა გენერალური დირექტორი დანარჩენ თითოეულ წევრს ნიშნავს ხუთი წლის ვადით, თანაც ამ წევრთაგან ერთ-ერთი თავმჯდომარედ ინიშნება. კომისიის წევრე-

ბი შეიძლება მეორე ვადით დაინიშნონ. კომისიის წევრები ვერ იქნებიან პირები, რომლებიც სასჯელს იხდიან ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის განაჩენის მიხედვით, და პირები, რომელთა მიმართ ტრიბუნალმა გამოიტანა საბრალდებო დასკვნები და რომლებმაც არ შეასრულეს დადგენილება ტრიბუნალში გამოცხადების შესახებ.

2. პასუხისმგებლობის გადაცემის შემდეგ (რაზეც ქვემოთ მუხლ IX-შია ნათქვამი) დანიშნული კომისიის წევრები ინიშნება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტის მიერ.

## **მუხლი III**

### **სამუშაო გარემო, პერსონალი და**

### **ხარჯები**

1. კომისიას აქვს სათანადო სამუშაო პირობები და ჰყავს პროფესიულად კომპეტენტური პერსონალი, რომელიც ძირითადად წარმოადგენს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის შემადგენლობაში შემავალ ეთნიკურ ჯგუფებს, მისი ფუნქციების განხორციელების ხელის შეწყობის მიზნით. პერსონალს სათავეში უდგას კომისიის მიერ დანიშნული პასუხისმგებელი მუშაკი.
2. კომისიისა და მისი პერსონალის გასამრჯელოები და ხარჯები ერთობლივად განისაზღვრება წარმონაქმნების მიერ და მათ მიერვე თანაბარწილად იფარება.
3. კომისიის წევრები არ აგებენ არც სისხლის სამართლის, არც სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხს რაიმე ქმედებებისთვის, რომლებიც ჩადენილი იყო მათ მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენციის თანახმად, კომისიის წევრები და მათი ოჯახები, რომლებიც არ არიან ბოსნიისა და ჰერცეგოვ-

ინის მოქალაქეები, დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის თანახმად, იმავე პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობენ, როგორითაც დიპლომატიური აგენტები და მათი ოჯახები.

## **მუხლი IV**

### **მანდატი**

კომისია ლებულობს განცხადებებს კულტურული, ისტორიული, რელიგიური თუ ეთნიკური ფასეულობის მქონე ქონების ეროვნულ ძეგლად გამოცხადების შესახებ, და გამოაქვს გადაწყვეტილებები მათთან დაკავშირებით.

## **მუხლი V**

### **ნარმოება კომისიაში**

1. ნებისმიერ მხარეს ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში შეუძლია შეიტანოს კომისიაში განცხადება ქონების ეროვნულ ძეგლად ცნობის შესახებ. თითოეული ასეთი განცხადება მოიცავს შესაბამის ინფორმაციას, რომელიც ქონებას ეხება, მათ შორის:
  - ა) ქონების ზუსტ ადგილმდებარეობას;
  - ბ) მის ამჟამინდელ მესაკუთრეს და მის მდგომარეობას ახლანდელ დროში;
  - გ) ამ ქონების ნებისმიერი საჭირო რემონტის ღირებულებასა და დაფინანსების წყაროს;
  - დ) გამოყენების ნებისმიერ ცნობილ სავარაუდო ვარიანტს;
  - ე) ეროვნულ ძეგლად გამოცხადების საფუძველს.

2. განცხადებაზე გადანყვეტილების მიღებისას კომისია ეროვნული ძეგლის მესაკუთრეებს და, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირებსა და სუბიექტებს თავიანთი აზრის გამოხატვის შესაძლებლობას აძლევს.
3. კომისიაში განცხადების შეტანის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ან წინამდებარე დებულების თანახმად გადანყვეტილების გამოტანამდე, იმის გათვალისწინებით, თუ რომელი მოხდება უფრო ადრე, ყველა მხარე თავს იკავებს რაიმე ისეთი ზომების განზრახ მიღებისგან, რომლებსაც შეუძლია ზიანის მიყენება მოცემული ქონებისთვის.
4. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში კომისიას გამოაქვს წერილობითი გადანყვეტილება, აღწერს აღმოჩენილ ფაქტებს და ამ გადანყვეტილების გამოტანის საფუძველს. კომისია გადანყვეტილებას თავისი ნევრების ხმათა უმრავლესობით ღებულობს. კომისიის გადანყვეტილებები საბოლოოა და ექვემდებარება აღსრულებას, შიდა კანონმდებლობის ნორმების თანახმად.
5. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც კომისია ღებულობს გადანყვეტილებას ქონების ეროვნულ ძეგლად გამოცხადების შესახებ, ის წარმონაქმნი, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება მოცემული ქონება: ა) ყველა ძალღონეს ხმარობს სამართლებრივი, მეცნიერული, ტექნიკური, ადმინისტრაციული და ფინანსური ხასიათის მქონე სათანადო ზომების მისაღებად, რომლებიც აუცილებელია ქონების დაცვის, შენარჩუნების, ჩვენებისა და აღდგენისათვის და ბ) თავს იკავებს რაიმე ისეთი ზომების განზრახ მიღებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ამ ქონებისთვის ზიანის მიყენება.

## **მუხლი VI**

### **ოპიქტაჰი, რომლებიც შიქლაჰა გამოცხადდეს ეროვნულ ქებლაჰად**

ეროვნულ ქებლაჰად შიქდება გამოცხადდეს შემდეგი ობიექტები: მოძრავი და უძრავი ქონება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო კულტურული, ისტორიული, რელიგიური ან ეთნიკური მემკვიდრეობის მქონე პირთა ჯგუფისათვის, მაგალითად: არქიტექტურის, ხელოვნების ან ისტორიის ქებლები, არქეოლოგიური გათხრების ადგილები, შენობათა ჯგუფები და, ასევე, სასაფლაოები.

## **მუხლი VII**

### **წესები და დებულებები**

წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, კომისია იღებს ისეთ წესებსა და დებულებებს, რომლებიც აუცილებელია მის მიერ საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად.

## **მუხლი VIII**

### **თანამშრომლობა**

თანამდებობის პირები, მხარეთა კანტონები და მუნიციპალიტეტთა ორგანოები, ასევე, ნებისმიერი კერძო პირი, რომლებიც ასეთი თანამდებობის პირის ან ორგანოს უფლებამოსილებით მოქმედებენ,

სრულფასოვნად თანამშრომლობენ კომისიასთან, მათ შორის მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენისა და სხვა დახმარების განევის გზით.

## **მუხლი IX**

### **პასუხისმგებლობის გადაცემა**

წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ კომისიის მომდევნო ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა მხარეთა მიერ გადაეცემა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთავრობას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. უკანასკნელ შემთხვევაში კომისია აგრძელებს თავის ფუნქციონირებას ისე, როგორც ეს ზემოთ არის გათვალისწინებული.

## **მუხლი X**

### **ინფორმაციის მიწოდება**

მხარეები უზრუნველყოფენ ეფექტიან შეტყობინებას წინამდებარე შეთანხმების პირობების შესახებ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთელ ტერიტორიაზე.

## **მუხლი XI**

### **ძალაში შესვლა**

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

**ხელს აწერენ:** ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რესპუბლიკა სრპსკა.

For the Republic  
of Bosnia and Herzegovina

*A. J.*

---

For the Federation of  
Bosnia and Herzegovina

*JP*

---

For the Republika Srpska

*M. St.*

---



**შეთანხმება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის  
საჯარო კორპორაციების დაფუძნების  
შესახებ**

იმის გათვალისწინებით, რომ ინფრასტრუქტურის აღდგენას და ტრანსპორტის და სხვა დარგების გამართულ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ეკონომიკური აღორძინებისა და მშვიდობიანი გარემოს შექმნაში მონაწილე მისი დანესებულეებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და რესპუბლიკა სრპსკა („მხარეები“) შეთანხმდნენ შემდეგზე:

**მუხლი I**

**საჯარო კორპორაციების კომისია**

1. წინამდებარე შეთანხმებით მხარეები აფუძნებენ საჯარო კორპორაციების კომისიას („კომისია“), რათა დაფუძნდეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საჯარო კორპორაციები, როგორცაა კომუნალური საწარმოები, ელექტროსადგურები, ფოსტა და კავშირგაბმულობის საწარმოები იმგვარად, რომ დაცულ იქნეს ორივე წარმონაქმნის ინტერესები და მიზანმიმართული იყოს ერთობლივი მომსახურებისათვის.
2. კომისია ხუთი წევრისაგან შედგება. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ თხუთმეტი დღის განმავლობაში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია ნიშნავს ორ, ხოლო რესპუბლიკა სრპსკა — ერთ წევრს. დანიშნულმა პირებმა კარგად უნდა იცოდნენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონკრეტული ეკონომი-

კური, პოლიტიკური და სამართლებრივი თავისებურებები და უნდა ჰქონდეთ მაღალი მორალური თვისებები. აღიარებენ რა იმ ფაქტს, რომ კომისია ისარგებლებს საერთაშორისო გამოცდილებითა და ცოდნით, მხარეები სთხოვენ რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის პრეზიდენტს დანიშნოს დანარჩენი ორი წევრი და ერთ-ერთ მათგანს თავმჯდომარის ფუნქციების შესრულება დაავალოს.

3. კომისია განიხილავს ასეთი კორპორაციების სათანადო შიდა სტრუქტურის, მათი წარმატებული უწყვეტი მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭირო პირობების და გრძელვადიანი საინვესტიციო კაპიტალის მობილიზების საუკეთესო საშუალებების შესახებ საკითხებს.

## **მუხლი II**

### **სატრანსპორტო კორპორაციის დაფუძნება**

1. აღიარებენ რა საჯარო კორპორაციის შექმნის გადაუდებელ აუცილებლობას სატრანსპორტო ობიექტებისა და საშუალებების ორგანიზაციისა და ექსპლუატაციისათვის, როგორცაა საავტომობილო გზები, რკინიგზები და პორტები, მათი ურთიერთსარგებლობის ინტერესებისათვის მხარეები წინამდებარე შეთანხმებით აფუძნებენ ამ მიზნით ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სატრანსპორტო კორპორაციას („სატრანსპორტო კორპორაცია“).
2. სატრანსპორტო კორპორაციის შტაბბინა განთავსდება სარაევოში, და მას შეიძლება, ჰქონდეს ოფისები სხვა ადგილებში, სადაც ის მიზანშეწონილად მიიჩნევა. საკუთარი ფუნქციების განსახორციელებლად მას აქვს სათანადო სამუშაო გარემო და ირჩევს პროფესიულად კომპეტენტურ დირექტორებს, თანამდებობის

პირებსა და პერსონალს, რომლებიც მთლიანად წარმოადგენენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის შემადგენლობაში შემავალ ეთნიკურ ჯგუფებს. კომისია ირჩევს დირექტორთა საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს თანამდებობის პირებს და აჰყავს პერსონალი.

3. სატრანსპორტო კორპორაცია უფლებამოსილია ააგოს, შეიძინოს, ფლობდეს, შეინახოს და ექსპლუატაცია გაუწიოს, ასევე, განკარგოს უძრავი და მოძრავი ქონება მის მიერ შემუშავებული კონკრეტული გეგმების თანახმად. ის, ასევე, უფლებამოსილია, დაადგინოს და გადაახდევინოს ტარიფები, მოსაკრებლები, საიჯარო და სხვა საფასური მის მიერ ექსპლუატირებული სანარმოების მომსახურების გამოყენებისათვის, დადოს მისი ფუნქციების განსახორციელებლად აუცილებელი ნებისმიერი ხელშეკრულება და შეთანხმება, ასევე, წამოიწყოს ამ ფუნქციების განსახორციელებლად აუცილებელი სხვა ქმედება.
4. სატრანსპორტო კორპორაცია ეწევა სატრანსპორტო ობიექტების ექსპლუატირებას მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. მათ შორის შეთანხმების ფარგლებში მხარეები ანიჭებენ კორპორაციას აუცილებელ იურიდიულ უფლებამოსილებას. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ თხუთმეტი დღის განმავლობაში მხარეები ხვდებიან ერთმანეთს, რათა განიხილოს საკითხი იმის თაობაზე, თუ რა ობიექტების ექსპლუატაციას ახდენს კორპორაცია.
5. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ ოცდაათი დღის განმავლობაში მხარეები ლეზულობენ გადანყვეტილებას იმ ფულადი სახსრების ოდენობაზე, რომლებიც უნდა იქნეს შეტანილი სატრანსპორტო კორპორაციის პირველსაწყის ოპერატიულ ბიუჯეტში. მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს გადასცენ სატრანსპორტო კორპორაციას დამატებითი სახსრები ან მათი კუთვნილი ობიექტები, ან მათზე უფლებები. მხარეები

იღებენ გადანყვეტილებას იმის თაობაზე, თუ სატრანსპორტო კორპორაცია რანაირად იქნება უფლებამოსილი, გამოძებნოს დამატებითი კაპიტალი.

## **მუხლი III**

### **სხვა საჯარო კორპორაციები**

კომისიის რეკომენდაციით მხარეებს შეუძლიათ მიიღონ გადანყვეტილება, რომ მოდელის სახით გამოიყენონ სატრანსპორტო კორპორაციის დაფუძნება სხვა ერთობლივი საჯარო კორპორაციების შესაქმნელად, მაგალითად, კომუნალური ენერგეტიკული სანარმოების, ფოსტისა და კავშირგაბმულობის სანარმოთა საექსპლუატაციოდ.

## **მუხლი IV**

### **თანამშრომლობა**

კომისია, სატრანსპორტო კორპორაცია და სხვა საჯარო კორპორაციები სრულფასოვნად თანამშრომლობენ ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომლებიც მონაწილეობენ მშვიდობიანი გარემოს მშენებლობაში ან სხვაგვარად არიან უფლებამოსილნი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უსაფრთხოების საბჭოს მიერ, მათ შორის, როგორც არის ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი.

## მუხლი V

### ეთიკის ნორმები

კომისიის წევრებსა და სატრანსპორტო კორპორაციის დირექტორებს არა აქვთ უფლება ჰქონდეს სამსახურებრივი ან ფინანსური ურთიერთობები რომელიმე სანარმოსთან, რომელმაც დადო ან ცდილობს დადოს ხელშეკრულება კომისიასა ან კორპორაციასთან, ან აქვს სხვა ინტერესი, რაც შეიძლება პირდაპირ ეხებოდეს მათ ქმედებას ან უმოქმედობას.

## მუხლი VI

### ძალაში შესვლა


წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

**ხელს აწერენ:** ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რესპუბლიკა სრპსკა.

For the Federation of  
Bosnia and Herzegovina



For the Republika Srpska



## შეთანხმება მშვიდობიანი

### დარეგულირების სამოქალაქო

### ასპექტების განხორციელების შესახებ

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და რესპუბლიკა სრპსკა („მხარეები“) შეთანხმდნენ შემდეგზე:

## მუხლი I

### უმაღლესი წარმომადგენელი

1. მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მშვიდობიანი დარეგულირების სამოქალაქო ასპექტების განხორციელებით ღონისძიებათა ფართო წრე იქნება მოცული, მათ შორის აუცილებელი პერიოდის განმავლობაში ჰუმანიტარული დახმარების განეხადება და კავშირებული ძალისხმევის გაგრძელება, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის აღდგენა, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში პოლიტიკური და საკონსტიტუციო ინსტიტუტების შექმნა, ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფა და გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნება, ასევე, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება საერთო ჩარჩო შეთანხმების მე-3 დანართში მითითებული ვადების თანახმად. შესაბამისი დახმარების განეხადება მნიშვნელოვანი ოდენობის საერთაშორისო ორგანიზაციები და დაწესებულებები იქნება ჩართული.

2. მათ წინაშე მდგარი ამოცანების სირთულის გათვალისწინებით, მხარეები ითხოვენ უმაღლესი წარმომადგენლის დანიშვნას, რაც უნდა განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების თანახმად, მხარეების მიერ წამოწყებული ძალისხმევის გასაადვილებლად და, ასევე, მშვიდობიანი დარეგულირების სამოქალაქო ასპექტების განხორციელებაში მონაწილე ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობის მობილიზაციისა და კოორდინაციისათვის, თუ ეს მიზანშეწონილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ფარგლებში დაკისრებული ქვემოთ მოყვანილი ამოცანების გადაჭრის გზით.

## **მუხლი II**

### **მანდატი და კოორდინაციისა და**

### **კავშირის უზრუნველყოფის მეთოდები**

1. უმაღლესი წარმომადგენელი:
  - ა) თვალს ადევნებს სამშვიდობო პროცესების განხორციელებას;
  - ბ) მჭიდრო კონტაქტს ამყარებს მხარეებთან მათ მიერ მშვიდობიანი დარეგულირების ყველა სამოქალაქო ასპექტის სრული შესრულებისა და მათ და ამ ასპექტების განხორციელებაში მონაწილე ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით.
  - გ) კოორდინაციას უწევს სამოქალაქო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობიანი დარეგულირების სამოქალაქო ასპექტების

ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. უმაღლესი წარმომადგენელი პატივს სცემს მათ ავტონომიას მათი კომპეტენციის სფეროთა ფარგლებში, აუცილებლობის შემთხვევაში აძლევს რა მათ ზოგად მითითებებს, რომლებიც მშვიდობიანი დარეგულირების განხორციელებაზე მათი საქმიანობის გავლენასთან არის დაკავშირებული. სამოქალაქო ორგანიზაციებსა და დანესებულებებს მოეთხოვებათ ხელი შეუწყონ უმაღლეს წარმომადგენელს ვალდებულებების შესრულებაში, აძლევენ რა მთელ ინფორმაციას ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში თავიანთი ქმედებების შესახებ;

- დ) იმ ზომით, რა ზომითაც ამას აუცილებლად მიიჩნევს უმაღლესი წარმომადგენელი, ხელს უწყობს ნებისმიერი სირთულის აღმოფხვრას, რომელიც წარმოიქმნება სამოქალაქო ასპექტების განხორციელებასთან დაკავშირებით.
  - ე) მონაწილეობს დონორი ორგანიზაციების შეხვედრებში, განსაკუთრებით აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით;
  - ვ) პერიოდულად მოახსენებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროკავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რუსეთის ფედერაციასა და სხვა დაინტერესებულ მთავრობებს, მხარეებსა და ორგანიზაციებს მშვიდობიანი შეთანხმების განხორციელებაში მიღწეული პროგრესის შესახებ;
  - ზ) იძლევა მითითებებს და ლებულობს მოხსენებებს სპეციალური საერთაშორისო საპოლიციო ძალების კომისარისაგან (სპეციალური საერთაშორისო საპოლიციო ძალების დაარსებას ითვალისწინებს საერთო ჩარჩო შეთანხმების მე-11 დანართი).
2. თავისი მანდატის განსახორციელებლად უმაღლესი წარმომადგენელი იწვევს და უძღვება კომისიას („ერთობლივი სამოქალაქო



კომისია“) ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. მასში შევლენ მხარეთა უფროსი პოლიტიკური წარმომადგენლები, მსd-ის მეთაური ან მისი წარმომადგენელი და, ასევე, იმ სამოქალაქო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები, რომელთა მონაწილეობას უმაღლესი წარმომადგენელი აუცილებლად მიიჩნევს.

3. აუცილებლობის შემთხვევაში უმაღლესი წარმომადგენელი ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ადგილობრივ დონეებზე ქმნის დამხმარე ერთობლივ სამოქალაქო კომისიებს.
4. ერთობლივი საკონსულტაციო კომიტეტი ჩაატარებს შეხვედრებს დროდადრო ან უმაღლეს წარმომადგენელსა და ICFR-ის მეთაურს შორის, შეთანხმების თანახმად.
5. უმაღლესი წარმომადგენელი ან მის მიერ დანიშნული პირი მჭიდრო კონტაქტში იმყოფება IFOR-ის მეთაურთან ამ მის მიერ დანიშნულ წარმომადგენლებთან და აუცილებელ ზომებს ღებულობს IFOR-ის მეთაურთან კავშირის დასამყარებლად მათი შესაბამისი ვალდებულებების განხორციელების გაადვილების მიზნით.
6. უმაღლესი წარმომადგენელი რეგულარულად ცვლის ინფორმაციას და კავშირს ამყარებს IFOR-თან, IFOR -ის მეთაურთან შეთანხმებით და იმ კომისიების ფარგლებში, რომლებზეც ნათქვამია წინამდებარე მუხლში.
7. უმაღლესი წარმომადგენელი ან მის მიერ დანიშნული პირი ესწრება ერთობლივი სამხედრო კომისიის სხდომებს და იძლევა რეკომენდაციებს, განსაკუთრებით სამხედრო-პოლიტიკური ხასიათისას. უმაღლესი წარმომადგენლის მიერ წარვლენილნი, ასევე, ესწრებიან ერთობლივი სამხედრო კომისიის დამხმარე კომისიების სხდომებს, როგორც ამაზე ნათქვამია საერთო ჩარჩო შეთანხმების დანართი 1A-ს VIII მუხლის მე-8 პუნქტში.
8. უმაღლესი წარმომადგენელს, ასევე, შეუძლია შექმნას სხვა სამო-

ქალაქო კომისიები ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფარგლებში ან მის ფარგლებს გარეთ თავისი მანდატის განსახორციელებლად.

9. უმაღლესი წარმომადგენელი არ ფლობს ძალაუფლებასზე და არანაირად არ ერევა სამხედრო ოპერაციების ჩატარებაში ან IFOR-ის დაქვემდებარების წესში.

## მუხლი III

### პერსონალის დაკომპლექტება

1. უმაღლესი წარმომადგენელი ნიშნავს პერსონალს, რომელიც, მისივე გადაწყვეტილებით, აუცილებელია დასახული ამოცანების გადაჭრის უზრუნველსაყოფად.
2. მხარეები ხელს უწყობენ უმაღლესი წარმომადგენლის საქმიანობის განხორციელებას ბოსნიისა და ჰერცეგოვინაში, მათ შორის ტრანსპორტთან, სურსათთან, განთავსებასთან, კავშირგაბმულობასა და სხვა მომსახურებასთან მიმართებით წამოჭრილ მოთხოვნასთან დაკავშირებით;
3. უმაღლესი წარმომადგენელი სარგებლობს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კანონმდებლობის ფარგლებში ისეთი სამართალსუბიექტურობით, რომელიც შეიძლება აუცილებელი გახდეს მის მიერ თავისი ფუნქციების შესასრულებლად, მათ შორის კონტრაქტების დადების, და, ასევე, მოძრავი და უძრავი ქონების შეძენისა და განკარგვის უფლებით.
4. მინიჭებული პრივილეგიები და იმუნიტეტი:
  - ა) მხარეები სთავაზობენ უმაღლესი წარმომადგენლის სამართავლოს ისეთივე პრივილეგიებსა და იმუნიტეტს, როგორც ვრცელდება დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და მის შენობაზე, არქივებსა და სხვა ქონებაზე, დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის თანახმად.

- ბ) მხარეები სთავაზობენ უმაღლეს წარმომადგენელსა და მის თანამშრომლებს, ასევე, მათ ოჯახებს ისეთივე პრივილეგიებსა და იმუნიტეტს, რომლითაც სარგებლობენ დიპლომატიური აგენტები და მათი ოჯახები, დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის თანახმად.
- გ) მხარეები სთავაზობენ უმაღლესი წარმომადგენლის სხვა თანამშრომლებსა და მათ ოჯახებს ისეთივე პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, რომლითაც სარგებლობენ ადმინისტრაციულ-ტექნიკური თანამშრომლები და მათი ოჯახები, დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის თანახმად.

## **მუხლი IV**

### **თანამშრომლობა**

მხარეები სრულფასოვნად თანამშრომლობენ უმაღლეს წარმომადგენელსა და მის პერსონალთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებთან, როგორც ამაზე ნათქვამია საერთო ჩარჩო შეთანხმების IX მუხლში.

## **მუხლი V**

### **საბოლოო გადაწყვეტილება**

### **განმარტებასთან მიმართებით**






უმაღლეს წარმომადგენელს ადგილზე გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება მშვიდობიანი დარეგულირების სამოქალაქო ასპექტების განხორციელების შესახებ წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან მიმართებით.

# მუხლი VI

## ქალაქი უესკლა

წინამდებარე შეთანხმება ქალაქი უედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

**ხელს აწერენ:** ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რესპუბლიკა სრპსკა.

	For the Republic of Bosnia and Herzegovina	
		
For the Republic of Croatia		For the Federal Republic of Yugoslavia
		
For the Federation of Bosnia and Herzegovina		For the Republika Srpska
		

**შეთანხმება საგანგებო საერთაშორისო  
საპოლიციო ძალების შესახებ**

რესპუბლიკა ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია და რესპუბლიკა სრპსკა („მხარეები“) შეთანხმდნენ შემდეგზე:

**მუხლი I**

**სამოქალაქო სამართალდაცვითი  
საქმიანობა**

1. როგორც ეს გათვალისწინებულია საერთო ჩარჩო კონვენციის მე-4 დანართის შესაბამისად შეთანხმებული კონსტიტუციის III მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში, მხარეები უზრუნველყოფენ უსაფრთხო და საიმედო პირობებს ყველა პირისათვის მათ შესაბამის იურისდიქციაში იმ სამოქალაქო სამართალდაცვითი დაწესებულებების შენახვის გზით, რომლებიც მოქმედებენ საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებთან შესაბამისობაში და იცავენ ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს, და სხვა შესაფერისი ზომების მიღების გზით.
2. მხარეები მათ მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულებაში დახმარების მიღების მიზნით მიმართავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თხოვნით, უშიშროების საბჭოს გადამწყვეტილების საფუძველზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოქალაქო პოლიციის ოპერაციის ფარგლებში შექმნას საგანგებო საერთაშორისო საპოლიციო ძალები (სსსძ — Iჭთქ)

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე დახმარების პროგრამის განსახორციელებლად, III მუხლის შესაბამისად.

## მუხლი II

### საგანგებო საერთაშორისო საპოლიციო

### ქალაქის შექმნა

1. სსსძ-ები თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას უნდა იყვნენ ავტონომიური, წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად. მათი საქმიანობა კოორდინირებული იქნება უმაღლესი წარმომადგენლის მიერ, რაზეც ნათქვამია საერთო ჩარჩო შეთანხმების მე-10 დანართში.
2. სსსძ-ებს უხელმძღვანელებს კომისარი, რომელსაც ნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უშიშროების საბჭოსთან კონსულტაციების მეშვეობით. ის კომპლექტდება ისეთი პირებისგან, რომლებიც მაღალი მორალური თვისებებით ხასიათდებიან და აქვთ სამართალდაცვითი საქმიანობის გამოცდილება. სსსძ-ის კომისარს შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს პერსონალი, რესურსები და დახმარება სახელმწიფოთა და საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან.
3. სსსძ-ის კომისარი მითითებებს უმაღლესი წარმომადგენლისგან იღებს.
4. სსსძ-ის კომისარი პერიოდულად წარადგენს მოხსენებებს უმაღლეს წარმომადგენელს ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან. ასევე, წარუდგენს ინფორმაციას IFOR-ის მეთაურს და სხვა ინსტიტუტებსა და დაწესებულებებს, თუ ამას საჭიროდ დაინახავს.

5. სსსძ მოქმედებენ საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დაცვით ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის საფუძველზე და პატივისცემით ეკიდებიან მასპინძელი ქვეყნის კანონებსა და წეს-ჩვეულებებს.
6. მხარეები მიანიჭებენ კომისარს, სსსძ-ის პერსონალს, მათ ოჯახებს ისეთ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, რომლებზეც ნათქვამია 1946 წლის გაერთიანებული ერების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ კონვენციის მე-18 და მე-19 ნაწილებში. კერძოდ, ისინი სარგებლობენ ხელშეუხებლობით, არ ექვემდებარებიან პატიმრობას ან დაკავებას არანაირი ფორმით და აქვთ აბსოლუტური იმუნიტეტი სისხლის სამართლის იურისდიქციისაგან. სსსძ-ის პერსონალზე სასჯელები და სანქციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და სხვა სახელმწიფოთა გამოყენებაში მყოფი კანონებისა და წესების ფარგლებში ვრცელდება.
7. სსსძ-ისა და მისი შენობის, არქივებისა და სხვა ქონების მიმართ მოქმედებს იგივე პრივილეგიები და იმუნიტეტები, მათ შორის ხელშეუხებლობა, რომელზეც ნათქვამია 1946 წლის გაერთიანებული ერების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ კონვენციის II და III მუხლებში.
8. უმაღლესი წარმომადგენლის მიერ სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების და IFOR-ის საქმიანობასთან სსსძ-ის საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით სსსძ-ის კომისარი და მისი წარმომადგენლები, შეიძლება, ესწრებოდნენ ერთობლივი სამოქალაქო კომისიის სხდომებს, რომლის შექმნაზე ნათქვამია საერთო ჩარჩო შეთანხმების მე-10 დანართში და ერთობლივი სამხედრო კომისიის სხდომებს, რომლის შექმნაზე ნათქვამია 1-ელ დანართში, და, ასევე, მათი დამხმარე კომისიების სხდომებს. სსსძ-ის კომისარს შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი კომისიების სხდომის მონვენვა მისი საქმიანობის

სფეროში შემავალი კითხვების განსახილველად.

### **მუხლი III**

## **საგანგებო საერთაშორისო საპოლიციო ქალაქის დახმარების პროგრამა**

1. სსსძ-ის მხრიდან განეული დახმარება მოიცავს შემდეგ ელემენტებს, რომლებიც უნდა იყოს კომისრის მიერ შემუშავებული და განხორციელებული პროგრამაში, სსსძ-ის გაეროს უშიშროების საბჭოს გადანყვეტილების შესაბამისად (რომელზეც ნათქვამია 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტში):
  - ა) სამართალდაცვითი საქმიანობა და ობიექტების, მათ შორის შესაბამისი სასამართლო ორგანიზაციების, სტრუქტურებისა და პროცედურების მონიტორინგი, დაკვირვება და შემონიშნება;
  - ბ) სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა და ძალთა კონსულტირება;
  - გ) სამართალდამცავი ორგანოების პერსონალის მომზადება;
  - დ) მხარეთა მიერ სამართალდაცვითი საქმიანობის განხორციელებაში ხელშეწყობა სსსძ-ის დახმარების განევის მისიის ფარგლებში;
  - ე) საზოგადოებრივი ნესრიგის საფრთხეების შეფასება და კონსულტირება ასეთ საფრთხეებთან სამართალდამცავი ორგანოების გამკლავების უნართან მიმართებით;
  - ვ) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ხელისუფლების ორგანოებისათვის კონსულტაციების განევა ეფექტიანი სამოქალაქო სამართალდამცავი ორგანოების ორგანიზებასთან დაკავშირებით;
  - ზ) მხარეთა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელ-



თათვის დახმარების განევა მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, თუ სსსძ ამას აუცილებლად მიიჩნევს.

2. 1-ელ პუნქტში გადმოცემულ დახმარების პროგრამის ელემენტებთან ერთად სსსძ, თავისი ვალდებულებებისა და რესურსების თანახმად, განიხილავს მხარეთა ან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სამართალდამცავი ორგანოების თხოვნებს დახმარების განევის შესახებ, რაზედაც ნათქვამია 1-ელ პუნქტში.
3. მხარეები ადასტურებენ თავიანთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად სოციალური პირობების არსებობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საერთაშორისო პერსონალის დაცვაზე ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში იმ არჩევნებთან დაკავშირებით, რომლებზეც ნათქვამია საერთო ჩარჩო შეთანხმების მე-3 დანართში. ისინი სთხოვენ სსსძ-ს, რათა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმოს მხარეთა ხელშეწყობას ამ ვალდებულების შესრულებაში.

## **მუხლი IV**

### **მხარეთა კონკრეტული ვალდებულებები**

1. მხარეები სრულფასოვნად თანამშრომლობენ სსსძ-თან და შესაბამის ინსტრუქციებს აძლევენ ყველა სამართალდამცავ ორგანოს.
2. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან 30-დღიან ვადაში მხარეები წარუდგენენ სსსძ-ს კომისარს ან მის მიერ დანიშნულ პირს ინფორმაციას თავიანთსამართალდამცავი ორგანოების, მათ შორის, მათი რიცხოვრივი შემადგენლობის, ადგილმდებარეობისა და საორგანიზაციო სტრუქტურის შესახებ. სსსძ-ის კომისარის თხოვნით, ისინი დამატებით ინფორმაციას წარად-

გენენ, მათ შორის მასალებს სამართალდამცავი ორგანოებისა და პერსონალის მომზადების, ოპერატიული საქმიანობისა თუ დასაქმების შესახებ, ასევე, მათი ნამსახურობის ნუსხას.

3. მხარეები არ უშლიან ხელს სსსძ-ის პერსონალის გადაადგილებას და არანაირად არ უქმნიან დაბრკოლებებს, სირთულეებსა თუ შეფერხებებს მათ თავიანთი ვალდებულებების შესრულებაში. ისინი ნებას რთავენ სსსძ-ის პერსონალს, დაუყოვნებელი და სრული წვდომა ჰქონდეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ნებისმიერ ადგილთან, პირთან, ღონისძიებასთან, პროცესთან, დოკუმენტთან ან რაიმე სხვა ობიექტსა თუ მოვლენასთან მიმართებით, რომელსაც მოითხოვს სსსძ წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებით თავისი ვალდებულებების განხორციელებისას. ეს მოიცავს ნებისმიერი იმ ადგილის ან ობიექტის გაკონტროლების, დაკვირვების და შემოწმების უფლებას, რომელზეც, მათი აზრით, ხორციელდება საპოლიციო ღონისძიებები, სამართალდაცვითი ქმედებები, დაკავება ან სასამართლო საქმიანობა.
4. სსსძ-ის თხოვნით, მხარეები გამოყოფენ მომზადებისათვის კვალიფიციურ პერსონალს, რომელიც ასეთი მომზადების შემდეგ უმაღვე უნდა შეუდგეს სამართალდაცვითი მოვალეობების შესრულებას.
5. მხარეები ხელს უწყობენ სსსძ-ის ოპერაციების განხორციელებას ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, მათ შორის, აუცილებელი დახმარების განწვევის გზით ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სხვა მომსახურებათა განთავსებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე.

## მუხლი V

### თანამშრომლობისაგან თავის არიდება

1. ნებისმიერი დაბრკოლება და ჩარევა სსსძ-ის საქმიანობაში, სსსძ-ის მხრიდან თხოვნის შეუსრულებლობა ან შესრულებაზე უარის თქმა, ან მხარის მიერ წინამდებარე შეთანხმების მოვალეობების ან სხვა ვალდებულებების სხვაგვარი შეუსრულებლობა სსსძ-სთან თანამშრომლობისგან თავის არიდებაა.
2. სსსძ-ის კომისარი შეატყობინებს უმაღლეს წარმომადგენელს და ინფორმაციას მიაწვდის IFOR -ის მეთაურს სსსძ-სთან თანამშრომლობისგან თავის არიდების შემთხვევების შესახებ. სსსძ-ის კომისარმა, შეიძლება, სთხოვოს უმაღლეს წარმომადგენელს გადადგას აუცილებელი ნაბიჯები მსგავსი შეტყობინებების მიღების შემდეგ, მათ შორის, მხარეთა ყურადღება მიაპყროს ასეთ შემთხვევებზე, მოიწვიოს ერთობლივი სამოქალაქო კომისია და კონსულტაციები ჩაატაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, შესაბამის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მომდევნო საპასუხო ზომების თაობაზე.

## მუხლი VI

### ადამიანის უფლებები

1. როდესაც სსსძ-ის პერსონალი უტყუარ ინფორმაციას ლეზლობს ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებათა ან ძირითად თავისუფლებათა დარღვევებისა ან მსგავს დარღვევებში თანამდებობის პირთა თუ სამართალდამცავი ორგანოების ქვედანაყოფთა როლის შესახებ, ის წარუდგენს აღნიშნულ ინ-

ფორმაციას ადამიანის უფლებათა კომისიას, რომლის შექმნის შესახებ ნათქვამია საერთო ჩარჩო შეთანხმების მე-6 დანართში, ასევე, ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალს და სხვა შესაბამის ორგანიზაციებს.

2. გამოძიებების ჩატარებისას მხარეები თანამშრომლობენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებსა და თანამდებობის პირებთან 1-ელ პუნქტში მითითებული ორგანიზაციების გავლით.

## **მუხლი VII**

### **გამოყენება**

წინამდებარე შეთანხმება გამოიყენება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთელ ტერიტორიაზე ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სამართალდამცავი ორგანოებისა და ამ ორგანოთა პერსონალის, და, ასევე, ნებისმიერი მათი დაწესებულების, ქვედანაყოფისა თუ მექანიზმის მიმართ. სამართალდამცავი ორგანოებია ის ორგანოები, რომელთა მანდატი მოიცავს სამართალწესრიგის დაცვას, გამოძიებათა ჩატარებას, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრების დაცვას, დაკავებას ან სასამართლო საქმიანობას.

## **მუხლი VIII**

### **ძალაში შესვლა**

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

ხელს აწერენ: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ბოსნი-  
ისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რესპუბლიკა სრპსკა.

For the Republic of  
Bosnia and Herzegovina

A. J.

For the Federation of  
Bosnia and Herzegovina

JP

For the Republika Srpska

Mr. Mr.

# **შეთანხმება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების პარაფირების თაობაზე**

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა და იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა („მხარეები“):

ალიარებენ რა ყოველმხრივი დარეგულირების აუცილებლობას ამ რეგიონში ტრაგიკული კონფლიქტისთვის ბოლოს მოღების მიზნით,

მიესალმებიან რა ოჰაიოს შტატში, სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაზე ჩატარებულ მშვიდობიან მოლაპარაკებებში მიღწეულ პროგრესს, სურთ რა ხელი შეუწყონ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის და ზოგადად რეგიონში მშვიდობასა და კეთილდღეობას, თანხმდებიან შემდეგზე:

## **მუხლი I**

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმებასა და მის დანართებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები დასრულებულია. მხარეები და წარმონაქმნები ვალდებულია იღებენ, ხელი მოაწერონ ამ შეთანხმებას პარიზში მისი ამჟამინდელი სახით, III მუხლის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს მათ ძალაში შესვლასა და თარიღს და ეს შეთანხმებები პრაქტიკულად დაინყებს განხორციელებას.

## **მუხლი II**

წინამდებარე შეთანხმებით, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების თითოეული პაკეტის და მისი დანართების პარაფირება დღესდღეობით წარმოადგენს მხარე-

თა და წარმონაქმნთა თანხმობას, თავის თავზე აიღონ ამ შეთანხმების შესაბამისი ვალდებულებები.

### მუხლი III

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერამდე პარიზში დანართები შეიძლება გადაინომროს აუცილებელი შესაბამისი ცვლილებების შეტანის გამო.


### მუხლი IV

#### ძალაში შესვლა

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შესრულებულია რაიტ-პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაზე, ოჰაიოში, 1995 წლის 21 ნოემბერს ინგლისურ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად.

**ხელს აწერენ:** ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა, ოიგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა.



იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციას,  
პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩს,  
იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციის  
მეთაურს,

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

მოგმართავთ სამშვიდობო შეთანხმების და იმ დოკუმენტების  
თაობაზე, რომლებიც უნდა იყოს პარაფირებული ოპაიოში გამართუ-  
ლი სამშვიდობო მოლაპარაკებების დასასრულს. ვინაიდან მისაღებად  
მომზადებულ რიგ დოკუმენტებში დაცულია თხოვნა იმის შესახებ,  
რომ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა გახდეს იმ ვალ-  
დებულებათა გარანტი, რომელსაც იღებს თავის თავზე რესპუბლიკა  
სრპსკის სამშვიდობო პროცესის ფარგლებში. გთხოვთ, იუგოსლავი-  
ის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით თავის თავზე აიღოთ იმის  
საგარანტიო როლი, რომ რესპუბლიკა სრპსკა შეასრულებს მის მიერ  
აღებულ ყველა ვალდებულებას.

რესპუბლიკა სრპსკის დელეგაცია:  
მომჩილო კრაიშნიკი  
ნიკოლა კოლევჩიჩი  
ალექსა ბუხა  
დეიტონი, 1995 წლის 20 ნოემბერი

Delegacija Republike Srpske:

- Momčilo Krajišnik

- Nikola Koljević

- Aleksa Buha




ხორვატიის რესპუბლიკა  
საგარეო საქმეთა სამინისტრო  
მინისტრი  
დეიტონი, 1995 წლის 21 ნოემბერი

ფრიად პატივცემულ  
კლაუს კინკელს,  
საგარეო საქმეთა ფედერალურ მინისტრს,  
ბონი

პატივცემულო ბატონო მინისტრო,

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ას-  
პექტების შესახებ შეთანხმებაზე და წარმონაქმნებს შორის გამი-  
ჯვნის ხაზებსა და ამასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ შე-  
თანხმებაზე, რომლებიც წარმოადგენენ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში  
მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართსა  
და მე-2 დანართს. ხორვატიის რესპუბლიკამ მოიწონა ორივე ეს  
შეთანხმება.

ხორვატიის რესპუბლიკის სახელით მინდა დაგარწმუნოთ, რომ  
ხორვატიის რესპუბლიკა ყველა აუცილებელ ზომას მიმართავს იმის  
უზრუნველსაყოფად, რათა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში თავის კონ-  
ტროლს დაქვემდებარებულმა პერსონალმა და ორგანიზაციებმა  
ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერი-  
ტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გათ-  
ვალისწინებით სრულად დაიცვან და პატივი სცენ ზემოთ ნახსენები  
დანართების დებულებებს.

პატივისცემით,  
მათე გრანიჩი  
Mate Granic  


სორვატიის რესპუბლიკა  
საგარეო საქმეთა სამინისტრო  
მინისტრი  
დაიტონი, 1995 წლის 21 ნოემბერი

ფრიად პატივცემულ  
ერვე დე შარეტს,  
საგარეო საქმეთა მინისტრს,  
პარიზი

პატივცემულო ბატონო მინისტრო,

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ას-  
პექტების შესახებ შეთანხმებასა და წარმონაქმნებს შორის ხაზების  
გამიჯვნის შეთანხმებაზე და ამასთან დაკავშირებული საკითხების  
შესახებ, რომლებიც წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშ-  
ვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართსა  
და მე-2 დანართს. ხორვატიის რესპუბლიკამ მოიწონა ორივე ეს  
შეთანხმება.

ხორვატიის რესპუბლიკის სახელით მინდა დაგარწმუნოთ, რომ  
ხორვატიის რესპუბლიკა ყველა აუცილებელ ზომას მიმართავს იმის  
უზრუნველსაყოფად, რათა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში თავის კონ-  
ტროლს დაქვემდებარებულმა პერსონალმა და ორგანიზაციებმა,  
ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერი-  
ტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გათ-  
ვალისწინებით სრულად დაიცვან და პატივი სცენ ზემოთ ნახსენები  
დანართების დებულებებს.

პატივისცემით,  
მათე გრანიჩი

Mate Granic




ხორვატიის რესპუბლიკა  
საგარეო საქმეთა სამინისტრო  
მინისტრი  
დეიტონი, 1995 წლის 21 ნოემბერი

ფრიად პატივცემულ  
ანდრეი კოზირევს,  
საგარეო საქმეთა მინისტრს,  
მოსკოვი

პატივცემულო ბატონო მინისტრო,

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ას-  
პექტების შესახებ შეთანხმებასა და წარმონაქმნებს შორის ხაზების  
გამიჯვნის შეთანხმებაზე და ამასთან დაკავშირებული საკითხების  
შესახებ, რომლებიც წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშ-  
ვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართსა  
და მე-2 დანართს. ხორვატიის რესპუბლიკამ მოიწონა ორივე ეს  
შეთანხმება.

ხორვატიის რესპუბლიკის სახელით მინდა დაგარწმუნოთ, რომ  
ხორვატიის რესპუბლიკა ყველა აუცილებელ ზომას მიმართავს იმის  
უზრუნველსაყოფად, რათა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში თავის კონ-  
ტროლს დაქვემდებარებულმა პერსონალმა და ორგანიზაციებმა,  
ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერი-  
ტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გათ-  
ვალისწინებით სრულად დაიცვან და პატივი სცენ ზემოთ ნახსენები  
დანართების დებულებებს.

პატივისცემით,  
მათი გრანიჩი  
Mate Granic  


ხორვატიის რესპუბლიკა  
საგარეო საქმეთა სამინისტრო  
მინისტრი

დეიტონი, 1995 წლის 21 ნოემბერი

ფრიად პატივცემულ მალკოლმ რიფკინდს,  
სამეფო ადვოკატს, პარლამენტის წევრს,  
ლონდონი

პატივცემულო ბატონო მდივანო,

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ას-  
პექტების შესახებ შეთანხმებასა და წარმონაქმნებს შორის ხაზების  
გამიჯვნის შეთანხმებაზე და ამასთან დაკავშირებული საკითხების  
შესახებ, რომლებიც წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშ-  
ვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართსა  
და მე-2 დანართს. ხორვატიის რესპუბლიკამ მოინონა ორივე ეს  
შეთანხმება.

ხორვატიის რესპუბლიკის სახელით მინდა დაგარწმუნოთ, რომ  
ხორვატიის რესპუბლიკა ყველა აუცილებელ ზომას მიმართავს იმის  
უზრუნველსაყოფად, რათა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში თავის კონ-  
ტროლს დაქვემდებარებულმა პერსონალმა და ორგანიზაციებმა,  
ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერი-  
ტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გათ-  
ვალისწინებით სრულად დაიცვან და პატივი სცენ ზემოთ ნახსენები  
დანართების დებულებებს.

პატივისცემით,  
მათე გრანიჩი

Mate Granic



ხორვატიის რესპუბლიკა  
საგარეო საქმეთა სამინისტრო  
მინისტრი

დეიტონი, 1995 წლის 21 ნოემბერი


პატივცემულ უორენ კრისტოფერს,  
სახელმწიფო მდივანს,  
ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი

პატივცემულო ბატონო მდივანო,

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ას-  
პექტების შესახებ შეთანხმებასა და წარმონაქმნებს შორის ხაზების  
გამიჯვნის შეთანხმებაზე და ამასთან დაკავშირებული საკითხების  
შესახებ, რომლებიც წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშ-  
ვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართსა  
და მე-2 დანართს. ხორვატიის რესპუბლიკამ მოინონა ორივე ეს  
შეთანხმება.

ხორვატიის რესპუბლიკის სახელით მინდა დაგარწმუნოთ, რომ  
ხორვატიის რესპუბლიკა ყველა აუცილებელ ზომას მიმართავს იმის  
უზრუნველსაყოფად, რათა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში თავის კონ-  
ტროლს დაქვემდებარებულმა პერსონალმა და ორგანიზაციებმა,  
ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერი-  
ტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გათ-  
ვალისწინებით სრულად დაიცვან და პატივი სცენ ზემოთ ნახსენები  
დანართების დებულებებს.

პატივისცემით,  
მათე გრანიჩი

Mate Granic  


იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა  
1995 წლის 21 ნოემბერი

პატივცემულ კლაუს კინკელს,  
საგარეო საქმეთა ფედერალურ მინისტრს,  
ბონი

პატივცემულო ბატონო მინისტრო,

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ას-  
პექტების შესახებ შეთანხმებასა და წარმონაქმნებს შორის ხაზების  
გამიჯვნის შეთანხმებაზე და ამასთან დაკავშირებული საკითხების  
შესახებ, რომლებიც წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშ-  
ვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართსა და  
მე-2 დანართს. იუგოსლავიის ფედერალურმა რესპუბლიკამ მოიწონა  
ორივე ეს შეთანხმება.

იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის სახელით მინდა  
დაგარწმუნოთ, რომ იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა  
ყველა აუცილებელ ზომას მიმართავს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის  
რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და  
პოლიტიკური დამოუკიდებლობის გათვალისწინებით სრულად და-  
იცვას და პატივი სცეს ზემოთ ნახსენები დანართების დებულებებს.

პატივისცემით,  
მილან მილუტინოვიჩი

Sincerely,  
  
Milan Milutinovic

იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა  
1995 წლის 21 ნოემბერი

პატივცემულ ერვე დე შარეტს,  
საგარეო საქმეთა მინისტრს,  
პარიზი

პატივცემულო ბატონო მინისტრო,

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ას-  
პექტების შესახებ შეთანხმებასა და წარმონაქმნებს შორის ხაზების  
გამიჯვნის შეთანხმებაზე და ამასთან დაკავშირებული საკითხების  
შესახებ, რომლებიც წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშ-  
ვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართსა და  
მე-2 დანართს. იუგოსლავიის ფედერალურმა რესპუბლიკამ მოიწონა  
ორივე ეს შეთანხმება.

იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის სახელით მინდა  
დაგარწმუნოთ, რომ იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა  
ყველა აუცილებელ ზომას მიმართავს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის  
რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და  
პოლიტიკური დამოუკიდებლობის გათვალისწინებით სრულად და-  
იცვას და პატივი სცეს ზემოთ ნახსენები დანართების დებულებებს.

პატივისცემით,  
მილან მილუტინოვიჩი

Sincerely,  
  
Milan Milutinovic

იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა  
1995 წლის 21 ნოემბერი

ფრიად პატივცემულ ანდრეი კოზირევს,  
საგარეო საქმეთა მინისტრს,  
მოსკოვი

**პატივცემულო ბატონო მინისტრო,**

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ას-  
პექტების შესახებ შეთანხმებასა და წარმონაქმნებს შორის ხაზების  
გამიჯვნის შეთანხმებაზე და ამასთან დაკავშირებული საკითხების  
შესახებ, რომლებიც წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშ-  
ვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართსა და  
მე-2 დანართს. იუგოსლავიის ფედერალურმა რესპუბლიკამ მოიწონა  
ორივე ეს შეთანხმება.

იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის სახელით მინდა  
დაგარწმუნოთ, რომ იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა  
ყველა აუცილებელ ზომას მიმართავს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის  
რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და  
პოლიტიკური დამოუკიდებლობის გათვალისწინებით სრულად და-  
იცვას და პატივი სცეს ზემოთ ნახსენები დანართების დებულებებს.

**პატივისცემით,  
მილან მილუტინოვიჩი**

Sincerely,  
  
Milan Milutinovic



იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა  
1995 წლის 21 ნოემბერი

ფრიად პატივცემულ  
მალკოლმ რიფკინდს,  
სამეფო ადვოკატს, პარლამენტის წევრს  
ლონდონი

პატივცემულო ბატონო მინისტრო,

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ას-  
პექტების შესახებ შეთანხმებასა და წარმონაქმნებს შორის ხაზების  
გამიჯვნის შეთანხმებაზე და ამასთან დაკავშირებული საკითხების  
შესახებ, რომლებიც წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშ-  
ვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართსა და  
მე-2 დანართს. იუგოსლავიის ფედერალურმა რესპუბლიკამ მოიწონა  
ორივე ეს შეთანხმება.

იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის სახელით მინდა  
დაგარწმუნოთ, რომ იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა  
ყველა აუცილებელ ზომას მიმართავს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის  
რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და  
პოლიტიკური დამოუკიდებლობის გათვალისწინებით სრულად და-  
იცვას და პატივი სცეს ზემოთ ნახსენები დანართების დებულებებს.

პატივისცემით,  
მილან მილუტინოვიჩი

Sincerely,  
  
Milan Milutinovic

**იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა**

**1995 წლის 21 ნოემბერი**

**პატივცემულ უორენ კრისტოფერს,  
სახელმწიფო მდივანს,  
ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი**

**პატივცემულო ბატონო მინისტრო,**

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ასპექტების შესახებ შეთანხმებასა და წარმონაქმნებს შორის ხაზების გამიჯვნის შეთანხმებაზე და ამასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, რომლებიც წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართსა და მე-2 დანართს. იუგოსლავიის ფედერალურმა რესპუბლიკამ მოიწონა ორივე ეს შეთანხმება.

იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის სახელით მინდა დაგარწმუნოთ, რომ იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა ყველა აუცილებელ ზომას მიმართავს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გათვალისწინებით სრულად დაიცვას და პატივი სცეს ზემოთ ნახსენები დანართების დებულებებს.

**პატივისცემით,  
მილან მილუტინოვიჩი**

Sincerely,  
  
Milan Milutinovic

რესპუბლიკა ხორვატია  
საგარეო საქმეთა სამინისტრო  
მინისტრი  
დეიტონი, 1995 წლის 21 ნოემბერი


მის აღმატებულებას ბუტროს ბუტროს-გალის,  
გენერალურ მდივანს,  
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია,  
ნიუ-იორკი

**პატივცემულო ბატონო გენერალურო მდივანო,**

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ასპექტების შეთანხმების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართს. ვაღიარებ რა საყოველთაო მშვიდობიანი დარეგულირების მნიშვნელობას რეგიონში ტრაგიკული კონფლიქტის შეწყვეტისათვის, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ შემდეგი ვალდებულება ამ მიზნის მიღწევის ხელშესაწყობად.

ხორვატიის რესპუბლიკის სახელით მინდა დავარწმუნო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომ შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით მრავალეროვნული სამხედრო ძალების (IFOR) მისიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, რაც ნათქვამია 1-ელ (ა) დანართში, ხორვატიის რესპუბლიკა მკაცრად შეიკავებს თავს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ნებისმიერი შეიარაღებული ძალების ან სამხედრო პოტენციალის მქონე სხვა პერსონალის შეყვანისა და იქ აღნიშულის შენარჩუნებისაგან.

**პატივისცემით,  
მათა გრანიჩი**

Mate Granic  


რესპუბლიკა ხორვატია  
საგარეო საქმეთა სამინისტრო  
მინისტრი

დეიტონი, 1995 წლის 21 ნოემბერი

მის აღმატებულებას


სერჯო სილვიო ბალანცინოს,  
გენერალური მდივნის მოვალეობების შემსრულებელს,  
ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია,  
ბრიუსელი

პატივცემულო ბატონო გენერალური მდივანო,

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ასპექტების შეთანხმების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართს. ვაღიარებ რა საყოველთაო მშვიდობიანი დარეგულირების მნიშვნელობას რეგიონში ტრაგიკული კონფლიქტის შეწყვეტისათვის, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ შემდეგი ვალდებულება ამ მიზნის მიღწევის ხელშესაწყობად.

ხორვატიის რესპუბლიკის სახელით მინდა დავარწმუნო ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომ შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით მრავალეროვნული სამხედრო ძალების (IFOR) მისიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, რაც ნათქვამია 1-ელ (ა) დანართში, ხორვატიის რესპუბლიკა მკაცრად შეიკავებს თავს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ნებისმიერი შეიარაღებული ძალების ან სამხედრო პოტენციალის მქონე სხვა პერსონალის შეყვანისა და იქ აღნიშულის შენარჩუნებისაგან.

პატივისცემით,  
მათე გრანიჩი

Mate Granic  



1995 წლის 21 ნოემბერი  
მის აღმატებულებას ბუტროს ბუტროს-გალის,  
გენერალურ მდივანს,  
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია,  
ნიუ-იორკი

**პატივცემულო ბატონო გენერალურო მდივანო,**

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ასპექტების შეთანხმების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართს. ვაღიარებ რა საყოველთაო მშვიდობიანი დარეგულირების მნიშვნელობას რეგიონში ტრაგიკული კონფლიქტის შეწყვეტისათვის, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ შემდეგი ვალდებულება ამ მიზნის მიღწევის ხელშესაწყობად.

იუგოსლავიის ფერედალური რესპუბლიკის სახელით მინდა დავარწმუნო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომ შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით მრავალეროვნული სამხედრო ძალების (IFOR) მისიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, რაც ნათქვამია 1-ელ (ა) დანართში, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა მკაცრად შეიკავებს თავს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ნებისმიერი შეიარაღებული ძალების ან სამხედრო პოტენციალის მქონე სხვა პერსონალის შეყვანისა და იქ აღნიშულის შენარჩუნებისაგან.

პატივისცემით,  
მილან მილუტინოვიჩი  
საგარეო საქმეთა მინისტრი  
იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა

Sincerely,  
  
Milan Milutinovic  
Minister of Foreign Affairs  
Federal Republic of Yugoslavia

1995 წლის 21 ნოემბერი


მის აღმატებულებას სერჯო სილვიო ბალანცინოს,  
გენერალური მდივნის მოვალეობების შემსრულებელს,  
ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია,  
ბრიუსელი

პატივცემულო ბატონო გენერალური მდივანო,

მოგმართავთ მშვიდობიანი დარეგულირების სამხედრო ასპექტების შეთანხმების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების 1-ელ (ა) დანართს. ვაღიარებ რა საყოველთაო მშვიდობიანი დარეგულირების მნიშვნელობას რეგიონში ტრაგიკული კონფლიქტის შეწყვეტისათვის, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ შემდეგი ვალდებულება ამ მიზნის მიღწევის ხელშესაწყობად.

იუგოსლავიის ფერედალური რესპუბლიკის სახელით მინდა დავარწმუნო ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომ შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით მრავალეროვნული სამხედრო ძალების (IFOR) მისიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, რაც ნათქვამია 1-ელ (ა) დანართში, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა მკაცრად შეიკავებს თავს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ნებისმიერი შეიარაღებული ძალების ან სამხედრო პოტენციალის მქონე სხვა პერსონალის შეყვანისა და იქ აღნიშულის შენარჩუნებისაგან.

პატივისცემით,  
მილან მილუტინოვიჩი  
საგარეო საქმეთა მინისტრი  
იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა

Sincerely,  
  
Milan Milutinovic  
Minister of Foreign Affairs  
Federal Republic of Yugoslavia

რაიტ-პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა, ოჰაიო  
1995 წლის 21 ნოემბერი

პატივცემულ უორენ კრისტოფერს,  
ამერიკის შეერთებული შტატების  
სახელმწიფო მდივანს

პატივცემულო ბატონო მდივანო,

მოვახდინე რა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების პარაფირება, განზრახული მქვს მივიღო ნდობის გამყარებასთან დაკავშირებული რიგი ზომები იუგოსლავიის ფედერალურ რესპუბლიკასა და ბოსნიასა და ჰერცეგოვინას შორის კონტაქტების განვითარებისა და მშვიდობიანი დარეგულირების მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით. ამ მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად მოხარული ვარ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთავრობისა და ხალხის სახელით განვაცხადო შემდეგი ვალდებულებების შესახებ.

**ყველა დაკავებული არამებრძოლის გათავისუფლების შესახებ.**

ყველა დაკავებული არამებრძოლი დაუყოვნებლივ იქნება გათავისუფლებული სამუშაო ბრიგადებიდან, დაკავების ადგილებიდან ან სხვა ოფიციალური თუ არაოფიციალური ფორმის პატიმრობიდან, როგორც ეს მითითებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1995 წლის 9 ნოემბრის რეზოლუციაში 1019. კონკრეტულად, ამ რეზოლუციის აღსრულების მიზნით დაკავებულთა ყველა ბანაკი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ დაიხურება, ხოლო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებს მიეცემათ ნება: 1) დაარეგისტრირონ ნებისმიერი პირი, რომელიც კავდება მისი ნების საწინააღმდეგოდ და 2) ჰქონდეს

წვდომა ნებისმიერ ადგილთან, რომელიც მან შეიძლება მნიშვნელოვნად მიიჩნოს.

### **საბაჟო კავშირი**

ჩემი მთავრობა, პირველ ყოვლისა, მიიღებს მონაწილეობას უფროსი ექსპერტების დონეზე თათბირებში საბაჟო პოლიტიკის შეთანხმებასთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის საბაჟო კავშირის შექმნის მიზნით.

### **პირდაპირი კავშირის ხაზი**

შეერთებული შტატების მიერ შემოთავაზებული ტექნიკური ხელშეწყობით ჩემი მთავრობა დაანებს სატელეფონო კავშირის პირდაპირ და საიმედო ხაზს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტსა და იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის პრეზიდენტს შორის.

### **პირდაპირი ფრენები**

ჩემი მთავრობა შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო დანებსეზულების მეშვეობით გასცემს სარაევოსა და ბელგრადს შორის პირდაპირი ფრენების ნებართვას. ცნობილია, რომ დაინტერესებული ქვეყნები აპირებენ საერთაშორისო ავიაკომპანიების ნახალისებას, რათა მათ ჩართონ ეს მარშრუტები თავიანთი ფრენების გრაფიკებში.

### **მაღალი დონის ვიზიტები**

მე ვკისრულობ ვალდებულებას უზრუნველყო ჩემი მთავრობის მიერ სარაევოსა და სხვა მნიშვნელოვან ადგილებში იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის თანამდებობის პირებისა და სხვა ცნობილი მოღვაწეებისათვის მაღალი დონის ვიზიტების პროგრამების ორგანიზაცია. რამდენადაც ვიცი, საკონტაქტო ჯგუფის წევრი ქვეყნების და სხვა დაინტერესებული ქვეყნების ელჩები საჭირო



დროს მიიღებენ მონაწილეობას შეხვედრებში როგორც საერთაშორისო არენაზე, ისე ქვეყნის შიგნით ორ ქვეყანას შორის კავშირების გამყარებისადმი ინტერესის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით.

### **ეკონომიკური განვითარება**

ჩემი მთავრობა აუცილებელ ზომებს მიიღებს ეკონომიკური ინტეგრაციისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ორმხრივი კომისიის დასაფუძნებლად ორი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, სამამულო და საერთაშორისო წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების განხორციელებაში ორმხრივი თანამშრომლობის მიზნით. კერძოდ, კომისია ნაახალისებს ერთობლივ დაფინანსებას, ერთობლივ სანარმოებსა და შესაბამის მრავალმხრივ მექანიზმებს ორივე ქვეყანაში ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის სექტორთა განვითარების მიზნით.

### **სავაჭრო პალატა**

ჩემი მთავრობა აქტიურ ძალისხმევას გამოიჩინებს ერთობლივი სავაჭრო პალატის შესაქმნელად ორივე ქვეყანაში ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, თითოეულ ქვეყანაში შესაბამისი სავაჭრო პალატების ღონისძიებების კოორდინაციის მეშვეობით, როდესაც ეს იქნება მიზანშეწონილი, და სხვა ქვეყნებში არსებულ სავაჭრო პალატებთან კონტაქტების ნახალისების გზით.

### **გაცვლა კულტურისა და განათლების სფეროში**

ჩემი მთავრობა აქტიურად განავითარებს სტუდენტურ გაცვლებს ორ ქვეყანას შორის, ასევე, გააკეთებს შემოთავაზებას სტუდენტთა კანდიდატურების გაერთიანებულ შტატებთან ერთობლივი გაცვლის პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. გარდა ამისა, შეერთებული შტატებისა და სხვა დაინტერესებული ქვეყნების მთავრობათა მხარდაჭერით ჩემი მთავრობა ნაახალისებს სამეცნიერო,

კულტურული, სპორტული, ახალგაზრდული და სხვა ჯგუფების ურთიერთვიზიტებს იუგოსლავიის ფედერალურ რესპუბლიკასა და ბოსნიასა და ჰერცეგოვინას შორის. ჩვენ მივიღებთ ყოველმხრივ აქტიურ მონაწილეობას კულტურისა და განათლების სფეროში გაცვლითი პროგრამების შემუშავების მიზნით ორმხრივი კომისიის შექმნაში.

### **სამხედრო გაცვლები**

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის და იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის მიერ შეთანხმებულ შეიარაღებაზე რეგიონული კონტროლისა და ნდობის გამყარების სამხედრო ზომების კონტექსტში ჩემი მთავრობა წაახალისებს ორივე ქვეყნის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა ურთიერთვიზიტებს გაცნობისა და კადრების გაცვლის მიზნით. ამ ვიზიტების მსვლელობისას შესწავლილი იქნება თითოეული ამ ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობასთან კავშირგაბმულობის განყოფილებების დანესების შესაძლებლობა.


### **გამოძიების კომისია**

ჩემი მთავრობა აქტიურად დაუჭერს მხარს საერთაშორისო კომისიის შექმნასა და მის საქმიანობას ყოფილ იუგოსლავიაში ახლახან მომხდარი კონფლიქტის გამოძიებასთან დაკავშირებით. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ კონფლიქტში ჩართული სახელმწიფოების მთავრობები, ასევე, ცნობილი საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც დაინიშნებიან ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებს შორის შეთანხმების საფუძველზე. კომისიის მანდატი მოიცავს ფაქტების დადგენას და, რაც შეიძლება, ფართო და ობიექტურ საფუძველზე სხვა აუცილებელი კვლევების ჩატარებას ახლახან მომხდარი კონფლიქტის მიზეზებთან, მსვლელობასა და შედეგებთან მიმართებით, და ამ სამუშაოს შედეგების მიხედვით მოხსენების მომზადებას, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარესა

და ორგანიზაციას წარედგინება. ჩემი მთავრობა სრულფასოვნად  
ითანამშრომლებს ამ კომისიასთან.

პატივისცემით,

ალია იზიტბეგოვიჩი  
ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის  
პრეზიდენტი



Sincerely,  
Alija Izetbegovic  
President of the Republic of  
Bosnia and Herzegovina

რაიტ-პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა, ოჰაიო  
1995 წლის 21 ნოემბერი

პატივცემულ უორენ კრისტოფერს,  
ამერიკის შეერთებული შტატების  
სახელმწიფო მდივანს

პატივცემულო ბატონო მდივანო,

მოვახდინე რა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმების პარაფირება, განზრახული მაქვს მივიღო ნდობის გამყარებასთან დაკავშირებული რიგი ზომები იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკასა და ბოსნია და ჰერცეგოვინას შორის კონტაქტების განვითარებისა და მშვიდობიანი დარეგულირების მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით. ამ მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად მოხარული ვარ, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთავრობისა და ხალხის სახელით განვაცხადო შემდეგი ვალდებულებების თაობაზე:

**ყველა დაკავებული არამებრძოლის გათავისუფლების შესახებ**

ყველა დაკავებული არამებრძოლი დაუყოვნებლივ იქნება გათავისუფლებული სამუშაო ბრიგადებიდან, დაკავების ადგილებიდან ან სხვა ოფიციალური თუ არაოფიციალური ფორმის პატიმრობიდან, როგორც ეს მითითებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1995 წლის 9 ნოემბრის რეზოლუციაში 1019. კონკრეტულად, ამ რეზოლუციის აღსრულების მიზნით დაკავებულთა ყველა ბანაკი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ დაიხურება, ხოლო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებს მიეცემათ ნება: 1) დაარეგისტრირონ ნებისმიერი პირი, რომელიც კავდება მისი ნების სანინააღმდეგოდ და 2) ჰქონდეთ წვდომა ნებისმიერ ადგილთან, რომელიც მათ, შეიძლება, მნიშვნელოვნად ჩათვალონ.

## **საბაჟო კავშირი**

ჩემი მთავრობა, უნინარეს ყოვლისა, მიიღებს მონაწილეობას უფროსი ექსპერტების დონეზე თათბირებში საბაჟო პოლიტიკის შეთანხმებასთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის საბაჟო კავშირის შექმნის მიზნით.

## **პირდაპირი კავშირის საზი**

შეერთებული შტატების მიერ შემოთავაზებული ტექნიკური ხელშეწყობით ჩემი მთავრობა დაანესებს სატელეფონო კავშირის პირდაპირ და საიმედო ხაზს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის და იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის პრეზიდენტს შორის.

## **პირდაპირი ურთიერთობები**

ჩემი მთავრობა შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო დანებს უზრუნველვებს მეშვეობით გასცემს სარაევოსა და ბელგრადს შორის პირდაპირი ფრენების ნებართვას. ცნობილია, რომ დაინტერესებული ქვეყნები აპირებენ საერთაშორისო ავიაკომპანიების ნახალისებას, რათა მათ ეს მარშრუტები თავიანთი ფრენების გრაფიკებში ჩართონ.

## **მაღალი დონის ვიზიტები**

ვკისრულობ ვალდებულებას, უზრუნველვყო ჩემი მთავრობის მიერ ბელგრადსა და სხვა მნიშვნელოვან ადგილებში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის თანამდებობის პირებისა და სხვა ცნობილი მოღვაწეებისათვის მაღალი დონის ვიზიტების პროგრამების ორგანიზაცია. რამდენადაც ვიცი, საკონტაქტო ჯგუფის წევრი ქვეყნების და სხვა დაინტერესებული ქვეყნების ელჩები საჭირო დროს მიიღებენ მონაწილეობას შეხვედრებში როგორც საერთაშორისო არენაზე, ისე ქვეყნის შიგნით ორ ქვეყანას შორის კავშირების გამყარებისადმი ინტერესის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით.

## **ეკონომიკური განვითარება**

ჩემი მთავრობა აუცილებელ ზომებს მიიღებს ეკონომიკური ინტეგრაციისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ორმხრივი კომისიის დასაფუძნებლად ორი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, სამამულო და საერთაშორისო წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების განხორციელებაში ორმხრივი თანამშრომლობის მიზნით. კერძოდ, კომისია წახალისებს ერთობლივ დაფინანსებას, ერთობლივ სანარმოებსა და შესაბამის მრავალმხრივ მექანიზმებს ორივე ქვეყანაში ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის სექტორთა განვითარების მიზნით.

## **სავაჭრო პალატა**

ჩემი მთავრობა აქტიურ ძალისხმევას გამოიჩინებს ერთობლივი სავაჭრო პალატის შესაქმნელად ორივე ქვეყანაში ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით თითოეულ ქვეყანაში შესაბამისი სავაჭრო პალატების ღონისძიებების კოორდინაციის მეშვეობით, როდესაც ეს იქნება მიზანშეწონილი, და სხვა ქვეყნებში არსებულ სავაჭრო პალატებთან კონტაქტების წახალისების გზით.

## **გაცვლა კულტურისა და განათლების სფეროში**

ჩემი მთავრობა აქტიურად განავითარებს სტუდენტურ გაცვლებს ორ ქვეყანას შორის, ასევე, გააკეთებს შემოთავაზებას სტუდენტთა კანდიდატურების გაერთიანებულ შტატებთან ერთობლივი გაცვლის პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. გარდა ამისა, შეერთებული შტატებისა და სხვა დაინტერესებული ქვეყნების მთავრობათა მხარდაჭერით ჩემი მთავრობა წახალისებს სამეცნიერო, კულტურული, სპორტული, ახალგაზრდული და სხვა ჯგუფების ურთიერთვიზიტებს იუგოსლავიის ფედერალურ რესპუბლიკასა და ბოსნიასა და ჰერცეგოვინას შორის. ჩვენ ყოველმხრივ მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას კულტურისა და განათლების სფეროში

გაცვლითი პროგრამების შემუშავების მიზნით ორმხრივი კომისიის შექმნისათვის.

### **სამხედრო გაცვლაში**

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის და იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის მიერ შეთანხმებული შეიარაღებაზე რეგიონული კონტროლისა და ნდობის გამყარების სამხედრო ზომების კონტექსტში ჩემი მთავრობა ნაახალისებს ორივე ქვეყნის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა ურთიერთვიზიტებს გაცნობისა და კადრების გაცვლის მიზნით. ამ ვიზიტების მსვლელობისას შესწავლილი იქნება თითოეული ამ ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობასთან კავშირგაბმულობის განყოფილებების დაწესების შესაძლებლობა.

### **გამოძიების კომისია**

ჩემი მთავრობა აქტიურად დაუჭერს მხარს საერთაშორისო კომისიის შექმნასა და მის საქმიანობას ყოფილ იუგოსლავიაში ახლახან მომხდარი კონფლიქტის გამოძიებასთან დაკავშირებით. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ კონფლიქტში ჩართული სახელმწიფოების მთავრობები, ასევე, ცნობილი საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც დაინიშნებიან ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებს შორის შეთანხმების საფუძველზე. კომისიის მანდატი მოიცავს ფაქტების დადგენას და, რაც შეიძლება ფართო და ობიექტურ საფუძველზე სხვა აუცილებელი კვლევების ჩატარებას ახლახან მომხდარი კონფლიქტის მიზეზებთან, მსვლელობასა და შედეგებთან მიმართებით, და ამ სამუშაოს შედეგების მიხედვით მოხსენების მომზადებას, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარესა და ორგანიზაციას წარედგინება. ჩემი მთავრობა სრულფასოვნად თანამშრომლებს ამ კომისიასთან.

**პატივისცემით,  
სლობოდან მილოშვიჩი**


რაიტ-პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა, ოჰაიო  
1995 წლის 21 ნოემბერი

პატივცემულ სლობოდან მილოშევიჩს,  
სერბიის რესპუბლიკის პრეზიდენტს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

მოგმართავთ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმებისა და, კერძოდ, მის მე-9 დანართის შესახებ, რომელიც ეხება საჯარო კორპორაციებს. ჩემს მთავრობას განზრახული აქვს, თანამშრომლობის მექანიზმის ფარგლებში და მე-9 დანართის II მუხლის თანახმად, გახსნას რეგულარული სამგზავრო და სატვირთო სარკინიგზო მიმოსვლა მარშრუტით ბოსანსკა-კრუპა, ბოსანსკა-ნოვი, ბოსანსკა-დუბიკა და ბოსანსკა-გრადიშკა. ჩემი მთავრობა მხარს დაუჭერს და ხელს შეუწყობს ამ რკინიგზის მუშაობას.

პატივისცემით,  
ალია იზიტბეგოვიჩი  
ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის  
პრეზიდენტი



Alija Izetbegovic  
President of the Republic of  
Bosnia and Herzegovina

ასლი: პატივცემულ უორენ კრისტოფერს,  
ამერიკის შეერთებული შტატების  
სახელმწიფო მდივანს



რაიტ-პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა, ოჰაიო  
1995 წლის 21 ნოემბერი

პატივცემულ ალია იზიტბეგოვიჩს,  
ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის პრეზიდენტს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

მოგმართავთ ბოსნიისა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ საერთო ჩარჩო შეთანხმებისა და, კერძოდ, მის მე-9 დანართის შესახებ, რომელიც ეხება საჯარო კორპორაციებს. მე, როგორც იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისა და რესპუბლიკა სრბსკის ერთობლივი დელეგაციის მეთაური, ვაცხადებ, რომ განზრახული გვაქვს თანამშრომლობის მექანიზმის ფარგლებში და მე-9 დანართის II მუხლის თანახმად, გაიხსნას რეგულარული სამგზავრო და სატვირთო სარკინიგზო მიმოსვლა მარშრუტით ბოსანსკა-კრუპა, ბოსანსკა-ნოვი, ბოსანსკა-დუბიკა და ბოსანსკა-გრადიშკა. ჩემი მთავრობა მხარს დაუჭერს და ხელს შეუწყობს ამ რკინიგზის მუშაობას.

პატივისცემით,  
სლობოდან მილოშევიჩი



Slobodan Milosevic

ასლი: ფრიად პატივცემულ უორენ კრისტოფერს,  
ამერიკის შეერთებული შტატების  
სახელმწიფო მდივანს

## **ბოსნიაში მშვიდობის შესახებ არაპირდაპირი მოლაპარაკებების მონაწილეთა დასკვნითი განცხადება**

არაპირდაპირი მოლაპარაკებები ბოსნიაში მშვიდობის შესახებ მიმდინარეობდა რაიტი-პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაზე, ოჰაიოში, 1995 წლის 1-დან 20 ნოემბრამდე საკონტაქტო ჯგუფის ეგიდით.

მოლაპარაკებების მსვლელობისას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის, ხორვატიის რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციებს შორის მოენყო მრავალსაათიანი განხილვები, რომლებიც ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიღწევაზე იყო ორიენტირებული.

ამ კონსტრუქციული და რთული მოლაპარაკებების შედეგად მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას საერთო ჩარჩო შეთანხმებისა და მისი დანართების შესახებ:

### **დანართი 1-ა შეთანხმება სამშვიდობო დარეგულირების სამხედრო ასპექტების შესახებ**

### **დანართი 1-ბ შეთანხმება რეგიონის სტაბილიზაციის შესახებ**

### **დანართი 2 შეთანხმება წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზისა და ამასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ**

### **დანართი 3 შეთანხმება არჩევნების შესახებ**

### **დანართი 4 ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია**

### **დანართი 5 შეთანხმება არბიტრაჟის შესახებ**

### **დანართი 6 შეთანხმება ადამიანის უფლებათა შესახებ**

**დანართი 7 შეთანხმება ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ**

**დანართი 8 შეთანხმება ეროვნული ძებლების დაცვის კომისიის შესახებ**

**დანართი 9 შეთანხმება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საჯარო კორპორაციების დაფუძნების შესახებ**

**დანართი 10 შეთანხმება სამშვიდოო დარეგულირების სამოქალაქო ასპექტების განხორციელების შესახებ**

**დანართი 11 შეთანხმება საგანგებო საერთაშორისო საპოლიციო ქალების შესახებ**

20 ნოემბერს პრეზიდენტმა იზეტბეგოვიჩმა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის სახელით, პრეზიდენტმა ტუჯმანმა ხორვატიის რესპუბლიკის სახელით, პრეზიდენტმა მილოშევიჩმა იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისა და რესპუბლიკა სრპსკის სახელით და პრეზიდენტმა ზუბაკმა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის სახელით მოახდინეს ჩარჩო შეთანხმებისა და მისი დანართების პარაფირება, რითაც პარაფირებული დოკუმენტები საბოლოო დოკუმენტებად აღიარეს, აიღეს ვალდებულება, დაუყოვნებლივ მოაწერონ ხელი ჩარჩო შეთანხმებას და მის დანართებს.

მხარეები შეთანხმდნენ, უახლოეს დროში კვლავ შეიკრიბონ საკონტაქტო ჯგუფის ეგიდით პარიზში ჩარჩო შეთანხმებისა და მისი დანართების ხელმოსაწერად.

რეგიონში მშვიდობის დამყარების საერთო მისწრაფების დასტურად მხარეები ხაზს უსვამენ ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველყოფის, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ყველა ჰუმანიტარულ და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ასეთი ორგანიზაციების

პერსონალის უსაფრთხოებისა და გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფის უკიდურესად დიდ მნიშვნელობას. კერძოდ, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის, ხორვატიის რესპუბლიკის, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის (ასევე, რესპუბლიკა სრპსკის სახელით) და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის დელეგაციებმა იკისრეს ვალდებულება, თავი შეიკავონ ნებისმიერი მტრული აქტებისგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავდაცვის ძალების წევრების და იმ საერთაშორისო ძალების წინააღმდეგ, რომლებიც განლაგებული იქნება საერთო ჩარჩო შეთანხმების თანახმად, და ჰუმანიტარული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების პერსონალის წინააღმდეგ და არ შეუქმნან მათ დაბრკოლებები. ისინი კონკრეტულ ვალდებულებას კისრულობენ, ხელი შეუწყონ იმ ფრანგი მფრინავების ადგილსამყოფლის დადგენას, რომლებიც უგზოუკვლოდ დაიკარგნენ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში და უზრუნველყონ მათი დაუყოვნებელი და უსაფრთხო უკან დაბრუნება.

მხარეები თავიანთ მაღლიერებას გამოხატავენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და ხალხის მიმართ იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც მათ იგრძნეს მთელი მოლაპარაკებების განმავლობაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Lampe J.R., Pickering P., Malcolm N.R., Bosnia and Herzegovina, Encyclopedia Britannica <https://www.britannica.com/place/Bosnia-and-Herzegovina>.
2. მალკოლმი ნ., „ბოსნია“, 2002, გვ. 304-305;
3. ვუდვორდი ს.ლ., „ბალკანეთის ტრაგედია“, გვ. 273-274; 304-310;
4. ტინდემასი ლ., ბალკანეთის საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო კომისია, Nedovrseni mir, გვ. 48-56;
5. Dr. Karin Oellers-Frahm. Restructuring Bosnia-Herzegovina: A Model with Pit-Falls, 2005, pg. 202-203, 214-215;
6. Juncos A.e., The EU’s post-Conflict Intervention in Bosnia and Herzegovina, Southwest European Politics, 2005;
7. European Commission, Analytical Document, Commission Opinion on Bosnia and Herzegovina’s application for membership of the European Union, 2019;
8. ETF country analysis Bosnia and Herzegovina, 2016;
9. European Commission, Bosnia and Herzegovina Progress Report, 2014;
10. European Commission, Bosnia and Herzegovina: 2018 country report, 2019;
11. Basic Principles for Peace in Bosnia And Herzegovina, 1995;
12. Constitution of Bosnia and Herzegovina, 1995;
13. General Framework Agreement For Peace In Bosnia and Herzegovina, 1995;
14. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის ახალი რედაქცია;
15. გაბოკიძე ჯ., მიდელაშვილი ს., „ჰონკონგი, ჩინეთი – 1997“, გა-

მომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2014 წელი;

16. გახოკიძე ჯ., დემეტრაშვილი ა., ჭინჭარაძე ქ., მიდელაშვილი ს., გორაძე გ., „ძიებანი საქართველოს განდგომილი რეგიონების შემორიგებისათვის“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017 წელი;
17. გოგიაშვილი ო., „ილია დღეს – პოლიტიკური ფილოსოფია, იდეოლოგია, პოლიტიკა, პოლიტიკოსები“, ნიგნი პირველი, თბილისი, 2011 წელი;
18. გახოკიძე ჯ., „გზა, რომელმაც არ მიგვიყვანა სამართლებრივ სახელმწიფომდე“, გამომცემელი „ჟიუული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის სადოქტორო სკოლა“, თბილისი, 2016 წელი.

# ავტორთა შესახებ

## ჯემალ გახოკიძე



პოლიტიკისა და სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერი, პროფესორი

## ირაკლი გაბისონია

სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი



## სოფო მიდელაშვილი



სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი











